# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი, 14 დეკემბერი № 50 (2778) გამოცემის 59-ე წელი, 1990 ფასი 20 კაპ.

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

11 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა. დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ალექსანდრე ვარძელაშვილი, ალექსანდრე ქობულაშვილი, ავთანდილ მარგიანი, ნოდარ ნათაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, ანდრია აფაქიძე, ფოტი ჩიტლოვი, ვლადიმერ მირცხულავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ლევან ალექსიძე. დეპუტატების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამმართველოს უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი გენრიხ მალიუშკინი.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მიღებულია აგრეთვე კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ (კანონი ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის საკითხი, რაც მოახსენა სესიას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვაჟა ადამიამ. კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, მზექალა შანიძე, ეთერ ზუზუშვილი, რომან გოცირიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეცურიანი.

უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების წესის შესახებ.

სესიამ მოისმინა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნუგზარ მოლოდინაშვილის ინფორმაცია და მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითადი კანონი) ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

სესიამ განიხილა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნების დანიშვნის საკითხი. განისაზღვრა ამ არჩევნების მოწყობის თარიღი — 1991 წლის 3 მარტი. მიღებულია აგრეთვე დადგენილება ზოგიერთ საარჩევნო ოლქში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.

უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაათავისუფლოს გ. დ. მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის — რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები ნინო ჯავახიშვილი, ბიძინა დანგაძე.

სარედაქციო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ამირან კალაძის წინადადებით სესიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის № 1 მოწმობა გამოიწეროს საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელზე.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც საქართველოს მოსახლეობას მოუწოდა აწლანდელ რთულ სიტუაციაში დაიცვას სიმშვიდე, ხელი შეუწყოს მდგომარეობის სტაბილიზაციას და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას, ყველაფერი იღონოს სესიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

სს „საქართველო".

# საქართველოს რესპუბლიკის კანონი

# სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ

**სამხრეთ** ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტული ძალები ცდილობენ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნით მოახდინონ სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაცია, ხელყონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, ჩამოაშორონ საქართველოს მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი, რაც აშკარად ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ნორმებს.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არაერთი გაფრთხილებისა, აღკვეთილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანონო მოქმედებანი, ოლქში 9 დეკემბერს მაინც ჩატარდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე შეექმნა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულებელყოფით და სრულიად საქართველოს ინტერესების საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, აგრეთვე იმის გამო, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მას აქვს და მომავალშიც ექნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო — აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის № 2 დეკრეტი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ" და საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ".

4. დადასტურდეს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები სეპარატისტული ძალების მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად გარდაქმნის ანტიკონსტიტუციურობის შესახებ.

ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ;

— განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ზომები ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, თვითმარქვია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციონირების აღსაკვეთად;

— შეუსაბამოს მთავრობის გადაწყვეტილებები ამ კანონს.

7. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არ დაემორჩილნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებებს, უხეშად დაარღვიეს კონსტიტუციით დადგენილი არჩევნების ჩატარების წესები, ხელყვეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, და ბოროტად გამოიყენეს თანამდებობის პირთათვის კანონით მინიჭებული უფლებები და რწმუნებები.

8. კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
**ზ. გამსახურდია.**

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

## „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციის განცხადება

ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ ბოლო ხანს გახშირდა მუქარა-მოთხოვნა პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე ხელისუფლების დიქტატის შესახებ. ამ თემამ ასევე ჰპოვა სხვადასხვა საპროტესტო აქციებზე წამოყენებულ მოთხოვნებსა თუ ოფიციალურ რეზოლუციებში. კატეგორიულად უნდა აღვნიშნოთ, რომ პირადად ჩვენს რედაქციას 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ოფიციალური ხელისუფლების მხრივ არავითარი იდეოლოგიური ზემოქმედება არ უგრძვნია. მით უმეტეს, ეს ითქმის ახალ ხელისუფლებაზე, რომელიც პრაქტიკულად საერთოდ არ ერევა სარედაქციო საქმეებში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო ხანებში ადგილი ჰქონდა ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების თუ არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლების მუქარითა და ძალადობით აღსავსე უარყოფით რეაქციას ამა თუ იმ პუბლიკაციასთან დაკავშირებით. არცთუ იშვიათად იმავე მეთოდით მათთვის სასურველი მასალის დაბეჭდვაც მოუთხოვიათ. ანალოგიურ და უფრო მძიმე ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა სხვა რედაქციებსაც. ალბათ, დადგა დრო ახალმა უზენაესმა საბჭომ იზრუნოს ჟურნალისტთა ღირსებისა და უფლებებ დასაცავად. წინააღმდეგ შემთხვევაში, საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.



# ერთგულნი ვიქნებით ჩვენი იდეებისა

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შედგა პრესკონფერენცია. გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პასუხებს ჩვენი კორესპონდენტის შეკითხვებზე.**

●

— რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, ალბათ, მრავალი მოსალოდნელი, თუ მოულოდნელი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. თქვენი აზრით, ძირითადად რა ფაქტორმა განაპირობა დღეს საქართველოში შექმნილი ვითარება?

**— დღეს რესპუბლიკაში არსებული მწვავე მდგომარეობის მიზეზია კრემლი. საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ამასწინათ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე განაცხადა, რომ საქართველოში დაიწყო მღელვარება. მაგრამ იგი აჩქარდა — პოსტფაქტუმ უნდა ეთქვა ეს. და აი, სიგნალი მიღებულია. ეს სიტუაცია შექმნილია იმ ძალების მიერ, რომლებსაც სურთ დესტაბილიზაცია, ანარქია. უნდა განხორციელდეს ყველა არსებული შეიარაღებული ფორმირების მშვიდობიანი განიარაღება, უნდა შეიქმნას ეროვნული გვარდია, რომელსაც უკვე გააჩნია სოლიდური საფუძველი.**

— კონგრესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ამასწინათ განაცხადა: ამერიკაში, ამ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ყველას აქვს იარაღის ტარების უფლება. როგორი იქნება თქვენი კომენტარი?

**— ამერიკამდე ჩვენ ბევრი გვაკლია ყოველგვარი თვალსაზრისით, მათ შორის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების თვალსაზრისით და, სამწუხაროდ, შეგნების თვალსაზრისითაც. ჯერჯერობით მოსახლეობის ყველა ფენაში არ არის მოქალაქეობრივი შეგნება იმისა, რომ ბოროტად არ გამოიყენონ მათ ხელთ არსებული იარაღი, უნებართვოდ ხელში ჩაგდებული და, ვინ იცის, რა გზებით მოპოვებული. თუმც ამერიკასაც და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებსაც დიდ სიძნელეებს უქმნის ასეთი კანონები. სჯობია, თანამედროვე ცივილიზაციისა და კულტურის მიღწევებში შევეჯიბროთ მათ, ვიდრე იარაღის უკონტროლოდ ტარებაში.**

— რას იტყვით ინტელიგენციის იმ ნაწილზე, რომელიც ადრე ხშირად მოძღვრავდა ხალხს და სიმშვიდისაკენ, წესრიგისაკენ მოუწოდებდა, დღეს კი რატომღაც დუმილს არჩევს...

**— ეს მართლაც დამაფიქრებელია, სწორედ აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ვინ ვინ არის. დასკვნა ერთია: ყოველთვის იყო ჭეშმარიტი და ცრუ ინტელიგენტობა. ცრუ ინტელიგენტობა მაშინ ამას აკეთებდა, ხმაურობდა, რადგან ეს გარკვეულ ძალებს აძლევდა ხელს და დღესაც სწორედ ამიტომ არჩევენ დუმილს. აქედან ჩანს, რომ ისინი მარიონეტებია. ის ყველასათვის ცნობილი აქციები, შიმშილობები, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათისა იყო, დღევანდელი მოვლენები კი მხოლოდ კრემლს აძლევს ხელს. ცრუ ინტელიგენტობა ახლა სდუმს, რათა არ გაანაწყენოს ცენტრი.**

— ცხადია, რომ საბჭოური პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების რღვევის პროცესი უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. რა ღონისძიებები გატარდება თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებების დასაცავად?

**— ჩვენი მოძრაობა, ჰელსინკის კავშირის მოღვაწეობა, თავიდან დაიწყო სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით, ჩვენ დავმხილეთ ადამიანის უფლებათა დარღვევები საქართველოში და ჩვენი საბოლოო პროგრამაც ამას ითვალისწინებს, ბოლომდე ერთგულნი ვიქნებით ჩვენი იდეებისა. ჩემის აზრით, ეროვნული პარლამენტის მიერ სულ ახლახან მიღებული კანონებიც ამის უტყუარი დასტურია. ჩვენ მუდამ ვიბრძოლებთ თითოეული მოქალაქის უფლებათა უზრუნველსაყოფად.**

— საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარებისათვის საჭიროა კონტაქტები საერთაშორისო ასპარეზზე. გაქვთ თუ არა დაგეგმილი ვიზიტები უცხოეთის ქვეყნებში?

**— რა თქმა უნდა, ასეთი ვიზიტების საჭიროება არსებობს, ისახება გარკვეული პერსპექტივებიც, არის რეალური წინადადებანი სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობებისა. მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, ამას გარკვეული დრო სჭირდება... გარდა ამისა, საქართველოს დღევანდელი დაძაბული პოლიტიკური ვითარება არ იძლევა საშუალებას უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას.**

— თქვენი აზრით, უახლოეს მომავალში შეიცვლება თუ არა დასავლეთის პოზიცია საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკათა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ?

**— ჯერჯერობით ოფიციალური დასავლეთის პოზიცია ამ საკითხის მიმართ უცვლელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ ჰყავთ ოპოზიციაც, რომელიც არაორაზროვნად მოუწოდებს ოფიციოზს დადგეს არა მჩაგვრელთა, არამედ ჩაგრულთა მხარეზე.**

**უნდა ითქვას, რომ ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი მერკანტილური, პრაგმატული პოზიციებიდან უდგება ამ პრობლემებს. და თუ აღდგება ისეთი დამოკიდებულება, როგორიც იყო პრეზიდენტ რეიგანის დროს — ერთგულება თავისუფლების იდეალებისადმი, ვფიქრობთ, ჩვენ ეს დაგვეხმარება. ამასთანავე, უნდა შეიცვალოს დასავლეთის ყველა წამყვანი სახელმწიფოს აზრი, რადგან მიმდინარე ინტეგრაციის პროცესის პირობებში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის პოზიციის შეცვლაც წარმოუდგენელია — უნდა გამოვიყენოთ ერთიანი მიმართება ამ საკითხისადმი.**

**ამასწინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში შედგა საიდუმლო სხდომა, რომელზედაც განიხილეს საქართველოს საკითხი... ჩვენ ვიცით მხოლოდ ფაქტი, სხვა მონაცემები არა გვაქვს.**

— აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში განხორციელდა კომუნისტური პარტიის ქონების ნაციონალიზაცია. როდის დაიწყება ეს პროცესი საქართველოში, და თქვენი აზრით, რამდენად წინააღმდეგობრივი იქნება იგი?

**— დღეს კომუნისტური იდეა საქართველოში გაკოტრებულია ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში. ჩვენ არ დავუშვებთ უსამართლობის დაკანონებას. კომპარტიის ქონების ნაციონალიზაცია აუცილებლად მოხდება, როგორც უკანონო გზით, დიქტატით და ხალხის ძარცვით მითვისებულის, თუმც წინააღმდეგობები ალბათ, იქნება.**

— რომელი ძალა გესახებათ დღეს კომუნისტური პარტიის რეალურ ოპოზიციად რუსეთში?

**— მიუხედავად იმისა, რომ დღეს რუსეთში არსებობს რამდენიმე ცალკეული ანტიკომუნისტური დაჯგუფება, ისინი რეალურ ძალას არ წარმოადგენენ, არა აქვთ საკმარისი ავტორიტეტი ფართო მასებში. არა აქვთ ერთიანობა. რაც შეეხება ელცინის ოპოზიციას, ეს ძირითადად მორალური ოპოზიციაა, პიროვნული წინააღმდეგობიდან გამომდინარე. ამიტომ გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა ძალთა განლაგებაზე არ შეუძლია.**

— დღეს ხშირად საუბრობენ საერთო კავკასიური სახლის შექმნაზე. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს იდეა?

**— ამ ეტაპზე ეს იდეა უტოპიურია. წარმოუდგენელია საუბარი ინტეგრაციაზე, როცა არც საქართველოსა და არც ჩრდილო კავკასიის ხალხებს არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრიობა; განა შეიძლება უსახლკაროები ერთიან სახლს აშენებდნენ?!**

---

ღვთისგან გაძლიერებულს, დალოცვილს და დაფარულს, ბატონ **ზვიად გამსახურდიას** — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს და მასთან ერთად სრულიად საქართველოს მთავრობის ყველა ღირსეულ წარმომადგენელს:

„ვინ დაბადა შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვრებსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გახდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“.

საქართველოს ისტორიის ოქროს ხანაში, დიდი რუსთაველის მიერ დაწერილი ეს სტრიქონები. მარადის განაძლიერებდა ყოველ მამულიშვილს. ქართველს სწამდა, რომ ღმერთი არასოდეს მიატოვებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ტანჯულ ქვეყანას, რომ ყოვლისშემძლებელს შეუძლია წამისყოფით ერთი მართლის ასად და უთვალავად გადაქცევა და უთვალავი მტრის ერთამდე, ან არარაობამდე განქარვება. საქართველო კი ყოველთვის მართალი იყო და მართლად რჩება ყოველი ქვეყნის წინაშე, მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

სამყაროს შემოქმედის სასიცოცხლო, სამშვიდობო და გადამრჩენი მოძღვრება „გიყვარდეს მტერი შენიო“ — ისე მტკიცედ, ვაჟკაცურად და ღვთისნიერად არავის შეუსრულებია, როგორც ქართველს. საქართველო დიდი ისტორიის მქონე ქვეყანაა, თავისი უძველესი სახელმწიფოებრიობით, მაღალი კულტურით, ნათელი ხელოვნებით და იგი ღირსია სრული თავისუფლებისა და მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობიანი, მარადიული თანაარსებობისა. დაე, ყოველი ადამიანისათვის, გაენათებინოს ღმერთს გონება, რომ მას გაერჩიოს ერთმანეთისაგან მარადიული თავისუფლების დიდებულება, რისთვისაც დაიბადა იგი და შეეგრძნოს ის საშინელება, რაც გამოიხატება ადამიანისგან ადამიანის და ერისგან ერის ამქვეყნიურ დამონებაში, რამეთუ, ყველას მოგველოდება უფლის ცეცხლოვანი ტახტის წინაშე წარდგომა, სადაც, კაცად-კაცადს მიეგება საქმეთა მისთაებრ.

თქვენ დიდი ღვთისმოსავი ბრძანდებით; ღვთისმოსავია, თქვენთან ერთად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა. თქვენ სიცოცხლეზე მეტად გიყვართ ღმერთი და ჭეშმარიტება, გიყვართ საქართველო და ქართველი. ასეთივე სიყვარულს მიაგებთ ჩვენი ერის მოყვასთ. ყოველი ჭეშმარიტი ქართველის სიხარულით გილოცავთ გამარჯვებას.

ღმერთი და ყველა წმინდა იყოს თქვენი მფარველი თქვენს მოღვაწეობაში, რამეთუ, იგი საქართველოს ნათელი მომავალია.

ავარაკ-წალკელი და ბოლნელ-დმანელი

**მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი),**

ეპარქიის კეთილმორწმუნე მრევლით.

---

**წერილი რედაქციას**

ახალქალაქის რაიონულ გაზეთში „შუქურა“ წლების მანძილზე მეტად მცირე ადგილი უკავია ქართულენოვან მასალას. გაზეთის სახელწოდებაც ჯერ სომხურ ენაზეა, შემდეგ კი ქართულად. გაზეთის პირველი, მესამე და მეოთხე გვერდები მთლიანად სომხურენოვანია. ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია...

ამის თაობაზე, ჩვენ მივმართეთ ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივანს, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქციას, ეროვნული მოძრაობის თავისუფალ გამოცემას „ქართლის დედას“, ტელევიზიას, მაგრამ ჯერჯერობით რეალური შედეგი არ ჩანს, გაზეთი კვლავ იმავე სახით გამოდის. მოგახსენებთ, უკანასკნელ ხანს, რაიონში საგრძნობლად გაიზარდა ქართველთა რაოდენობა. ილახება ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი, რაც რაიონის მკვიდრი მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას იწვევს. მართალია, შეგვპირდნენ, რომ 1990 წლიდან, გაზეთის ნახევარი ქართულენოვან მასალებს დაეთმობოდა, მაგრამ მდგომარეობა კვლავ უცვლელია.

ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა, მოძველებული, არაფრისმთქმელი დევიზი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ შეგვეცვალა ვაჟას სიტყვებით: „სამშობლოს არვის წავართმევთ“...

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები: ცირა ბარბაქაძე, დავით ბეჟაშვილი, გია გვენცაძე, ნოდარ ივანიძე, თემურ სერებრიაკოვი.**

---

# ჩემი მილოცვა

**სულითა და გულით მივესალმები ისტორიულ ქართულ მიწაზე — შიდა ქართლში ნაძალადევად, არაკანონიერად შეკოწიწებული ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გაუქმების დადგენილების მიღებას. დაე, ეს ისტორიული გადაწყვეტილება საწინდარი ყოფილიყოს ქართულ-ოსური ოდინდელი კეთილი ურთიერთობის აღდგენისა.**

**ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!**

**გია თასოევი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იმედიანი, პერსპექტიული სიტუაცია

დღევანდელი ნომრის სტუმარია, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე აკაკი ასათიანი.

— „ყარაყორუმს" თქვენი პირველი წარგზავნის შესახებ უთქმელი და დაუწერელი თითქმის არაფერი დარჩა, რამდენიმე დღეა, რაც კვლავ დაბრუნდით მოსკოვიდან...

— მართლაც, პირველ მოგზაურობაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მეც მეტ-ნაკლებად გავაცანი ხალხს იქაური ისტორიები. პირველად ჩასვლისას ძირითადად ოფიციალური შეხვედრებით შემოვიფარგლეთ. ნიშანოვთან საუბარი „გულითად" ვითარებაში ჩატარდა. პირველივე კონტაქტმა დამარწმუნა, რომ ისინი საკმაოდ ჭკვიანი ხალხია.

მეორე ვიზიტს უფრო მეტად ახლდა კულტურული შეხვედრები, თუმცა, ოფიციალურადაც ვხვდებოდით მათ წარმომადგენლებს. ამჯერად, მიწვეულნი იყვნენ რესპუბლიკის უმაღლესი დონის წარმომადგენლები. ჩვენგან ბატონ ზვიად გამსახურდიას ნაცვლად მე ვიყავი. გვქონდა შეხვედრები პრიმაკოვთან და გორბაჩოვთან.

ჭერჭერობით ნიადაგის მოსინჯვის პროცესია, ისინი ჭრელი პეპლის გაბრუების ტაქტიკას ადგანან. გამუდმებით საუბრობენ ახალ საკავშირეო ხელშეკრულებაზე. ძალიან ზრდილობიანი, თავაზიანი ფორმებით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენენ მოსაუბრეზე: იქნებ ასეა კარგი, ან იქნებ ასე? ამ პუნქტზე რა აზრისა ხართ?.. ცდილობენ, როგორმე ჩაგვაბან ამ პროცესში და მუდამ გვიწევს იმის მტკიცება და შეხსენება, რომ ეს ჩვენი საქმე არაა; აქ ვიმყოფებით მხოლოდ მეთვალყურის სტატუსით, რადგან ფაქტობრივად ოკუპირებული სახელმწიფოს წარმომადგენლები ვართ, და, უბრალოდ, ანგარიშის გაწევა გვიწევს მიმდინარე მოვლენებისადმი. მოსკოვში ძალიან დაძაბული სიტუაციაა, ეს შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ჩვენში ბევრს მიაჩნია, რომ ელცინ-გორბაჩოვს შორის არსებული წინააღმდეგობა ფარსია, სპექტაკლი. ამ თემაზე საუბრისას, ყოველთვის ვამბობ და ახლაც გავიმეორებ, რომ სპექტაკლი საერთოდ, ყველგან და ყოველთვის თამაშდება ხოლმე, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს სიტუაცია ძალიან გულწრფელი სპექტაკლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ძალიან დიდია წინააღმდეგობა და დაძაბულობა რუსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და მათი ლიდერების ურთიერთობაც ამ ობიექტურად არსებული წინააღმდეგობებითაცაა გამოწვეული. მაგალითად, გორბაჩოვს თავშეუკავებელი, უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, როცა ელცინის მიერ რუსეთის ფედერაციის ურილობაზე მიწის საკუთრების კანონის გატანა მოახსენეს (თანაც ეს კანონი ძალიან შეკვეცილია, სუსტია). ეს წინააღმდეგობა ვითომ ხუმრობასა და ენამახვილობაშიც ვლინდება, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ხუმრობა საკმაოდ გესლიანია. ელცინი, როგორც ჩანს, მართალი კაცია, მას თავისი სამშობლო — რუსეთი უყვარს. აი, ეს ამოძრავებს და ამაშია მისი ძალაც — ხალხს უყვარს და სჯერა მისი. გორბაჩოვი კი მოქნილი და კარგი პოლიტიკოსია, მაგრამ იგი საბჭოელია. აი, ამით განსხვავდებიან ელცინი და გორბაჩოვი...

გორბაჩოვი საბჭოთა კავშირს ებღაუჭება. ყველასათვის და მათ შორის ელცინისათვის ცნება — საბჭოთა კავშირი ქიმერაა; ვისაც სურს, დარჩება მის, ოღონდ, უკვე, როგორც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, ვისაც არა, ელცინი გულწრფელად მზადაა ჰქონდეს ამ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობა. ამ სიტუაციის გამოყენება, ვფიქრობ, აუცილებელია.

საინტერესოა რუსეთის პოზიცია საკავშირეო ხელშეკრულების მიმართ. ამბობენ, თითქოს იქ რაღაც გარიგება ხდება გორბაჩოვსა და ელცინს შორის. ეს არცაა გასაკვირი, ხან ერთი მხარე მიდის დათმობაზე და ხან მეორე. ოთხმა რესპუბლიკამ — ჩვენ და ბალტიისპირელებმა — უარი განვაცხადეთ ახალ ხელშეკრულებაზე, ყოყმანობენ სომხები, მოლდაველები, უზარმაზარი რუსეთი და უკრაინა. არადა, მოსკოვს ყველას ხელმოწერა სჭირდება და ამიტომ, გაძლიერდება ცენტრის ზემოქმედება ჩვენზეც და ამ რესპუბლიკებზე. ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც ყველაფერი, კარგი, ოდითგანვე, საექსპორტოა. ადამიანის უფლებები მხოლოდ საექსპორტოდ; თავისუფალი არჩევანი, რატომღაც ნიკარაგუამ ან ავღანეთმა უნდა გააკეთოს და არა საქართველომ. გორბაჩოვი საგარეო პოლიტიკაში რეალისტია და ამიტომაც აქვს წარმატებები საზღვარგარეთ. მაგრამ, ამ სიტუაციაში მას რაღაც ილუზიები აქვს, ამას პარტმუშაკის მუხრუჭებიც ემატება, იგი საბჭოური იმპერიის ჟინითაა შეპყრობილი. ყოველდღე რეკავენ და კვლავაც გვეკითხებიან. აი, ამ საკითხის განხილვაში მიიღებთ თუ არა მონაწილეობასო, პასუხი კი ყოველთვის ერთი და იგივეა — არა!

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენდამი დამოკიდებულება უფრო მოკრძალებულია, ერთგვარი პატივისცემითაც გვეპყრობიან, ვიდრე ბალტიისპირელებს. ჯერ ერთი, ყველა გრძნობს, რომ გავასწარით მათ (ამას თავად ბალტიისპირელებიც აღიარებენ). ჩვენ ვიპოვეთ პოლიტიკური ბრძოლის ისეთი გზა, რომელიც მანევრირების საშუალებას იძლევა. გვაქვს მკაფიო მიზანი, მაგრამ მისი მიღწევის გზაა მოწინააღმდეგისათვის ბუნდოვანი. ამიტომაც, სრულიად გასაგებია მათი შეცბუნება და შეშფოთება.

მოსკოვზე თითქოს არ უნდა მოქმედებდეს ისეთი განცხადებები, რომ ჩვენს უკან ხალხი დგას, ხალხის ნებას გამოვხატავთ, მაგრამ მათ იციან, რომ ჩვენ შეგვიძლია ამ შეკოწიწებული კავშირის აფეთქება. გრძნობენ, რომ თუ სიტუაცია უაღრესად დაიძაბა და სხვა გამოსავალს აღარ დაგვიტოვებენ, მივმართავთ ეროვნულ დაუმორჩილებლობას. თუ საქმე ძალაზე მიდგა, არავინ იცის ვინ გაიმარჯვებს (ამიტომაც ვცდილობთ, რომ მოვლენები ასე არ წარიმართოს), მაგრამ ფაქტია, რომ იმპერია ყველა შემთხვევაში გაკოტრდება.

საერთოდ, ოპტიმისტურად იმიტომ კი არ ვარ განწყობილი, რომ ჩვენს მოქმედებებს მიესალმება მოსკოვი, არა, სიტუაციაა ჩვენთვის სასარგებლო. ერთი რამეც მინდა გავიხსენო: მოსკოვში სუკის თაობაზე არიან გაცხარებულნი, (ეს გასაგებიცაა, ამ იმპერიის ერთ-ერთი მმართველი ორგანო იყო). ერთმა თანამდებობის პირმა კატეგორიულად გამომიცხადა: თუ ასე განაგრძეთ, სუკის დაფინანსებას შეგიწყვეტთო. სულ არ გვეყოლება, ბატონო, სუკი-მეთქი. გაოცდა, მათ ვერ წარმოუდგენიათ ასეთი რამ, ჰგონიათ, რომ შეუძლებელია სხვა სტრუქტურებით, სხვა წესით, სხვა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით ცხოვრობს საქართველომ.

იმპერიაში სიტუაცია დაძაბულია და აქედან გამომდინარე, ჩვენთვის პერსპექტიული, იმედიანი. დღეს, როგორც არასდროს, იკვეთება საქართველოს თავისუფლების კონტურები.

ამას გარდა, ჩვენ აქტიურად უნდა გადავერთოთ საერთაშორისო ურთიერთობებზე (თუმცა, უკვე ნახსენები შეხვედრებიც საერთაშორისო იყო), დასავლეთზეა ამ შემთხვევაში საუბარი. იქაც სასიკეთოდ შეიცვალა ჩვენს მიმართ დამოკიდებულება. თუ წინათ გაბატონებული იყო კონტექსტი, ბალტიისპირეთი და, ალბათ, საქართველოც აპირებს იმპერიის დატოვებასო, ახლა ასე ლაპარაკობენ და წერენ: საქართველო და, ალბათ, ბალტიისპირეთიც...

ასე შეიცვალა კონტექსტი. ეს იმას ნიშნავს, რომ კალათების ცნობილი ვერსიით (თუ რომელი ქვეყნის განთავისუფლება რომელ კალათაში უდევს დასავლეთს) მეორე ან მესამე კალათში ვიყავით, ახლა პირველში ვართ. მაგრამ, ყველაფერ ამას ჩვენ თავად მივაღწიეთ.

დღესაც, იმის თეორიები კი არ უნდა შევქმნათ, თუ რას უპირებს კრემლი საქართველოს, არამედ საქართველო რას უპირებს კრემლს; რა უნდა გავაკეთოთ. ჩვენ ხელშია ჩვენი ბედი. თუ მომგები ვართ, მოვიგებთ, თუ წამგები — წავაგებთ. და შემდეგ ჩვენს სინდისზე იყოს შთამომავლობა როგორ განსჯის ჩვენს მოქმედებას.

— საქართველოს პოზიცია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების თაობაზე თქვენც გამოხატეთ, რაც ოფიციალურად დამტკიცდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით. მაგრამ საპირისპირო ძალამ გვაგრძნობინა, რომ უკან არ დაიხევს, რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში, და, თქვენი აზრით, რისი გადატანა, რისი გაძლება იქნება ქართველი ხალხისათვის ყველაზე ძნელი?

— ამ კითხვას ნაწილობრივ გავეცი პასუხი, მხოლოდ ბოლო ნაწილზე შევჩერდები.

ბევრს ეგონა და ეშინოდა, რომ ვერ გავუძლებთ ბლოკადას, გაჭირვებას. ჩვენი ხალხი ისეა განწყობილი, რომ ყველაფერს გადაიტანს. ჩვენ გვინდა თავისუფლება, ქართველი ერი ღირსეული, დიდებული და თავისუფლებისმოყვარე ერია, იგი ტყვეობაში იყო და არა მონობაში. ეს, მან თავისი არჩევანით კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ყველაზე საშიში, ჩვენთვის, გარეშე ძალა როდია, არამედ შინაგანი თანხმობის მიღწევა, ერთიანობა იქნება ძნელი. თანხმობაში მე არ ვგულისხმობ იმას, რომ ყველანი ერთ ჭკუაზე ვიყოთ და ყველამ ერთი მიმართულებით ვიაროთ. საქართველოშიც არის რაღაც ძალები, რომლის გვერდით ვერ იქნები, ვერც ერთ კავშირში და ვერც ერთ ბლოკში. მაგრამ თანხმობა ითვალისწინებს ცივილიზებული მეთოდებით ბრძოლას პოლიტიკაში. ასეთი კი მხოლოდ პარლამენტური გზაა. სხვა დანარჩენი, უკვე ბოლშევიზმია.

საქართველოში ნორმალურ პოლიტიკურ ცხოვრებას იმანაც შეუშალა ხელი, რომ გარკვეული ძალები პარლამენტს გარეთ დარჩნენ და ახლა, თავიანთ ადგილს ეძებენ, მოთმინება უნდა მოიკრიბოს ყველამ. დღეს შეიძლება წააგე, მაგრამ უნდა მოემზადო მომავალი გამარჯვებისათვის. უკიდურესი საშუალებების გამოყენება მხოლოდ გადამწყვეტ მომენტშია საჭირო, თანაც ამ მეთოდების გაუფასურებაც არ შეიძლება, რადგან ხშირი გამოყენებით ისინი მარგი ქმედების კოეფიციენტს კარგავენ.

ახლა ყალიბდება მომავალი საქართველოს ცხოვრების წესი. ვისაც სურს ამ პოლიტიკაში მონაწილეობა, იმან თამაშის კანონებიც უნდა დაიცვას უთუოდ, ვისაც არ უნდა, მას ტერორისტული ბანდის ხვედრი ერგება წილად.

ყველაზე რთული ამ შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვა იქნება, მაგრამ ესეც უნდა დავძლიოთ.

— ახალმა უზენაესმა საბჭომ რამდენიმე სხდომა ჩაატარა. მათი ისტორიული, პოლიტიკური მნიშვნელობა, ასე თუ ისე, შეფასდა. მაგრამ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იქნებ ისეთ რამეს გამოჰყოფს, რაც ამ საერთო ეიფორიაში გამოგვრჩა უნებლიეთ?

— ყველაფერი იმაზე უკეთ წარიმართა, ვიდრე ჩვენ და ჩვენი ავისმოსურნენი ელოდნენ. ბევრი პარლამენტის მუშაობის შესახებ წამიკითხავს, თავად ორის მუშაობას დავესწარი — რუსეთისა და საბჭოთა კავშირის. მათგან განსხვავებით ჩვენ პარლამენტს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს. იგი ხომ მრავალპარტიულია, მაგრამ მაინც გარკვეული კეთილგანწყობა სუფევს. (თუმცა, არის გამონაკლისიც), არის საკითხები, რომლებიც ყველას ერთნაირად ალაგვანთებს საერთო საქმის სასიკეთოდ. უკმაყოფილონი ყველგან და ყოველთვის იქნებიან, მაგრამ მიმაჩნია, რომ მაინც კარგად დავიწყეთ.

ჩვენს პარლამენტში არ არის გაუთავებელი დავა-კამათი და ლაქლაქი, როგორც იმ ორში, ჩვენთან საქმე კეთდება, დრო არ იკარგება. თუ რამე განსახილველია, ვმსჯელობთ. უზენაესი საბჭო არ არის კანონების შესაქმნელი ადგილი, ამაზე კომისიებმა უნდა იზრუნონ, პარლამენტმა კი უნდა დაამტკიცოს, ან უარყოს ისინი.

ჩვენი პარლამენტი ქმედითია, ყოველ შემთხვევაში, პრეზიდიუმში მსხდომნი, ბატონი ზვიადი, ბატონი ნემო და მე, მოწყენილები არა ვართ, რადგან მუშაობა საინტერესოდ გვეჩვენება.

— საარჩევნო ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური პლატფორმიდან, დღესდღეობით, პირველი ორი პუნქტი თითქმის შესრულდა. — მრავალპარტიული, საყოველთაო დემოკრატიული პრინციპით და ფარული კენჭისყრით არჩეულია საქართველოს უზენაესი საბჭო, გამოცხადებულია გარდამავალი პერიოდი, როცა ეს პროგრამა შეიქმნა, პოლიტიკური სიტუაცია სხვანაირი იყო. დღევანდელი გადასახედიდან ცვლილებების შეტანას ხომ არ აპირებთ პროგრამაში?

— მართლაც, სიტუაცია ამ პლატფორმის შექმნისას სხვანაირი იყო. მაგრამ, დღევანდელი გადასახედიდანაც ძირეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობას ვერ ვხედავთ. თუმცა, ალბათ, გარკვეული კორექტირება მოხდება, უფრო ტაქტიკური, ვიდრე სტრატეგიული.

ამ პლატფორმაში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ჩვენი მიზნები, და ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" ლიდერის ავტორიტეტთან ერთად, ამანაც ითამაშა გარკვეული როლი ჩვენს გამარჯვებაში.

— ძველი სტრუქტურების მსხვრევა უმტკივნეულოდ რომ არ მოხდებოდა, ცხადია, მაგრამ დღევანდელი საკადრო პოლიტიკა ერთგვარ უკმაყოფილებას იწვევს...

— ბუნებრივია, რომ ჩვენ ტაქტიკას გარკვეული უკმაყოფილება მოჰყვა. ხალხი ნაჩვევია ცხოვრების ძველ წესს. გვახსოვს, როგორ ხდებოდა დაწინაურება.

რაც ჩვენთან მოხდა, ჩვეულებრივი მოვლენაა ყველა ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში.

ვინც ავირჩიეთ, ან დაინიშნა, მგონი ღირსეული ხალხია, და რაც მთავარია, განწყობილნი არიან იმისათვის, რომ თავიანთი ენერგია სამშობლოს მოახმარონ. თუ ვინმეში შევცდით, ამას უახლოეს მომავალში დაინახავს ხალხი და პარლამენტიც და ყველაფერი ხალხის სასიკეთოდ გადაწყდება.

უკმაყოფილებას შეიძლება ისინი გამოთქვამენ, ვისაც რაიმე ხეირი ჰქონდა წინა ხელისუფლებისაგან, ანდა, ისინი, ვინც რაღაც იდეალურს, სასწაულს მოელოდნენ.

— თქვენი, როგორც ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარის, შეხვედრა ჩვენი გაზეთის მკითხველთან, არ მოხერხდა. ახლა ერთი რამ გვსურს გკითხოთ მხოლოდ. როგორი მომავალი უჩანს საქართველოში ტრადიციული ინსტიტუტების აღდგენას?

— სულ ვამბობთ, რომ ჩვენს კავშირს თავისი უშუალო ამოცანები, ერთგვარად უკანა პლანზე აქვს გადაწეული. დღეს, უმთავრეს ამოცანად ქვეყნის გადარჩენა და აღდგენა მიგვაჩნია. თუმცა, მალე, ალბათ, თავისი უშუალო ამოცანების განხორციელებასაც შეუდგება.

სასიხარულოა, რომ ჩვენი რიგები თანდათან იზრდება. მოხდა ძალიან სასიამოვნო ფაქტი, ჩვენთან გაერთიანდა რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია. იდეოლოგიურად ერთ პლატფორმაზე ვიდექით, იყო განსხვავება, სახელმწიფო წყობის საკითხში, მაგრამ ქართველი კაცისათვის არ წარმოადგენს პრობლემას მონარქიის აღიარება. ეს ძალიან კარგი პრეცენდენტია იმისა, რომ მოხდა გაერთიანება იდეოლოგიურად ერთ პლატფორმაზე მდგომი პოლიტიკური ძალებისა, ჩვენ ძალიან გახარებულნი ვართ, რადგან ყველასათვის ცნობილია, რომ ეს პარტია დიდ ინტელექტუალურ ძალებს, საუკეთესო პიროვნებებს აერთიანებდა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ბატონმა ირაკლი შენგელაიამ დატოვა ეს პარტია. გავძლიერდით ყველა თვალსაზრისით, და ახალი შემართებით ვიწყებთ ჩვენი უმთავრესი მიზნებისათვის ბრძოლას — ქართული იდეალების, ტრადიციების, ეროვნული სულისკვეთების აღორძინებისათვის; საქართველოში მემარჯვენე, დასავლური გაგებით, კონსერვატიული იდეების დამკვიდრებისათვის. და, რაც მთავარია, წმინდა სიმბოლური სახით, ქართული სამეფოს აღორძინებისათვის, მეფის ტახტზე აყვანისათვის.

ესაუბრა **ნათია ჯაყელი**

# კიდევ ერთხელ „მეორე მშობლიური ენის“ შესახებ

**ზურაბ ასკანელი**

ცნობილია თუ რა როლი ენიჭება ბილინგვიზმს იმპერიულ პოლიტიკაში; მეტროპოლიას საკუთარი ენა დაპყრობილ ქვეყანაზე გავლენის განსამტკიცებელ იარაღად ესაპიროება. საბჭოთა კავშირში იმპერიული ზრახვების შესანიღბავად შემოღებულია „მეორე მშობლიური ენის“ ცნება, რომლის მეოხებითაც რუსული ენა ათეული წლების განმავლობაში არათუ მხოლოდ გათანაბრებული იყო მკვიდრი მოსახლეობის ენასთან, არამედ, პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც იმყოფებოდა ეროვნებათა შორის საკომუნიკაციო დანიშნულების საფუძველზე.

მაგრამ ბილინგვიზმის მტკიცედ დასანერგად ცენტრი დასაყრდენს ეძიებდა, პირველ ყოვლისა, თვით ადგილობრივი მმართველობისა და სამეცნიერო-პედაგოგიურ წრეებში და თავისი მცდელობით იმდენს მიაღწია, რომ დღეს, როცა მას თავისი გასჭირვებია და ველარ იცლის სხვა ხალხებისათვის, უკვე ამ ხალხთა შორის ჩნდება რიგი ადეპტებისა, რომელნიც ველარ ელევიან ერთხელვე დაკანონებულ სტატუს-კვოს და არ ეთმობათ „მეორე მშობლიური ენით“ მოგვრილი სიკეთე.

ამ მხრივ, ნიშანდობლივია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ამ ზაფხულს გამოქვეყნებული შალვა ამონაშვილის წერილი „ძალთა მოკრების სათავე“ (27 ივლისისა და 3 აგვისტოს ნომრებში).

ავტორი რუსული ენისა და რუსული განათლების აუცილებლობას ქართველთათვის ასაბუთებს იაკობ გოგებაშვილის მოძღვრებაზე დაყრდნობით: — „მე იაკობ გოგებაშვილის აზრს მივყვებიო“— ამბობს და ყველა ქართველი პედაგოგის სახელით დაასკვნის: „ჩემთვის, ყველა ქართველი მეთოდისტისათვის, იაკობ გოგებაშვილის მოძღვრება მშობლიური და სხვა ენების სწავლების საფუძველთა-საფუძველია“. შემდეგ ნათქვამის მეტი დამაჯერებლობისათვის მოჰყავს ამონაწერი იაკობ გოგებაშვილის წერილიდან — „ძირითადი უკულმართობა“.

„რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად, სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის; მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებასა; მესამედ, იგი არის ენა ფრიად მრავლისა ერისა და მას მიუცილებლად მოელის ბრწყინვალე მომავალი, ერთი მსოფლიო ენათაგანის (**МИРОВОЙ ЯЗЫК**) როლი; მეოთხედ, იგი არის ენა ერთმორწმუნე ხალხისა და აქვს ლიტერატურა შინაარსით და მიმართულებით მსგავსი ქართულის ლიტერატურისა; მეხუთედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ, ხალხის სურვილმა და განგებამ შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა“.

საკვირველია, პედაგოგიური ნოვაციების დამამკვიდრებელი და ოთხსაზოვანი ბადის გარდამქმნელი ადამიანი იაკობ გოგებაშვილის წერილობითი მემკვიდრეობის მიმართ რომ დარჩენილა ორთოდოქსალურ პოზიციაზე. განა რა არის ამ ქვეყნად მარადიული, რომ გოგებაშვილის ყველა დებულება იყოს? რად არ გაითვალისწინა ავტორმა თუ რა პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა იაკობ გოგებაშვილსა და მისი თაობის მამულიშვილებს, რომელთაც დიპლომატიური მოსაზრებით რუსული ენის კი არა, ზოგჯერ თვით ხელმწიფე-იმპერატორის მიმართაც სჭირდებოდათ ხოტბის აღვლენა?! მაგრამ ეს ტაქტიკური სვლა იყო იმ პერიოდისათვის, რადგან ყოველ ჟამს არ ეგებიս კაცთაგან თავიანთი ჭეშმარიტი გრძნობების გამხელა.

გავიხსენოთ რა დრო იყო ის დრო, როდესაც იაკობ გოგებაშვილის ზემოთ მოყვანილი სიტყვები იწერებოდა: თვით ერის შიგნით, საკუთარი ღირსების დამდაბლებისა და გაუფასურების პირობებში იბრტყა გიორგი მუხრანბატონის თეორიამ მცირე ენების დიდ ენებში ათქვეფის შესახებ და უკვე 1889 წელს ცნობილმა ხალხოსანმა ივანე ჯაბადარმა შექმნა თეორიული საფუძვლები თავისი ანტიეროვნული, ანტიქართული მოძღვრების დასამკვიდრებლად. ხოლო თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სწორედ 1892 წლის დეკემბერში დაარსდა სოციალ-დემოკრატიული „მესამე დასი“, ეროვნების უარმყოფელი, კოსმოპოლიტური იდეოლოგიით, მხოლოდ მაშინ შევძლებთ სრულად გარკვევას იაკობ გოგებაშვილის სათქმელის ქვეტექსტებსა და სტრიქონებს შორის ჩადებულ აზრში. ქართული ენა იმხანად კანონგარეშედ იყო გამოცხადებული საქართველოში და როცა იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ძლიერ ადვილია კაცმა წამოროშოს: ხიდს ქვეშ ქართული ან რუსულიო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ მოძრაობა ტუტუცურის ენისა და სულელის ყელისა“-ო, ამ „ტუტუცურს ენაში“ და „სულელს ყელში“ სწორედ ქართველთ გულისხმობდა მააუგართ ქართული ენისას და არა რუსულისას. ხოლო, როდესაც რუსულ ენას მოუხმობდა ქართულის გვერდით, ეს თავისებური დიპლომატიური სვლა იყო. რომლითაც იგი ქართული ენის გადარჩენისათვის იბრძოდა. თორემ რუსული ენა იმჟამად ისედაც დიდ პატივში გახლდათ საქართველოში —ქართველი კაცი სწავლაშიც, მეცნიერებაშიც და საზოგადო ცხოვრებაშიც არათუ მხოლოდ უპირატესობას აძლევდა ამ ენას, არამედ თანადროულად აკნინებდა კიდევაც მშობლიურს! ამიტომაც უხდებოდა „დედა-ენის“ მოძღვარს რუსული ენისათვის ეზოპეს ხერხით ქებათა-ქების შესხმა, რათა მასთან ერთად მშობლიური ქართულის შესწავლის აუცილებლობაშიც დაერწმუნებინა თანამემამულენი და იმავე დროს თავისი ქცევით იმპერიის გუშაგთა გაბოროტებაც არ გამოეწვია. ამდენად, სამხილის ყოველგვარ მნიშვნელობას ჰკარგავს შალვა ამონაშვილის კიდევ ერთი ამონარიდი იაკობ გოგებაშვილის ნააზრევიდან, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

„ქართული ენა მეტყველ და მსმენელ არსებად ჰხდის ქართველს გლეხსა და მუშას მარტოოდენ ქართველთა შორის. ხოლო მათ იშვიათად არა აქვთ საქმე არა ქართველებთანაც, რომელთაც ქართული ენა არ იციან. ამ შემთხვევაში ჩვენი მუშა და გლეხი ხდებიან ყრუდ და მუნჯად. სხვებს მისი არაფერი ესმით და არც მას ესმის სხვისა. მათ ეს დიდ დაბრკოლებად მიაჩნიათ და უნდა თავიდან აიცილონ იგი. მაგრამ რა გზით? იმისთანა ენის საშუალებით, რომელიც მეტ-ნაკლებობით იციან კავკასიის სხვა ხალხებმაც და, რომელიც ხალხთა შორის ენას წარმოადგენს. **ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ახლანდელ პირობებში რუსული ენა.** (ხაზი ჩემია. — ზ. ა.), ჩვენებური გლეხი და მუშა გრძნობს, რომ ამ უკანასკნელი ენის ცოდნა გამოიყვანს ვიწრო კალაპოტიდან, სარბიელს გაუფართოებს, სხვა ხალხებთან დააახლოვებს და გაუხსნის დიდს ბაზარსა“.

საკმარისია მთელ ამ ციტირებულ ტექსტში ყურადღება მივაქციოთ კურსივით გამოყოფილ წინადადებას — **ამისთანა ენა, როგორც მკითხველს მოეხსენება, არის ახლანდელს პირობებში რუსული ენა“**, რომ ცხადი გახდება: იაკობ გოგებაშვილს ეს აზრი იმ „ახლანდელს პირობებში“ გამოუთქვამს, სწორედ დროსთან მისადაგებულად და არა სამარადჟამოდ სახელმძღვანელოდ. ხოლო, რადგან ავტორი ვერ ხედავს განსხვავებას მაშინდელ მიძინებულსა და დღევანდელ, თავისუფლების გზაზე დამდგარ საქართველოს შორის, შევახსენებთ, ვითარცა ფსიქოლოგს, აპერცეპტიული აღქმის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადამიანი ხშირად გაუცნობიერებლად გამოარჩევს მოვლენათა ერთობლიობიდან მათს ისეთ ნიშან-თვისებებს, რომლებიც სწორედ ამ კონკრეტული პიროვნებისათვის არის მისაღები, ამდენად, თუ ვინმე სადღეისო სახელმძღვანელოდ იყენებს სხვა დროისა და ეპოქის შესატყვის დებულებებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის ძვირფასია იქ ჩადებული აზრი, მას ვერ ელევა და არას დაგიდევთ დრო-ჟამისა და გარემოებათა ცვლილებებს.

ხოლო რაც შეეხება შალვა ამონაშვილისაგან კონკრეტულად მიჩნეული ტექსტის სადღეისო შეფასებას, იგი ძირშივე მცდარია იმიტომ, რომ **იაკობ გოგებაშვილი დღეს აღარ იტყოდა იმას, რაც 1892 წელს თქვა!** არ იტყოდა იმიტომ, რომ ის, რაც თავის დროზე დევნილი და შევიწროებული ენის გადარჩენისთვის სამსახურს ნიშნავდა, დღეს საკუთარი ერის ღალატად ჩაეთვლებოდა! გადავხედოთ ერთხელ კიდევ იაკობ გოგებაშვილის სიტყვას ამჟამინდელი ვითარების გათვალისწინებით და მასთან შესაბამისობით ვცადოთ დასკვნების გამოტანა, დავაკვირდეთ, რას ამბობს იგი, რატომ აქვსო მნიშვნელობა რუსული ენის შესწავლას:

**I. იგი არის სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხთათვის.**

შეიძლებოდა ამგვარი აზრები გასჩენოდა დღეს გოგებაშვილს? ცხადია, არა. იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ჯერ ერთი — რუსული ენა აღარ არის სახელმწიფო ენა საქართველოსათვის და მეორეც — საქართველო ყოველი საშუალებით იბრძვის ქვეშევრდომობისაგან თავდასაღწევად. გასაგებია, რომ საკითხის წინანდებურად დასმას იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ხალხი უკან, მონობისაკენ დაბრუნების მოწოდებად ჩაუთვლიდა.

**II. იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას.**

დღეისათვის ეს სრული ანაქრონიზმი გახლავთ, რადგან ვერავითარ კულტურულ განათლებას ვერ ვიღებთ რუსული ენის მეშვეობით; რუსული მეცნიერება და რუსული ყოფა უსაშველოდ ჩამორჩა მოწინავე მსოფლიო დონეს და რუსულ ენაზე გამოცემული სამეცნიერო შრომები და სახელმძღვანელოები მხოლოდ საუკუნის დასაწყისის მიღწევათა სიმაღლეზე იმყოფებიან. რუსული ენის „სიკეთეს“ განსაკუთრებულად თვალნათლივ გრძნობენ ის ქართველი მეცნიერები თუ კულტურის მოღვაწეები, რომლებსაც ხშირად უწევთ საზღვარგარეთ ყოფნა და ამ ენის სრულყოფილად ფლობის მიუხედავად, უმწეოდ და მიუსაფრად გრძნობენ თავს დიდ მსოფლიო თავყრილობებსა და სიმპოზიუმებზე.

**III. იგი არის ენა ფრიად მრავლისა ერისა და მას მიუცილებლად მოელის ბრწყინვალე მომავალი, ერთი მსოფლიო ენათაგანის (МИРОВОЙ ЯЗЫК) როლი.**

როცა ამ სტრიქონებს წერდა, გოგებაშვილი, რა თქმა უნდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მის მიერ ასე შესანიშნავად მიგნებულ განსაზღვრებას: „მრავლისა ერისა“— მომავალში მისი ერთი საქვეყნოდ გამოჩენილი თანამემამულე უფრო ალმატებულად, „დიდ ერად“ მოიხსენიებდა, მაგრამ ამით კი არ გარდაიქმნებოდა რუსული მსოფლიო ენად; „რუსული“ მსოფლიო ენად იქცა იმდენად, რამდენადაც იმ სამ ჯადო სიტყვას, რომელიც საბჭოების ყრილობის ტრიბუნაზე წარმოთქვა გენერალმა, უკლებლივ ყველა ერი ფლობს რუსულ ენაზე დედამიწის ყველა კუთხეში და წარმატებით იყენებს ამ ენის მატარებელი ხალხის შეიარაღებული კონტინგენტის მიმართ: დასავლეთში ჩეხოსლოვაკიიდან დაწყებული—აღმოსავლეთში ავღანეთით დამთავრებული.

**IV. იგი არის ენა ერთმორწმუნე ხალხისა და აქვს ლიტერატურა შინაარსით და მიმართულებით მსგავსი ქართულის ლიტერატურისა.**

აქ უნდა ითქვას, რომ თვით სულგანათლებული იაკობიც ვერ წარმოიდგენდა მოვლენათა საუკუნისშემდომ განვითარებას. მეცხრამეტე საუკუნე, მართლაც, ისეთი ოქროს ხანა აღმოჩნდა რუსული ლიტერატურისათვის, რომ პოეტმა მურმან ლებანიძემ ამ მოვლენას საგანგებო ლექსიც კი მიუძღვნა— როგორადაც არ უნდა სძულდეს კაცს რუსეთი, ასეთი დიდი ლიტერატურის უარყოფას მაინც ვერ შეძლებსო. რას წარმოიდგენდა მაშინ გოგებაშვილი, რომ ეს ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნის შემდგომ, განვითარების ნაცვლად ისე დაკნინდებოდა, რომ იმ „დიდი ლიტერატურის“ შორეული აჩრდილიც კი აღარ დარჩებოდა.

და ბოლოს. **V. იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ, ხალხის სურვილმა და განგებამ შეაერთა ბედი საქართველოსი.**

იაკობ გოგებაშვილი მაშინ ხმამაღლა ვერ იტყოდა, თორემ მან, ცხადია, შესანიშნავად იცოდა, ხალხის რაგვარმა „სურვილმა“ შეაერთა საქართველო რუსეთთან. ამდენად: იმ დროისათვის, როდესაც საქართველოს ისტორიისა და ბედის განაჩენი სასიკეთოდ შეეცვლებოდა — ისე, როგორც დღეს ხდება, ბუნებრივია, თავის ხალხს აღარ გაიმეტებდა ძალადობით თავსმოხვეული ენისათვის. მით უფრო, რომ ამ დროისათვის უკვე ნათელი იქნებოდა მისთვის: რუსულმა ენამ ჩიხში მოამწყვდია ქართველი კაცი, რადგან ჩვეულებრივი, ლინგვისტურ ნიჭს მოკლებული ადამიანისათვის ერთი უცხო ენის შესწავლა, როგორც წესი, მისი შესაძლებლობის ზღვარს წარმოადგენს და ამ ენად მას უკითხავად რუსული ენა შესთავაზეს. ამით მისი მოქმედების ასპარეზი იმპერიის საზღვრებში მოაქციეს, რუსული ენის მთელ საქართველოში დანერგვით ქართველობა საკუთარი კულტურის არეალში ჩაიზიარეს და სხვა ქვეყნებისაკენ სამტროდ თუ სამოყვროდ გახედვის საშუალება დაუხშეს.

ასე რომ, დღეს, როცა ვიბრძვით კოლონიური მონობის სულიერი და ფიზიკური უღლისაგან თავდასახსნელად, მისი ვერბალური გამოვლენის, „მეორე მშობლიური ენისაგანაც“ უნდა განვთავისუფლდეთ და შალვა ამონაშვილის კითხვაზე: „რას ვიზამთ, აღარ ვასწავლოთ“? უნდა ვუპასუხოთ: დიახ, აღარ უნდა ვასწავლოთ, **როგორც მეორე აუცილებელი ენა!** ქართველი ბავშვისთვის მისი მშობლიური ენისაგან განსხვავებული სტრუქტურული აგებულების მეორე ენა სრულიადაც არ არის აუცილებელი რუსული იყოს! ქვეყნად მრავალი ენაა მასზე უფრო ძველიცა და დღეისათვის საკომუნიკაციოდ მასზე მნიშვნელოვანიც. პირველთა მაგალითად თუნდ ხპარსული და ებრაული გამოდგება, ხოლო მეორის — საერთაშორისო ურთიერთობათა აღიარებული ენები: ინგლისური, ფრანგული თუ გერმანული. უცხო ენათაგან რუსული ენის ხელოვნურად გაბატონებით შეგნებულად ვუკვეცავთ მოზარდებს გზას ამ ენებისაკენ.

ბატონი შალვა კი, რამდენადაც მას რუსული ენა არ ეთმობა, მისი უფლებების დასაცავად ერთ ეშმაკურ კითხვასაც სვამს თავის წერილში:

„დავუშვათ თუ არა, რომ არაქართულ საბავშვო ბაღებში 4-5 წლის ბავშვებს ქართული ლაპარაკი ვასწავლოთ? დავუშვათ თუ არა, რომ ქართული ენის სწავლა არაქართულ სკოლებში I კლასიდან დავიწყოთ?

მე ვფიქრობ, უნდა გავაკეთოთ ეს.

და დარწმუნებული ვარ, რომ თუ ამ საქმეს კარგად დავაყენებთ, არაქართველ ბიჭუნებსა და გოგონებს გონება არ დაეხშობათ, პირიქით...“

გაოცებული მკითხველი, რა თქმა უნდა, იკითხავს, თუ რომელ რუსულ ენას ვგულისხმობდით: აქ ხომ მხოლოდ ქართულ ენაზეა ლაპარაკი. ეშმაკობა სწორედ იმაში გახლავთ, რომ არაქართველი ბავშვების მიერ ქართული ენის სწავლების აუცილებლობაზე დაშიფრული საუბრის ბოლოს ავტორი მოელის პასუხს: — რაღა თქმა უნდა, რომ ამ ბავშვებს გონება არ დაეხშობათ! და იქვე მზად აქვს კონტრარგუმენტი: თუკი არაქართველ ბავშვებს გონება არ დაეხშობათ ადრეულ ასაკში, ქართული ენის სწავლით, მაშ, ჩვენ რაღად გვიკრძალავთ იმავე ასაკში რუსული ვასწავლოთ ქართველებს, მათ რა, სხვაგვარადა აქვთ გონება მოწყობილი?

მაგრამ ეს ფსიქოლოგიური წიაღსვლა, ზემოთ ნახსენები აპერცეპტიული აღქმისა არ იყოს, ინტრასპექტულ, სუბიექტურ განსჯაზეა დაფუძნებული და დაბეჯითებით ვერ დავიწყებთ მტკიცებას, რომ გინდა თუ არა, სწორედ ამოვიცანით ავტორის იდუმალი ზრახვანი. მაგრამ იმ კითხვაზე კი, რომელიც საბავშვო ბაღთან დაკავშირებით არის დასმული, უნდა ვუპასუხოთ ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე: **არაქართულ საბავშვო ბაღში 5 წლის ბავშვს არ უნდა ვასწავლოთ ქართული. მან ეს ენა ბაღში წასვლამდე უნდა იცოდეს!**

ვკითხოთ ბატონ შალვა ამონაშვილს, თუ შეუძლია მას წარმოიდგინოს მოსკოვში ან პარიზში დაბადებული და გაზრდილი ქართველი ბავშვი, რომელმაც 5 წლის ასაკში შესაბამისად რუსული ან ფრანგული არ იცოდეს? ძნელად რომ იპოვებოდეს. მაშ, ჩვენთან რაღაში ყოფილა საქმე? ან იქნებ საქართველო არ არის რუსეთისა და საფრანგეთის ფარდი სახელმწიფო? მართალია, არ არის, მაგრამ უნდა გახდეს! ბოლოს და ბოლოს, საქართველო ხომ იმპერია არ გახლავთ, ძალადობით რომ ჰყავდეს რომელიმე ერი დაპყრობილი. საქართველოში სხვადასხვა ეროვნებანი ჩამოსახლებულნი და დამკვიდრებულნი არიან. ამიტომ, თუ სტუმართმასპინძლობის ნორმებით ვილაპარაკებთ, საქართველოშიც უნდა ამოქმედდეს კანონი, რომელიც მოქმედებს ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოში: **ქვეყნის ყოველმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფო ენა, ხოლო სხვა ენების (მათ შორის მშობლიურისაც) ცოდნა დამოკიდებულია ბავშვისა და მისი მშობლების ნება-სურვილზე!**

მაგრამ ეს კანონი, როგორც მოგეხსენებათ, მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოებში მოქმედებს. მისი მიღწევა კი მეტად გაძნელდება „მეორე მშობლიური ენის“ შეგნების მქონე ერში, ხოლო. თუ ერს არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი ენის საყოველთაო, უნივერსალური საკომუნიკაციო მნიშვნელობა და მას არ შეუძლია არსებობა „მეორე მშობლიური ენის“ დახმარების გარეშე, მაშინ იგი არც არის სუვერენული სახელმწიფოს ღირსი!

წელს აკაკის საიუბილეო წელიწადია. რაღაც აღარ არის ის აღტყინება და საზეიმო აღფრთოვანება, რასაც ველოდი (გასაგებია რატომ). სურვილი მასზე ფიქრისა მოკრძალებით თუ შეგახსენებს თავს, ვნებით მოგელამუნება მისი უძვირფასესი პოეზიიდან მომდინარე „ალმური", რომლის თუნდაც ერთხელ განცდილ სიმხურვალეს ვერასოდეს დაივიწყებ და იმ პირველი სიყვარულის სინორჩით განიცდი.

აღმაფრენა — აი დასაწყისი და საბოლოო წერტილი მისი ლირიკული აღსარებისა. ისინი მთლიანად — თითქოს გაბრძოლებას ანსახიერებენ აღმაფრენის უფლებათა აუცილებლობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ „სატრფო-სამშობლოს" შელახულ-შეგინებული ხატი თავის წილ მიწიერ ყურადღებას მოითხოვდა.

ეს ღვთაებრივი ლირიკოსი ხულითხორცამდე გრძნობდა, რომ პოეზიაში აღმაფრენას მინდობილი პოეტი მეფეა, რომ ამ ციურ ტახტრევანზე მჯდარი, ვითარცა მეფეთვითმპყრობელი, არავისგანაა დამოკიდებული...

მაგრამ, მან ისიც კარგად იცოდა, რომ გულწრფელ ჭირისუფალს მონატრებული თანამოძმე, საერთო ეროვნული გლოვის ჟამს „წმინდა პოეზიაზე" მეტად ზნეობრივი ძალმოხილებით აღბეჭდილ მხატვრულ სიტყვას უფრო საჭიროებდა.

ეს იყო ღირსეული და კეთილშობილი „კომპრომისი", რომლის ერთგული ბოლომდე დარჩა...

მისი ამ ტიპის ლექსები არის არა პოეტური, არამედ პრაქტიკული (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) credo აკაკისა, რაც შთამომავლობასთან შეურყვნელი გადაძახების ერთგვარ ნიშანსაც წარმოადგენს.

ამ გაორებულ ამპლუაში განტოტვილი პოეტი-წინასწარმეტყველი, თავისი უკიდურესად გამახვილებული ყურადღებით ჩასწვდა სამყაროს უმაღლესსა თუ უმდაბლეს გამოვლინებებს, შეისმინა და შეიგრძნო ყოველივე, რაც „ხდებოდა", ანგელოსების უნაზეს ფრთათა ტლაშუნიდან ყვავილთა სუნთქვამდე...

მაგრამ ხომ ნათელია, რომ ის, ვისაც თვალი აეხილა სამყაროს იდუმალი მშვენიერების სახილველად, კიდევ უფრო ტანჯვით შეიგრძნობდა ადამიანურ მახინჯ სინამდვილეს... ამის მერე იწყება, მართალი სიტყვით ამ „მიწიერების" წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა...

აკაკი, ვითარცა უფაქიზესი ლირიკული შედევრების ავტორი და აკაკი — მრისხანე, დაუნდობელი, უზნეობისა და სიმახინჯის ბრძენი მკურნალი...

ამ სიბრძნის ნესტარიდან გამომავალი მართალი სიტყვა მხოლოდ მსუბუქი დასუსხვით არ კმაყოფილდებოდა და დაუნდობლად სწვავდა ადამიანთა გულებს, იმიტომ, რომ თვით ეს ნესტარი, აკაკის გულიდან ანთებული სიყვარულის ცეცხლით იყო გავარვარებული...

ილიასა და აკაკის ეს უნიკალური ნიჭი საერთოდ უპრეცედენტოა ქართულ პოეზიაში...

კიდევ ერთხელ მინდა გავუმეორო ჩემს თავს, რომ წელს აკაკის წელიწადია...

●

რა დაუოკებელი ვნებათაღელვა ქროდა ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების სულიერ ცხოვრებაში. ევროპის „მაცდური" პოეტური იდუმალება სულ სხვა თრთოლვის მოლოდინით ავსებდა ახალგაზრდა ლიტერატორთა გულებს...

მუსიკალურ მელოდიებად გადამდნარი სიტყვის ბუნდოვანება, მასში შორეულ ნისლივით მერყევი სილუეტების მომხიბლავი და გონების ნებიერად მომთენთავი მირაჟები... პოეზიის სრულიად აბლებური ამეტყველების ფარული სიხარული... ყოველივეს დასაწყისი და დასასრული მუსიკაა, ხოლო სურვილი, ენობრივი ქსოვილის მხოლოდ იმგვარი ჰაეროვანი წყობა, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდებოდა იმ ღვთაებრივ ეფექტს, რასაც ადამიანის გრძნობად არსებაში ბადებდა წმინდა მელოდია.

იმ წარმტაცი პოეტურ-ინტელექტუალური „ალრევის" ჟამი აღბეჭდილი იყო თეორიული ძიებებით, დიდი გაბედულებითა და ცეცხლოვანი სულიერი ანთებებით, წმინდა გულწრფელი ლოცვითა და დაუნდობელი შეხლა-შემოხლით. ფესვეული ამ შემთხვევაშიაც, რა თქმა უნდა, ყველა დროს უნაზესი და საკრალური „საჭილდაო ქვა"—ენაა, ანუ მისი ორიგინალური განცდის ახლებური წაზნაგების თავაწყვეტილი ძიება.

დარჩეს თუ არა ქართული ლემიწიერ ცხოვრებას საბოლოო წერტილი...

სასაცილოა გულუბრყვილო სეროიზულობით მიჰყვე „აკადემიური" სიმშვიდით გაწონასწორებულ, დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებული მისი ცხოვრების გზას და მხოლოდ რამდენიმე მიწიერ-რომანტიკული „ექსცესით" აიღელვო გული, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ წვეთია იმ მტანჯველი სულიერი ბიოგრაფიის ბობოქარ ტალღებში, რომლის გრგვინვის შორეული ექო მისი პოეზიის სახით თუ აღწევს ჩვენამდე...

მისი პირადი წერილები უხმაურო და განსაცვიფრებლად ბუნებრივი გამოტირებაა ყოველივე იმიმაზესი ჩუქურთმებით მოვარაყებული ჩარჩო ყოფილიყო, რომლის სიღრმიდან უკეთ აღიბეჭდებოდა პოეტის სულის მჭმუნვარე სილუეტი...

ეს იყო ტრაგიკული მარტოობა, რომელსაც თვალსა და ხელსშუა უქრებოდა ჭერ კიდევ მოციმციმე ცხოვრების სანთლები...

მისი რამდენიმე უკანასკნელი ლექსი პოეტის სულის ფარული მოძრაობის საოცრად მეტყველი ანარეკლია, რომელთა მეტაფიზიკურ ნისლოვანებაში ძალუმი ვნებით თრთის დაუმცხრალ და გადაულახავ ოცნებათა საბედისწერო ნიავქარი...

მოვლენათა ჩვეული მიწიერი წეს-

# ვარიაციები

## გურამ ბენაშვილი

ქსის ტრადიციული ფორმები, მოშორდეს რა მას აღწერილობითობა, ზნეობრივი შეგონების მოდუსი, ქადაგების პრეტენზია... ისინი იუველირის სინატიფით „ხწმენდნენ" ლექსის სათუთ სხეულს გონებაჭვრეტითი ზადისაგან, რადგან მუსიკალური მელოდიისათვის ამგვარი რამ შეურაცხმყოფელი იქნებოდა, პოეზიის „ალქიმიკოსთა" ორდენის სხვა წარმომადგენელთა ფუნქცია კიდევ სხვა იყო... საგანთა მნიშვნელობის უსაზღვრო განვრცობა, მათი მეტაფიზიკური მრავალსახოვანი უკუფენის პოეტური ინტერპრეტაცია... ისინი დახვეწილი მხატვრული წარმოსახვების ჯადოსნური ფუნჯით ქმნიან ზღაპრულად ალივლივებულ სამყაროებს, რომლის ყოველი მერყევი საგანი თუ ნიღაბი იყო მხოლოდ მინიშნება, რომელიც რადიკალურად განიზიდებოდა ყოფიერების ჩვეულებრივი მატერიალური განცდიდან... ყველაფერს თავისი ირაციონალური „ფერ-ხორცი", სუნთქვა და აზროვნება გააჩნდა...

ამ მძლავრი პოეტური „ფიესტას" მონაწილე, რამოდენიმე გულდინჯმა შემოქმედმა ლექსის ფორმის რეკონსტრუირებაც სცადა, მათი ძიების წყურვილით აღბეჭდილმა „თვალთახედვამ" ინტუიციით იგრძნო ძველი, ტრადიციული პროსოდიის დაუფლებისა და გაშინაგნების აუცილებლობა. ამ ძვირფასი, „საუნჯით" აღჭურვილებისათვის აღარ წარმოადგენდა სიძნელეს გადმოენერგათ საკუთარ ლექსებში საორკესტრო ტემბრის განსხვავებული ვარიანტები — ძველი ხალხური პოეზიის გულუბრყვილო და უშუალო მშვენიერებიდან, ქართული კლასიკური ლექსის უნატიფეს ფორმებამდე...

ეს იყო ჟამი, ქართველ სიმბოლისტთა უწმინდესი შემოქმედებითი წვით აღბეჭდილი, სამუდამოდ ჩავლილი და მხოლოდ შორეულ ოცნებებში წარმოსადგენი...

●

რად არის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია კრთომაშეპარული მოწიწებისა და უკიდურესად გაფაქიზებული ფიქრის საგანი... რატომ დგას იგი ასე ახლობელი და ასე შორეული, უცხო და მიუწვდომელი განცალკევებულ, ნისლებმოსვეულ მწვერვალზე, ვითარცა უიღბლო, ბავშვური საყვედურით აღბეჭდილი ობოლი სული...

რა იყო მისი სიცოცხლე თუ არა ამაღლებული ვნებათაღელვის ფუჭად მფლანგველი ჭაბუკის ფერმიხდილი ცხოვრება, რომელიც განმარტოების ჟამსღა უბრუნდებოდა საკუთარი სულის უძირო ნაპრალებს, რათა მისი შემზარავი სიღრმეებიდან ძალუმად ამოეზიდა მარტოდშთენილი ანგელოსის ღვთაებრივ ჰანგად გარდასახული უძირო სევდა, დაუნჯებული ქვითინი და რაღაც არაამქვეყნიური სივრცეების ნოსტალგია...

მან თვითონვე დაუსვა საკუთარსა, რასაც მიწიერი „სურნელის" მიუხედავად, მაინც გააჩნდა ტკბილი ილუზიებით სულის ავსების პერსპექტივა, პასტორალური უბიწოებით აღბეჭდილ სივრცეში დანთქმის მოლოდინი და მარტოსულის ტანჯულ ყოფასთან შერიგების მკრთალი სურვილი...

სუბსტანციური ნიშანი მისი სულისა — დაძაბული და უკიდურესად კონცენტრირებული ფიქრის პროეცირება საკუთარ თავზე, რაიც პოეტის პირადული გრძნობის საშინელ ძალას ამჟღავნებს... იგი არ არის, და ვერც იქნება ცხოვრებაში მიმობნეულ მაცდურ სიტკბოებათა მიმართ ლაღი და გულგახსნილი. რაზეც არ უნდა დაყოვნდეს მისი ყურადღება, რა წარმტაცმა სივრცეებმაც არ უნდა წარიტაცონ მისი თვალთახედვა, ტკბობით აღბეჭდილი ეს გარინდებები მხოლოდ წამიერია... ვითარცა ნატყორცნი ბუმერანგი, მისი მატერიალური სივრცეებისაკენ გაჭრილი ფიქრი შეჰკრავს რა ულამაზეს ირაოს, საოცარი სისწრაფით მოიჩქარის საკუთარი სულის სიღრმეებისაკენ და მხოლოდ იქ ჰპოვებს თავის ერთადერთ ბუნებრივ ნავსაყუდარს...

შესაძლოა, არც ერთ ქართველ პოეტს არ გააჩნდეს პიროვნული თვითშეგნების იმგვარი არაადამიანური ძალა, როგორიც „მერანისა" და „სული ობოლის" გენიალურ ავტორს...

სუბიექტური საწყისის უმძლავრესი იმპულსი ის წინაპირობაა, რომელიც ჭაბუკი პოეტის ცხოვრების აზრს შეგნებულ და ღრმადგაცნობიერებულ სიღრმეს ანიჭებდა... ბუნებრივია, მის მიერ განცდილი, პოეტურ ქმნილებებად გარდაისახებოდა, რომელნიც თავის მხრივ ახალი „ცდუნებებით" ტვირთავდა პოეტის სულს...

ჩვენ ვიცით, რომ იგი უიღბლო სიყვარულის განცდებსაც „ელაციცებოდა"...

თითქოს უცნაურია, რომ თითქმის ყოველი გრძნობამოჭარბებული პოეტისათვის მუდამ თანმდევი ეს განცდა, ბარათაშვილის პოეტურ მედიტაციებში ფრიად მოკრძალებული უფლებით წარმოსდგება... მან ვერ დაფარა, უფრო სწორედ კი ვერ შეანელა პირადი, სპონტანური ძალისხმევიდან დაძრული სულიერ აღსარებათა მძლავრი ნაკადი... მან ვერ ჩაკლა პოეტის მე-ს მეუფება ყველასა და ყველაფერზე...

სიყვარულს, შესაძლოა უკვე იმიტომ აღარ შეეძლო ყოფილიყო სიცოცხლის (თუნდაც შემოქმედებითი სიცოცხლის) ავსების საწყისი, რომ მას, ვითარცა საკუთარ სულთან უსაზღვროდ შეთვისებულს, მის იდუმალ ლაბირინთებში ოცნებით მოხეტიალეს, უყვარდა საკუთარი სიყვარულის განცდის მდგომარეობა, ანუ სიყვარულის საკუთარ სულში გამოძახილი და არა სხვა რამ...

გასაგებია, ამგვარ სიყვარულს შეეძლო მხოლოდ გრძნობის ულარიგისა და სულისშემხუთავი რეგლამენტაციების ჩარჩოებიდან ამოვარდნილი, იგი სიცოცხლის ფარულ, სხვასამყაროული კანონზომიერების, ანუ უნაპირო და თავისუფალი გონიერებით განათებული სივრცის წყურვილით იყო გაოგნებული...

ბოლოსა და ბოლოს, იგი საკუთარი ბედისწერის ყოვლწამიერი შეგონებების მსხვერპლი შეიქნა, რომელიც ზხამივით აწვეთებდა მის უჩვეულოდ გაფაქიზებულ ყურთასმენას ნეტარი სიტკბოებით აღბეჭდილ სიტყვებს, რომ ის არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი და ამიტომ უნდა დაეთრგუნა მიწიერებასთან წილნაყარი აპრიორული ბოროტება, ანუ ყოველივე ის, რაც მას მიწისაკენ ეზიდებოდა... ამგვარად განწმენდილს, სხეულით ჯვარცმულსა და სპეტაკი სულით ამაღლებულს უნდა შესძლებოდა დამარცხება მის ირგვლივ შეუვალის ილუზიით თავალერებული და მოზეიმე ბოროტებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მასაც,ისევე, როგორც მრავალსა და მრავალ სხვა მოკვდავს, მიუხედავად გენიალური ნიჭისა, მოკრძალებითა და უპრეტენზიოთ უნდა გაეწია ცხოვრების მძიმე ჰაპანი... საბედისწერო ამ არჩევანში ის იყო, რომ ვისაც არ შეეძლო მოწამის ეკლიანი გვირგვინის სიმაღლემდე აზიდვა და არც ჩვეულებრივი ადამიანური სიმშვიდით დაკმაყოფილება, თვითონვე, თავისი ნებით მიექანებოდა აღსასრულისაკენ...

ამიტომაც, ალბათ, ლოგიკურია სულის ის გამაოგნებელი იდუმალი ქარიშხალი, რომელმაც ჭერ მოსვენება დაუკარგა, ხოლო სულ მალე შეუბრალებლად დასცა დაბადებიდანვე დასაღუპად განწირული გენიალური ჭაბუკი...

●

მაღალი ნიჭით აღბეჭდილი ინდივიდუალობა ვერასოდეს გუობდა და ვერც დღეს იგუებს, სხვისგან ნაკარნახევ სულიერ დისციპლინას...

თვით მოახლოვებული „ჯვარცმის" წინაშეც კი, იგი, სრულიად ეული, ღვთისაგან გამოძერწილი ბუნებრივი სახით დგება და ღრმა შეურაცხყოფად ! მიაჩნია ჟამთა ცვლის შესაბამისი ნიღბებით „კოკეტობა"...

რა საინტერესოა, რომ, იმავ დროს, საშუალო ნიჭით „დაჭილდოებულნი" ყოველთვის ორგანიზებულნი არიან, რადგან მხოლოდ გუნდად ყოფნის დროს გრძნობენ თავს რაღაც ძალად...

უფრო ხშირად, დამოკიდებულება ამ „ობლადშთენილთა" და სიმრავლით „გაბატონკაცებულთა" შორის, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილგანწყობილია...

მერე და მერე, ჟამით აღზევებულთა განაჩენით შერყვნილ, სულიერი თავისუფლების „ურჩ" აღმსარებელთა საგულდაგულოდ გაბუნდოვნებულ „პორტრეტებს" დრო, ანუ ერის ისტორიული მეხსიერება მოწიწებით აცლის ხელოვნურ ლაქებს, რათა შთამომავალთათვის ბოლომდე გაცხადდეს გარდასულ ეპოქათა სულიერების ჭეშმარიტი სახე...

სამწუხაროა, რომ ჩვენი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის ამგვარი „პროცესები" პერმანენტულია... დაკარგავს კი ოდესმე იგი თავის ტრაგიკულ ძალმოხილებას...

●

დღეს არ არის სენტიმენტების დრო. მიუხედავად ამისა, თავს მაინც მივცემ უფლებას, სულ რამდენიმე სიტყვით გამოვხატო სევდა ჩემი გარდაცვლილი, უახლოესი და უძვირფასესი პიროვნების 80 წლისთავის გამო.

მის ჩანაწერებში, ჩემთვის საოცარი ერთი დღის ქრონიკა ამოვიკითხე... ათრთოლებული ხელწერითაა მასში გამჟღავნებული მისი ერთადერთი ვაჟის დაბადებით გამოწვეული სიხარული. იმ გაჭირვების ჟამს, მაინც ქართული ტრადიციის ერთგული დარჩენილა და ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასთან, ბატონ გიორგი შატბერაშვილთან და ბატონ ვიქტორ გაბესკირიასთან ერთად, „საზეიმოდ" აღუნიშნავს ეს მისთვის უბედნიერესი დღე... გავიდა, სამწუხაროდ ასე მალე გაფრენილი წლები ულამაზესი მამა-შვილობისა, რომლის უმკრთალეს კონტურებს მხოლოდ მოგონებებშიღა აცოცხლებ. გაბუნდოვნდა ბევრი და ბევრი რამ, თუმც მისი ძლიერი სულის მართალი ნაბიჯები, გულუბრყვილო და ცამდე პატიოსანი პიროვნების ცოცხლად შემონახული ნათელი, არ ფერმკრთალდება და ვინძლო სულიერ საგზლად გამყვეს მთელ ჩემს ცხოვრებას... სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ანუ სიკვდილისათვის მზადების ჟამი, თავისი პირადი არქივის მოწესრიგებას მოანდომა. იგი არავის ანდობდა იმ მისთვის უძვირფასეს ჩანაწერებს, რომელთაც მხოლოდ მისი არყოფნის შემდეგ უნდა მოეთხროთ მისი ავტორის სულიერი და ფიზიკური ცხოვრების ისტორია...

მძიმე ავადმყოფობის გამო მან დიდი ხნით დაჰკარგა ცნობიერება და არაადამიანური წამებით გაეცალა ამ წუთისოფელს... ო, რა ძნელია სნეულების ნამუსრევად ქცეული მამის წამებული სახის დავიწყება... ღმერთო, ამგვარად ნუ დაამახსოვრებ ნურავის შვილისათვის ყოველთვის ამაყსა და რაინდ მამას...

გავეცანი მის არქივს, და მივხვდი, რატომ მიმალავდა, რატომ არ სურდა მის სიცოცხლეში გამეგონა ის სულისშემზარავი ქვითინი, რაც მისი სულიერი ნალვაწიდან ასე აშკარად ისმოდა...

შვილი ვერ იქნება ობიექტური მსაჯული მათი ჭეშმარიტი ღირებულებისა...

მე სხვა რამ მინდა ვთქვა... კერძოდ ის, რომ ყოველი ფურცელი ამ საკმაოდ ხვავრიელი სულიერი მემკვიდრეობისა გაჯერებულია ჩვენი ქვეყნის უახლოესი 70 წლიან ისტორიის შემზარავი სიქულვილით.

მასში ბევრი რამ სრულიად აბლებურად განგაცდევინებს ცხოვრებაგამწარებული ადამიანების უსაზღვრო ტრაგედიას, დაკარგული სიჭაბუკის სიმწარეს და სულშერყვნილი თაობის ოხვრასა და ვაებას...

თურმე, რა არაადამიანურ ტკივილებს დაატარებდა ეს უსათნოესი, ღიმილიანი ვაჟკაცი... კიდევ კარგა ხანს გაუძლია მის ჯანმრთელსა და ძლიერ სხეულს და რომ არა წარსულით შეწუხებული და განადგურებული გონება, ვინ იცის, მასაც თავისუფლად წარმოეჩინა (თუნდაც მხოლოდ ჩემს წინაშე) თავისი სათუთად შენახული შემზარავი სიმართლე...

რა მხურვალე ცრემლით დასატირებელნი არიან ადამიანური ცხოვრებისათვის გაჩენილი, მაგრამ უიღბლო და პატივაყრილი, თუმც მაინც სულით ამაყი საბრალო მამები...

... ჩაქრა და ჩაიფერფლა აღტყინება... კვლავ სევდიანი სიყვარული მინდა შემოვავლო ჩემს დაღ-

(დასასრული მე-6 გვ.)

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 49.

(დასასრული)

ლილხა და დაჭანცულ, დღეს უკვე 80 წლის დაბერებულ მამას...

კარგად ვიცი, რომ დღეს სენტიმენტების დრო არ არის... და მაინც ჩამთრიხჭირს ხევდასა და მოწყენილობას აჰყვა, ისედაც ულიმღამო და ხალისდაკარგული გუნება-განწყობილება. ტკბილი ოცნებები კარგა ხანია წეროებივით ხევა, უცხო მხარეებისაკენ გაფრინდნენ და არავინ იცის, დაბრუნდებიან თუ არა ოდესმე...

რა განსაცვიფრებლად საბრალოა ადამიანის გული. ყოველთვის ერთნაირი... გვიბრუნდებიან ისევ და ისევ ერთი და იგივე ტანჯვანი, სურვილები, სისუსტეები, შეცდომები, სიამოვნებანი, და რა თქმა უნდა, იმედები... ეს უწარმტაცესი, მაგრამ თითქმის ყოველთვის ცის უსაზღვროებაში გაუჩინარებული ღრუბლები...

●

გულსაკლავ და გამაოგნებელ ცნობებს ამოიკითხავ ზოგჯერ შენი სამშობლოს გარდასული ყოფის შესახებ. წარსულის მრავალ ზნეობრივ იარათა შორის ჩვენც კარგად ვიცით ერთი, ყველაზე უფრო სამარცხვინო და მოუნელებელი რამ — ქართველის მიერ ქართველის მოტაცება და გაყიდვა. ამაზე აღარ მინდა სიტყვის გაგრძელება. ამ შემზარავმა ლაქამ სხვადასხვა ქვეყნის მოგზაურთა, მისიონერთა თუ ისტორიკოსთა მემუარულ-ქრონიკალური ხასიათის ოპუსებში უკიდურესად უტრირებული სახე მიიღო, და აი რა „ამაღელვებელ" სიმახინჯედ გადაიშალა XVIII საუკუნის დიდი გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის, რაც მთავარია, განმანათლებლის იოჰან გოტფრიდ ჰერდერის მონუმენტურ ნაშრომში „იდეები კაცობრიობის ისტორიის ფილოსოფიისათვის" (მოსკოვი, 1977 წ. გვ. 491). თვალს გადაავლებს რა ქრისტიანობის გავრცელებასა და მის კეთილისმყოფელ გავლენას სომხეთზე და იძლევა რა ამ ქვეყნის საკმაოდ სიმპათიურ სურათს, ჰერდერი ამგვარად აგრძელებს „ქრისტიანული აზიის ერთ-ერთი პროვინციის" — საქართველოს წარმოჩენას — „კიდევ უფრო საცოდავია — სწერს იგი — ქრისტიანული საქართველოს ბედი. აქ არის ეკლესიები და მონასტრები, პატრიარქები, ეპისკოპოსები, ბერები; ქართველი ქალები — ლამაზები, ქართველი კაცები — გულადები; და მაინც მშობლები აქ ყიდიან შვილებს, ქმრები — ცოლებს, თავადები — ქვეშევრდომებს, მორწმუნენი — მღვდლებს. უცნაური ქრისტიანობაა გამეფებული ამ სულით მხნე და გულით მუხთალ ქურდ ხალხში (народце)".

აი, ყველაფერი ის, რაც გენიალურმა გერმანელმა განმანათლებელმა უთხრა თავის ხალხს და ზოგადად ევროპასაც ქართველთა ქრისტიანიზაციისა და ამ რელიგიით „გაკეთილშობილებულთა" ცხოვრების წესის შესახებ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ისტორიულად ჩვენ ის ერი ვართ, რომლის წიაღში წარმოქმნილი უზნეობის უმცირესი ნაპერწკალი ჩვენი „გულმხურვალე მეზობელ-ნათესავთა" ხელშეწყობით უზარმაზარ ხანძრად უნდა გადაიქცეს და „გულწრფელად" უნდა შეაწუხოს ჰუმანური და ცივილიზებული ერები. ჩვენ ახეთი ბედი გვარგუნა ღმერთმა და ხულ ამაოა ამ ფატალური „კირთებიდან" თავდახსნის ცდა. გამოსავალი მხოლოდ ერთია, და ჩვენ ყველამ მშვენივრად ვიცით ამ ერთადერთი გამოსავლის უსაშველო სიმძიმეცა და ნეტარი სიმსუბუქეც... სამწუხაროდ, მხოლოდ ვიცით... როსღა მოხდება ამ რწმენით ყოველი ქართველის სულის აღზრდა, ჯერ კიდევ ბუნდოვანია და, ვინ იცის, იქნებ შორეულიც...

სიძულვილისა და მტრობის ნაპერწკლები ახლაც საკმაოდ ხშირად გაკრთებიან ხოლმე. უცნაურია, რად იგვიანებს ამ ფაქტების შემზარავი ექო.

●

საკითხავად მოსაწყენი და გამაღიზიანებელია უსასრულოდ გაბმული დიდაქტიკა...

სამაგიეროდ, დასაწერადაა იგი დღეს ადვილი...

მხცოვანი დატუქსე, ჰკუა დაარიგე, განვლილი ცხოვრება ფუჭად ჩაუთვალე, გამოუჩხრიკე ათასგვარი ცოდვები (მე შენ გეტყვი, ვერ აღმოუჩენ) და მერე, თუნდაც, მათზე, ვითარცა გამოუსწორებლებზე ხელიც ჩაიქნიე (ვინ გამოგედავება, როცა ხალხის უზარმაზარი მასა შენსკენაა)...

ახალგაზრდები (აქ ცოტა სიფრთხილეა საჭირო!) დააშოშმინე, ისტორიის გაკვეთილები მაგალითად მოუტანე, ზნეობრივი ცხოვრებისაკენ მოუწოდე, ნოვაციურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში გაარკვიე (შენ წარმოუდგინე და გაერკვევა თუ არა, რა შენი საქმეა), თუ საჭიროა, გაალიზიანე, მკერდზე მუშტები აბაგუნებინე, რაც მთავარია, შენი თავიც მათ რიგებში წარმოადგინე (ეგონოთ, ახე ჯობია!)...

აი — რა უსაზღვრო შესაძლებლობები ეშლებათ წინ კალამთან „დამეგობრებულ" სახელდახელოდ გამომცხვარ „ერის ჭირისუფალთ"... ისინიც არ აყოვნებენ და არის დღეს „დიდაქტიკოსთა" საოცარი თავაწყვეტილი ჭირითი...

ერთმანეთშია აღრეული ტყუილისა და მართლის, ბოროტისა და სიკეთის, სისულელისა და გონიერების შემზარავი სიმრავლე...

ღმერთო, გამოაფხიზლე ქართველი ერი ამ გამაოგნებელი მრავალხმიანობის გონებისდამბინდველი ნირვანიდან...

კიდევ ერთხელ გააგონე მის დაღლილ ყურთასმენას დიდი ხნის წინ გადავიწყებულ, ღვთაებრივი ჰარმონიით მადლცხებულ და სიყვარულის მაღალი აზრით შთაგონებულ ქართულ საგალობელთა ურთიერთში მოკრძალებით გადაწნული, ურთიერთმომფერებელი და ერთმანეთის მოიმედე ხმათა მშობლიური ჰანგები... ანუ

... ისტორიულად უილბლო და ბედკრული ერის შვილთა მელოდიით მირონცხებული ერთმანეთისადმი მიცემული ერთგულების ფიცი, ღვთაების წინაშე თქმული და ამიტომაც გაუბზარავი და უღალატო...

ყოველი ქართველის ამ მარადიული ოცნებით დაიშრიტა ბოლოსა და ბოლოს ჩემი სათქმელიც..

P. S.

ჩვენ, რატომღაც ხშირად გვჩვევია, „ჰეროვანი" წარმოდგენა ჩვენივე არც თუ „ჰეროვანი" ისტორიისა, რომელსაც თითქოს არ გააჩნია სისხლიანი, ღალატისა და სიძულვილის, შურისა და პირმოთნეობის მძლავრობით გამორჩეული დღეების უსასრულო სიმრავლე...

წარსულის ამ მძიმე განცდას სიოსავით ესალბუნება ჩვენს ძველ სულიერ მოღვაწეთა მამულიშვილური ღწვითა და კრისტალური ზნეობრივი ძალმოსილებით გამორჩეული ცხოვრების მაგალითები, უსაზღვრო იყო ერის მათდამი სიყვარული და მოწიწება... მათი სულის ნაღვაწით სულგანთებული მიაბიჯებდა და მოთმინებით მიათრევდა ჩვენი ერი სიძულვილის ვეებერთელა ტკივილსაც და სიყვარულის წამიერი აყვავილების სიხარულსაც...

რა სამწუხაროა, რომ ჩვენ ამღვრეულ საუკუნეს ინერციითღა შემოჰყვა ძველთა შეურყვნელი საქმისა და სიტყვის ძალმოსილება... მიზეზთა და მიზეზთა გამო, შემოიძარცვნენ სულიერი მოძღვრის ვრცლად განფენილი, ერის სიცოცხლის მოდარაჯე მძლავრი „ტოტები", რომელთა დაუცხრომელი გუგუნიც ნიადაგ აფხიზლებდა დროდადრო უზრუნველად ჩაძინებულთ...

ის, რომ წლების განმავლობაში მინელდა და მხოლოდ რამდენიმე ჭეშმარიტი შემოქმედის სულისთქმაშიღა თიმთიმებდა მწერლისა და მწერლობის საკრალური ძალმოსილება, არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს...

ჩვენი ეროვნული მწერლობის ამ ტრაგედიის პირველი, მართლაც ტრაგიკული სულისკვეთებით აღბეჭდილი მოქმედება სატანის შემზარავი სცენარითა და რეჟისურით გათამაშდა... „სპექტაკლში" მონაწილე საბრალო მარიონეტთა ყოველი უმნიშვნელო მოძრაობაც კი მისი ნებით იყო ინსპირირებული... ეს იყო ჟამი ჯოჯოხეთის მეუფებისა, რომლისთვისაც უსიცოცხლო გვამია მართალიცა და მტყუანიც, ჯალათიცა და მისი მომავალი მსხვერპლიც — მე მათზე არაფერს ვამბობ... ავად თუ კარგად, ქართულმა მწერლობამ თავისი ნაიარევი სული და სხეული „გამოატარა" ამ გაუგონარ გვემასა და ხრწნას...

ბევრად უფრო დამაფიქრებელი და სამწუხარო მეორე მოქმედებაა, რომელიც უკვე ტრაგიკომედიად გარდაისახა და „ლაღად განვითარებული სოციალიზმის" ფონზე გათამაშდა...

აქ, „ყვავილოვნებდა" კარიერისტული კეთილდღეობის, ოჯახების სალონური იდილიის, საკავშირო სულისწარმტაც სივრცეებში ნებიერი შემოქმედებითი ლივლივის, უფროს ძმად შერაცხული ერის მიმართ გრძნობით გამთბარი პიეტეტის, „ინტერნაციონალიზმის" უსაზღვრო აპოლოგიის დაუმცხრალი პათოსი... რომელსაც „ბუნებრივად" ავსებდა ადგილობრივ პარტიულ ელიტასთან ლაციცი.

ეს, მრავალთათვის გულისამრევი „მსხვერპლშეწირვა" მხოლოდ ქართული მწერლობის საკეთილდღეოდ, ანუ მის უკეთ „წარმოსაჩენად" კეთდებოდა, თურმე...

ეს ძალიან ცუდი მაგალითი იყო, რომელმაც დაუყოვნებლივ აღმოაცენა ნიჭიერი და ბეჯითი მიმბაძველნი, რომელთაც „მამათა" გლობალური მასშტაბები კი დაკარგეს, მაგრამ ჟამის შეგძნება და მისი „სიდიადის" განმაცხოველებელი „ოსანა" ძალუმად წარმოითქმოდა მათ ათრთოლებულ ბაგეთაგან...

აი, ზოგადი ზნეობრივი კონტურები საუკუნეებით ნალოლიავებ, ამაყ და წმინდა ქართულ მწერლობას ადევნებულ ფხევდოერისკაცთა.

საბედნიეროდ, არც თუ მრავალი „მეუდაბნოეს" შეუვალობით განაპირებული ნამდვილი შემოქმედილა განასახიერებდა ტკივილებით ღრმად შეძრული სულიერი მოღვაწის ტრადიციულ როლს...

რა გასაკვირია, რომ გაჩნდა ბზარი საზოგადოებისა და მწერლის დამოკიდებულებაში. ერთგვარი ნიჰილიზმი მისი ღვთაებრივი მოწოდების მიმართ... თვალსა და ხელშუა გაუფერულდა მაღალი ზნეობრივი ორიენტირები...

სამწუხაროა, რომ ამ ჯოჯოხეთურ ცდუნებათა ალმურს ველარ გაუძლო უამრავი ტანჯვის მნახველმა და ამით თითქოს გასაღკლდევებელმა მრავალმა ერის „უპირველესმა სულიერმა მეცისოვნემ"...

თითებზე ჩამოსათვლელ რამდენიმე შეურყვნელი სულით აღბეჭდილ შემოქმედთა მიმართ, განსაკუთრებით ამიტომაც მართებს თაყვანისცემა ჩვენს ერს...

ასე შეუბრალებლად დაამცრო და დააკნინა ტრადიციულად დიდი და ზნემაღალი ქართული მწერლობის არა ერთი და ორი შთამომავალი, ხან ავი დედინაცვლის, ხან კი მზრუნველი და მოსიყვარულე „მშობლის" სახით წარმოდგენილმა „სოციალისტურმა სინამდვილემ"...

მიუხედავად ამისა, ისევ მისი გადარჩენილი ნათელი წიაღიდან ამოვარდნილი მაცოცხლებელი ნიავი აკრთობდა დუმილისა და ზნეობრივი დაჩლუნგებისაკენ მიდრეკილ ეროვნულ სულისკვეთებას...

უცნაურია, რომ არც დღეს დარღვეულა ჩვენი ისტორიული ცნობიერებისათვის აგრერიგად „ახლობელი" ცხოვრებისა და არსებობის მორალურ-ეთიკური წესი...

კვლავ და კვლავ დროის უსასრულო სივრცეებისაკენ მიიწევა, უკვდავებაში ღრმად დარწმუნებული ჩვენი ერი და იობის მოთმინებით მიათრევს სიძულვილის ვეებერთელა ტკივილსა და სიყვარულის წამიერი აყვავილების უმანკო აღფრთოვანებას.

იქნებ მოახლოებულმა თავისუფლებამ იმძლავროს და სიყვარულის სუფევით ძალამოცემულ ერს მომავლის ეკალ-ბარდებით მოსილ გზაზე სიხარული გაუადვილოს...

„ყოველივე მოხდა არა ნაპოლეონის, არა ალექსანდრე პირველის, არა კუტუზოვის, არამედ ღმერთის ნებით" — ლევ ტოლსტოის ეს საოცარი სიტყვები ნებისმიერი ერის ყოფნა-არყოფნის ჟამს, დროშასავით აფრიალებელი ჭეშმარიტებაა, რომლის შეუვალობაში, ალბათ არავის უნდა ეპარებოდეს ეჭვი... უპირველეს ყოვლისა კი, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნის შვილებს... ვეებერთელა სამხედრო ძალითა და უნიჭიერესი სარდლებით განებივრებული რუსეთის უმაღლესი გონის გამომხატველი, თუ ყოველივეს არარაობად წარმოიდგენს ღვთაების ნების წინაშე, ჩვენც დავიცხროთ მესიის უზენაესი ძალმოსილებით აღბეჭდილი, ფხევდოსურვილები და მორჩილად, ვითარცა ჩვეულებრივ მოკვდავთ ჩვევიათ, მხურვალე მადლობა მოვუხადოთ ჩვენს მფარველ ღმერთს... თუნდაც დღევანდელი დღისათვის...

„ო, წმიდაო უბრალოებავ", ამ შორეული ადამიანური ალტაცების ექო დღესაც თუ იმავე სიმძაფრით არ აღელვებს ჩვენს თანამედროვე მამულიშვილთ, თუ მათი ეთიკური და ზნეობრივი ნორმები ამ ყოვლისგანმაკეთილშობილებელი და ამამაღლებელი ღვთაებრივი თვითგანცდით არ არის სულჩადგმული, რაღა თქმა უნდა, ამაოა ტკბილი ილუზიებით თავის მოტყუება და მომავალ იდეალურ ჰარმონიაზე ფიქრი...

სამუდამოდ ჩავლილ და მხოლოდ შორეულ, თუნდაც ღვთაებრივ სიზმრებად ნუ შემორჩება ქართველის მეხსიერებას სულ ახლახანს, თბილისის გულში დატრიალებული ბორკილებაწყვეტილი თავისუფალი სულის ამაღელვებელი „მისტერიები", ოდეს ალარავინ იყო „კერპთაყვანისმცემლობის" გულმხურვალე ალმსარებელი... და ზეობდა ძალი მაცხოვრისა, ვითარცა ადამიანთა ჩაკლული სულების ერთადერთი მხსნელის და ამაღორძინებლისა...

რედაქციისაგან:

გ. ბენაშვილის წერილში არამართებულად არის განხილული ზოგიერთი ლიტერატურული ფაქტი და მოვლენა, რომლის სრულყოფილ გაშუქებასაც რედაქცია მალე მიუბრუნდება.

---

— წერილი რედაქციას —

# მართალია მხოლოდ მოძალადე?

ვარ მწერალთა კავშირის წევრი 1968 წლიდან. კარგა ხანს ვიყავი უბინაო და 1977 წელს, როგორც იქნა, მწერალთა კავშირიდან მივიღე ნახევრად დანგრეული 16 კვ. მეტრი ბინა, სადაც ვცხოვრობ ამჟამად.

1988 წ. გაზაფხულზე მწერალთა კავშირმა მომცა ოროთახიანი მშენებარე ბინა დიდი დიღმის II მიკრორაიონში, 27-ე კორპუსში.

ახლა, როცა მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა, ზემოთ აღნიშნულ ბინაში ძალით შეიჭრა აგრომშენის სამინისტროს (მინისტრი ხარატიშვილი) მინისტრის მოადგილის (ჭ. გოგორიშვილის) შოფერი რ. ქარხელაძე, ჩასვა რკინის კარები, დაკეტა ბინა და განაცხადა, რომ ბინა მისია.

მისივე სამინისტრო და მოადგილე ჭ. გოგორიშვილი ამართლებს მის მოქმედებას და ბრალს სდებს ქალაქის საბჭოს, რომ ამ სახლიდან მათ ეკუთვნოდათ 10% და არ მისცეს, რომ მათ პირადი ინიციატივით შეიძინეს მასალები და ააშენეს ეს სახლი, ამიტომ, უფლება მისცეს თავის ექვს თანამშრომელს, დაიკავონ ბინები. ჩვენ - კი გვეუბნებიან, ბინები ჩვენია, ხოლო თქვენ ორდერებში იცხოვრეთო.

ამაოა ჩემი წანწალი სხვადასხვა ინსტანციებში.

ამჟამად, მწერალთა კავშირი უძლური აღმოჩნდა რაიმე ილონოს.

ყველა ცდილობს დანაშაული სხვებს გადააბრალოს, როგორც ჩანს, მივაღწიეთ იდეალურ სახელმწიფო წყობას, სადაც ყველა მართალია, ამიტომ, დამნაშავე არავინაა.

ხალხი გმინავს, კორუფცია უფრო მძვინვარებს და ცინიკურად აფურთხებს მას, რაც თითქოს ბრძოლით მოვიპოვეთ. ნუთუ არაფერი შეიცვალა?

გზა გახსნია უსაზღვრო ძალადობას და ანარქიას.

ვინ დგას მათ უკან? ვინ უმაგრებს მათ ზურგს?

ვინ არის ასეთ განუკითხაობაში მართალი? გამოდის, რომ მართალია მოძალადე.

თუ ასეა, და ჩანს ასეა, ადამიანის პიროვნება ისევ გაქელილია მორალურად და მატერიალურად განადგურებულია.

გეკითხებით, ვინ დაგვიცავს ჩვენ?

**გიორგი ქაბანაძე**

12. XII.-90 წელი

---

# სტუმრად სარფელ თანატოლებთან

მესამე წელია თბილისის 114-ე საშუალო სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა „მცირე უნივერსიტეტი", რომლის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი სისტემატურად აწყობს სამეცნიერო სხდომებსა და კონფერენციებს. ამას წინათ „მცირე უნივერსიტეტელები" ეწვივნენ სარფის საშუალო სკოლას და ჩაატარეს სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებები წაიკითხეს 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა: რ. ბარისაშვილმა და ვ. პაპინაშვილმა — „დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა II-III საუკუნეებში"; ე. ხელაძემ და ო. გრიგალაშვილმა — „ლაზიკის სახელმწიფო IV-V საუკუნეებში"; ე. თაბუკაშვილმა და მ. მაყაშვილმა — „ბიზანტიის და სპარსეთის ბრძოლა ლაზიკის გამო. მეფე გუბაზი", თ. ზვამბაიამ და გ. სხირტლაძემ — „ლაზიკის სახელმწიფო წეს-წყობილება და კულტურა"; ნ. სამხარაძემ — „გონიოს განძი"; გ. თეთრუაშვილმა და მ. დათუნაშვილმა — „ლაზიკის ისტორიის წყაროები VII-XVI საუკუნეებში".

როგორც მასპინძლებმა, ისე სტუმრებმა მაღალი შეფასება მისცეს წაკითხულ მოხსენებებს და ერთხმად აღნიშნეს, რომ ამგვარი ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას, მათში ჭეშმარიტი პატრიოტული იდეების ჩანერგვას. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება — ყოველწლიურად სარფსა და თბილისში ჩატარდება სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებები, რაც კიდევ უფრო დააახლოებს სარფელ და თბილისელ თანატოლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლალი გულისაშვილი

### პიკასოს ქალი

ქუჩაში შეგხვდა პიკასოს ქალი,
ვერ აარიდე რატომღაც თვალი...
მერე მიხვედი სახლში და დიდხანს,
არ გაძინებდა შეკითხვა: ვინ ხარ?!.
ახლა ის ქალი კედლიდან გიმზერს,
არ გეკითხება არაფრის მიზეზს...
მერე კედლიდან ჩამოდის ფრთხილად,
ფეხქვეშ უგია ღრუბლების ფთილა...
გიხარშავს ყავას, გიდუღებს ჩაის,
გიშლის ლოგინს და ხანდახან ნერვებს...
შენ კი ფიქრობ და გიკვირს ძალიან,
ხელოვანები რანი არიან!
შენს ქალს ხატავს და მთელს
მსოფლიოში
ყველას პიკასოს ქალი ჰგონია!..
(რას იზამ, ბედი არა გქონია!)
ქალი კი გიმზერს კედლიდან წყნარად,
თავის დიდ მხატვარს არც აგდებს არად.
პიკასოს ეგებ შურს კიდეც შენი,
ის შემქმნელია, შენ — აღმომჩენი...

●

ვნატრობ ერთ ჰიქა რომს,
მსოფლიო ქალაქს — რომს,
დაბრუნდები და... რომ...
დამინახავ და... რომ...
.......
ვნატრობ ერთ ჰიქა რომს...

### ვაკოს

წუხელ მოვიდა თოვლი
და შენს საფლავზეც მოთოვა,
როდის ჩადგება ქარი,
რა გითხრა ხმელმა ფოთოლმა?...
რა მარტოობას ვჩივი,
ვინაა შენზე ეული?..
ვიწრო ბილიკით მიხვალ,
სულებისაგან რჩეული...

რა გაგახარებს ნეტავ!
ხედავ, რა უხვად მოთოვა...
მენატრები და ვტირი,
არ გითხრა ხმელმა ფოთოლმა?..

●

ამოდი, მთვარევ,
მომიყევი ძველი ზღაპარი,
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს
რომ უამბობდი...
მარტივი იყოს ყველაფერი
და ბუნებრივი.
ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება
და შეახსენე...
ამოდი, მთვარევ,
მე მარტო ვარ და მომეწყინა.
ბედნიერება მინდა და მიკრძალავენ,
ჯერ სადა გაქვს მაგისი დროო.
მე კი რა ვქნა,
სინამდვილეში თვალიც არ მომიკრავს,
აყვავებული ზეთისხილის ხეებისათვის,
მაგრამ მათ ნაყოფს
ხელისგულებით ვგრძნობ
და მიხარია, მიხარია...
სინამდვილეში არც ვიცი,
რა არის ბედნიერება,
მაგრამ ეს ნათელი,
სულ რომ ვხედავ,
სულ რომ დამყვება?..
მითხარი, მთვარევ,
ძველისძველი ზღაპარი მომიყევი,
შეშლილებსა და დაღლილ მგზავრებს
თავი რომ ბედნიერი ეგონათ,
როგორ ეგონათ?..
ადამიანებს დაავიწყდათ სათნოება —
სხვისი ბედნიერებით გახარება,
შეახსენე, შეახსენე, მთვარევ...
მე კი, მგონი, მართლა გავგიჟდი,
რაღაცა ისე მიხარია,
თითქოს მკვდარ ქალაქში
ბავშვის ტირილი გამეგონოს...

●

მეტყვი: ცხოვრება იმ სოფლად
გადასარბენი ხიდია,
ყველას ერგება თავისი,
ნუ შიშობ, ღმერთი დიდია...

ვიცი და ზოგჯერ სულმოკლეს,
მაინც ხომ დამიკვნესია,
დიდება მომსურვებია,
როგორც მოკვდავთა წესია...

და სწორედ მაშინ, მაღალო,
როცა საცდური დიდია,
მეტყვი: ცხოვრება იმ სოფლად
გადასარბენი ხიდია...

### სანათა

ინათა.
სანათა ლოცულობს.
სანათას ძაძები მოსავს.
მუხლს იყრის,
ჩურჩულებს,
ცრემლი სდის
სანათას — ველის შროშანს...

ინათა.
სანათა გმირია.
ჭრელს კაბას იცვამს
და მღერის.
ყველაზე მაღალი დედაა
სანათა — ბალახის ღერი...

# ახალი ლექსები

## ელდარ კერძევაძე

●

მაშ, გაუმარჯოს
ქართველის უნარს, —
ოხვრის დროს სიცილს,
სიცილში, —
ოხვრას,
ამ წუთისოფლის
წუთიერ ბრუნვას,
განსაცდელის ჟამს
წელში არ მოხრას!
სუყველაფერი მკრთალდება
ბოლოს —
ბრძოლაც,
მშვიდობაც,
გრძნობებით თრობაც,
მაგრამ სამშობლო
ისაა მხოლოდ,
რაც უსიკვდილოდ
არ დაითმობა!

●

აირია,
აირია,
ყველაფერი აირია...
ზოგი —
კვლავ დროს მიეტმასნა,
ზოგი —
კვლავ იმნაირია;
ზოგი —
მართლა დაგვიბრძენდა,
ზოგი —
მთლად გადაირია...
მაგრამ მაინც,
კაცმა რომ თქვას, —
უკეთესი ჰაერია...

### გაკვეთილი სხვათათვის

ვჩეხე და ვჩეხე ტყეები —
ულამაზესი დღეების,
ხათრით —
სულ ვიღაცეების...
ხათრით —
სულ რაღაცეების...
გაუდაბნოვდა სავანე,
დამრნენ სიცოცხლის წყარონი,
მორჩა! — აწ ნურას მავალებ,
ნაპირთან მელის ქარონი.

### პირდაპირ ვიტყვი

მიჭირს, რა თქმა უნდა, მიჭირს,
რადგან საქართველოს უჭირს, —
გამო —
გასხვისებულ მიწის,
ფიცად ვერშეკრული მუჭის.
გამო —
ნაცვლად ჩემი დროშის —
მოფრიალე სხვისი ჭინჭის,
გამო —
ჭრელაჭრულა დროში
ვერადმოსახმარი ნიჭის.
ძმას რომ ძმობა ვერ უგრძვნია,
რომ არა აქვს
ძმობის ნიჭი, —
გასაძლისი არის ძნიად,
სწორედ,
ამიტომაც მიჭირს.
გული მაინც ვერ გარიყავს
ნდომას
ჰანიბალის ფიცის...
ვიცი, რაიც უნდა იყოს,
როდის უნდა იყოს —
ისიც!..

## ვახტანგ ღლონტი

### ბევრ პოეტებს

ბევრ პოეტებს ბევრ მგლებივით
აღარ მიერჩით გული ტყისაკენ...
(თვლემს გალიაში კუდშეკეცილი
და აშმორებულ სიფათს ისაწყლებს).
ბევრ პოეტებს ბევრ მგლებივით
(ეშმაკის კერძი არის ორთავე)—
აღარც ძაღლები ელრინებიან,
არც პატრონები აღარ შოლტავენ.
ბევრ პოეტებს ბევრ მგლებივით
(წყეულიმც იყოს ჩარჩი სიბერე)...
თან ბოლო ლუკმას გვაგლეჯს ყბებიდან,
თან მარჩენალის პოზას იფერებს.
ის დრო ჩათავდა, — გისოსებს უკან,
როცა მოსეულ ნახირს ართობდით...
ჩვენ, ვინც საკანში დავბადებულვართ
ჩვენი წინაპრის ბედოვლათობით,
გვძულს მორჩილება (თქვენი რაც არი)
მტრებმა რომ გულში შემოგიცოცეს...
თუ არ დამარხეს ძველი მარცვალი,
არ ეღირსება ახალს სიცოცხლე-
თუ ვოცნებობდით, ცხადშიც და ძილშიც,
რომ თქვენს ნეკნებზე გადაგვერბინა,
ნუ გაგაოცებთ, — თქვენივე ჯიშის,
თქვენივე ფერის მგლის ლეკვები ვართ!
სისხლი საზღაურს ითხოვს და იწდის,
ბოლო ომს ვერვინ გაეძურწება,
ვერ დაგანებებთ ლაჩრულად სიკვდილს,
რომ არ დაგცინონ ქუჩის ძუკნებმა.
კმარა, ძაღლივით ჯაჭვით დაბმული,
არ გამოდგება მგელი საჯიშედ,
სულერთი არის — მდევრის ტყვია თუ
ოთხი კედელი მოგვისაკლისებს!
ბევრ პოეტებს ბევრ მგლებივით,
უნდა ვუღრინოთ ისევ ლეკვებმა,
თორემ სიკვდილი ჩვენს ამაყ ჯილაგს
თავის ფარეხში მიერეკება.

### არ ეპატიოს

არ ეპატიოს, ვისაც სატრფო უყვარს თავისი,
ჰხედავდეს, სატრფო მოძალადემ თმებით
ათრიოს...
ვინც აპატიოს, შემარცხვენელს სიკვდილის
შიშით,
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს, ვისაც დედა უყვარს თავისი,
ჰკვდებოდეს დედა, მან კი ღამე სხვებთან
ათიოს...
ვინც დაივიწყოს საკუთარი მოდგმა და ჯიში,
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს!!
არ ეპატიოს, ვის მამული უყვარს თავისი,
და სისხლის ნაცვლად, მამულისთვის ცრემლი
ანთხიოს...
ვინც მომხვდურს თავი შეავრდომოს ვაით და
ვიშით,
არ ეპატიოს!
არ ეპატიოს!!
არ ეპატიოს!!!

### სევდიანი სიმღერა

ახლა არ მსურს თავი გავიმართლო,
დავდივარ და სამარეში ვწევარ,
გთხოვთ, დამტოვოთ ყველამ მარტოდმარტო,
ყველაფერში დამნაშავე მე ვარ.

გაქრა ხსოვნა ძველი სისადავის,
შენს წინაშე დასჯილივით ვდგევარ,
დამანებეთ, კეთილებო, თავი,
ყველაფერში დამნაშავე მე ვარ.

ქვეყნად ყველა ცოდვა დამაბრალეთ,
ჩემზე იყოს, წამებაში მხნე ვარ,
შავ მიწაში წყევლა ჩამატანეთ,
ყველაფერში დამნაშავე მე ვარ.

არ მაქვს თავი ჩხუბისა და დავის,
გევედრები მწვალებელს და მდევარს,
დამანებეთ, ძვირფასებო, თავი,
ყველაფერში დამნაშავე მე ვარ.

შარავანდი
სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების გაზეთი
გამოდის 1990 წლის აპრილიდან

სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების გაზეთი „შარავანდი“, მიუხედავად იმისა, რომ სულ ოთხი ნომერი გამოვიდა, საკმაოდ პოპულარული გახდა ქართველ საზოგადოებრიობაში. გაზეთის რედაქტორია დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდენტი გურამ ფანჯიკიძე. მისი სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, გურამ გვერდწითელი, ჯანსუღ ღვინჯილია, როინ მეტრეველი, ამირან კალაძე, მთავარეპისკოპოსი თადეოზი, ბალათერ არაბული, ბიბლა ბობეჩია, ტარიელ კიპაროიძე, ოთარ ტყეშელაშვილი, ნოდარ ლოლობერიძე, ნუგზარ ჩიგოშვილი, ვაჟა ჩორძელი.

დღეს „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მასალას, რომლებიც „შარავანდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა.

## ალბათ აღარ გამიკვირდება...

არ ვიცი, ქართველებს ბედი არ გვწყალობს თუ რა გვემართება. ჩამოვა უცხოელი სტუმარი, თან გადავყვებით და... ძალიან ხშირად მათივე დაცინვის საგანი ვხდებით.

ჩვენმა ძვირფასმა აზიზ ნესინმა თურქეთში შეკითხვაზე, როგორ მოვეწონათ საქართველოო, ასე უპასუხა... აბა, რა გითხრათ, საქართველოში ჰერის მეტი არაფერი დამინახავსო.: ალბათ მიხვდით, აზიზ ნესინი გაუთავებელ ღვინის სმის პროცესს გულისხმობდა. თვალები რომ მუდამ სახლის ჰერისკენ ჰქონდა მიმართული.

აზიზ ნესინს არტურ მილერიც არ ჩამორჩა. მან „ნიუ-იორკ-ტაიმსში“ ვრცელი შთაბეჭდილებანი გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე. საქართველოში მილერმა თავისი „სეილემის პროცესის“ მშვენიერი დადგმაც ნახა რუსთაველის თეატრში, ისტორიული ძეგლებიც უხვად მოანახულებინეს! თავის ქართულ შთაბეჭდილებებს კი მან მხოლოდ ერთი წინადადება აკმარა. აი, ეს წინადადებაც: ქართველები შამპანურს დილის 9 საათიდან სვამენო. მორჩა და გათავდა. ეს იყო და ეს!

ფრანსუაზა საგანმა „პარი მატჩის“ უკანასკნელ ნომერში სულ მოგვითავა ხელი. საქართველოში თვითმფრინავით მივემგზავრებოდიო, — წერს იგი, — ქართველებს ოთხჯერ მეტი ტვირთი მიჰქონდათ, ვიდრე წესით არის გათვალისწინებულიო. თანაც, რაც მთავარია, თვითმფრინავი ცოცხალი ქათმებით იყო სავსე, საქართველოში რომ მიჰყავდათო! ფრანსუაზა საგანი საქართველოში მოსკოვიდან ჩამოფრინდა. მინდა გკითხოთ, ძვირფასო მკითხველო, ავიაციის მთელი ისტორიის მანძილზე ყოფილა ერთი შემთხვევა მაინც, ქართველ კაცს რომ მოსკოვიდან ცოცხალი ქათამი წამოეყვანოს? რატომ დასჭირდა ფრანსუაზა საგანს მსგავსი ტყუილის მოგონება? იქნებ იმან გაანაწყენა, რომ უმშვენიერესი მწერალი ასევე უმშვენიერეს ქალად ვერ აღიქვეს საქართველოში?

არ ვიცი, რა მოგახსენოთ, პირადად მე აღარ გამიკვირდება, რომ იგივე „პარი მატჩში“ ხვალ წავიკითხო, საქართველოში იმძლავრა აპარტეიდმა და ქართველი რასისტები საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას — ზანგებს — უმოწყალოდ ჩაგრავენო!

**გ. თოდაძე**

## დიპლომი — ყველას

ყველას კარგად მოგეხსენებათ ქართველი ახალგაზრდებისა და, განსაკუთრებით, მათი მშობლების დაუოკებელი ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლების დიპლომების ხელში ჩასაგდებად. თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრს უმაღლესი სასწავლებელი — ინსტიტუტები — აღარც კი აკმაყოფილებს. ბუნებრივია, აკადემიებისა და უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა დიპლომები უფრო შთამბეჭდავად ჟღერს და ამიტომაც ახლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ინსტიტუტების უნივერსიტეტებად გადაკეთების პროცესი. ბევრმა მშობელმა ისიც კი მოითხოვა, სამედიცინო ინსტიტუტს სამედიცინო აკადემია დაერქვასო. ტექნიკუმებს — კოლეჯები, ხოლო სკოლებს — გიმნაზია-სემინარიებიო.

ყოველწლიურად ათიათასობით ახალგაზრდა აბარებს ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ათასობით კი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. არსებითი მნიშვნელობა აღარა აქვს, ისინი დადებით ნიშანს მიიღებენ თუ ჩაიჭრებიან, სულ ერთია, სხვადასხვა გზებით თუ აქციებით, გაფიცვებით, შენობათა ბლოკირებით თუ შიმშილობით, უმაღლესში მაინც ირიცხებიან. შემდეგ კი, ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა დონეზეც ეუფლებიან არჩეულ სპეციალობას.

ისმება კითხვა, რატომ ვაცდენთ ამ ახალგაზრდებს უმაღლესში ხუთი წლის მანძილზე? ამ კითხვიდან გამომდინარე გთავაზობთ იდეას: სკოლის დამთავრებისთანავე საპირველსექტემბროდ ახალგაზრდები დავიბაროთ თბილისისა და სხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და აკადემიებში და მათ, ყველას, საზეიმო ვითარებაში გადავცეთ ამ უნივერსიტეტებისა თუ აკადემიების დიპლომები. ამით თავიდან ავიცილებთ აბიტურიენტებისა და მათი მშობლების საგამოცდო ვნებათაღელვას, ნერვიულობას, სტრესებს, ინფარქტებს, ინსულტებსა და ა. შ. და, რაც მთავარია, სასარგებლო შრომაში ჩავაბამთ ახალგაზრდებს, აღარ მოვაცდენთ მათ ხუთი წლის მანძილზე.

ამ გზით, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უმალვე ვიქცევით მსოფლიოში ერთ-ერთ ქვეყნად, სადაც არ გვეყოლება არც ერთი უდიპლომო მოქალაქე, თუ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ იდეას აიტაცებთ, უმალვე მოგაწვდით ახალ იდეებს ასპირანტობის, კანდიდატობისა და დოქტორობის თაობაზეც.



**სენსაცია**

**სენსაცია**



## სადამ ჰუსეინი სტალინის შვილიშვილი, ჯორჯ ბუში?..

**გაზეთმა „სობესედნიკმა“ ამა წლის 48-ე ნომერში გამოაქვეყნა ცნობა, რომ სადამ ჰუსეინი გახლავთ სტალინის შვილიშვილი, ხოლო მისი მამა იაკობ ჯუღაშვილიაო. იქვეა სტალინისა და სადამ ჰუსეინის ერთი და იმავე რაკურსიდან გადაღებული ფოტოპორტრეტები, რომლებსაც აქვე გთავაზობთ. დამეთანხმებით, ურწმუნო თომაც კი ვერ უარყოფს მათ პორტრეტულ მსგავსებას.**

**გულწრფელად უნდა გამოვტყდეთ, რომ „შარავანდის“ კორესპონდენტმა გაცილებით ადრე გამოიკვლია სტალინისა და ჰუსეინის ბაბუა-შვილიშვილობის ამბავი, მაგრამ ვინაიდან რამდენიმე დეტალი კიდევ გვქონდა დასაზუსტებელი, მასალის გამოქვეყნებას არ ვჩქარობდით. მართალია „სობესედნიკი“, როცა წერს, სადამ ჰუსეინს ერაყში იაკუბ ჯუგასეთის ეძახიანო, რაც იმას ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად იაკობ ჯუღაშვილის ვაჟია. მაგრამ, ეტყობა, „სობესედნიკმა“ არ იცის, რანაირად მოხვდა იაკობ ჯუღაშვილი ერაყში.**

**ჩვენი კორესპონდენტი ამ საკითხის შესასწავლად საგანგებოდ მივავლინეთ დასავლეთ გერმანიაში (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გერმანია გაერთიანებული). დადასტურდა ფაქტი, რომ იაკობ ჯუღაშვილი არ მოუკლავთ საკონცენტრაციო ბანაკში. თავდაპირველად, როგორც ფართო საზოგადოებრიობამ იცის, ჰიტლერმა სტალინს შემოუთვალა, ფელდმარშალი პაულიუსი შენს შვილში გამიცვალეო. სტალინმა შეუთუალა: „ია სოლდატ ნა ფელდმარშალოვ ნე მინიაიუ“-ო. გაწყენებულა ჰიტლერი, მაგრამ იაკობი მაინც ვერ გაუმეტებია სასიკვდილოდ (რაც არ უნდა იყოს, ჰიტლერს პირველი ცოლი ქართველი ჰყავდა, ქუთაისელი დათეშიძის ქალი), დაუბარებია და უთქვამს. შევარცხვინე მამაშენი, შევარცხვინე მისი ქართველობა, ახე რომ გაგწირა, მარა, მე მაინც არ გაგწირავ, წადი, იცხოვრე ერაყში, ოღონდ არსად გაამხილო, რომ სტალინის შვილი ხარ და მე გაგანთავისუფლეო. აბა, „შონე რაიზეო“ (კარგ მგზავრობას გისურვებო) და გაუსტუმრებია ერაყში. გამოთხოვებისას ჰიტლერს თვალზე ცრემლი მოსდგომია და იაკობისათვის უკოცნია კიდეც, მაგრამ ამის წერილობითი საბუთი არ არსებობს. მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს უნდა ვენდოთ. ამ ფაქტს ადასტურებს გერმანული გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგ“ ის 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია და ნახატი (ნახატს აქვე გთავაზობთ). როგორც ხედავთ, ნახატი თვითონ მიგვანიშნებს საქმის ნამდვილ არსს. სადამ ჰუსეინის უკან დგანან მისი ბაბუა და მამის მამობილი, მამობილი, ხოლო თვითონ ჰუსეინს, გამოხატავს რა თავისი სახელოვანი ბაბუების სურვილს და ოცნებას, ორთავე ხელით ჩაუბღუჯავს დედამიწის გლობუსი.**

**ერთი სიტყვით, საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად უნდა ჩავთვალოთ, სადამ ჰუსეინი ნამდვილად სტალინის შვილიშვილია.**

**ახლა კი „შარავანდის“ მკითხველს მეორე სენსაციური აღმოჩენა გვინდა შევთავაზოთ. დიახ, სენსაციური, თანაც ეჭვშეუტანელი რეალობა!**



**ქართველ საზოგადოებრიობას კარგად ახსოვს ჩვენი შესანიშნავი რეჟისორი ვახო ყუშიტაშვილი. იგი ერთხანს პარიზში მოღვაწეობდა. სწორედ მაშინ გაეცნო ერთ მომხიბვლელ ამერიკელ მანდილოსანს, რომელთანაც შეეძინა პირმშვენიერი და უაღრესად ნიჭიერი ვაჟიშვილი. ბატონმა ვახომ მას გიორგი ანუ გოგი დაარქვა. გვარს კი, ვინაიდან პარიზში უჭირდათ მისი გამოთქმა, „შვილი“ ჩამოაკლო და საზოგადოებას ასე წარუდგინა პატარა გოგი ყუში. ვერც „ყ“-ს გამოთქვამდნენ უცხოელები მაინცდამაინც კარგად და გოგი ყუში თანდათანობით იქცა ჯერ გოგი ბუშად, შემდეგ კი, დედის დაჟინებული მოთხოვნით, ჯორჯ ბუშად. მალე ქართველი რეჟისორი სამშობლოში წამოვიდა. პატარა ჯორჯ ბუში და დედამისი კი ამერიკას გაემგზავრნენ. თვითონ ვახო ყუშიტაშვილი მალე ამერიკაში უნდა წასულიყო, მაგრამ ვინ გაუშვა! პარიზში რა გინდოდაო, ახუთი დღე აყარეს, რომ თავბედი აწყევლინეს! სუკ-ის შიშით ისიც კი ვერ გაამხილა, ამერიკაში რომ შვილი ჰყავდა. მხოლოდ სიკვდილის წინ გაანდო მან საიდუმლო ჩვენს შესანიშნავ თეატრმცოდნეებს ნოდარ გურაბანიძეს, ვასილ კიკნაძეს და თან მათ შვილის სურათიც დაუტოვა. გვინდა ბატონ ვასოს მადლობა გადავუხადოთ პერესტროიკამდე საიდუმლოს შენახვისა და პატარა გოგი ყუშის სურათის მოწოდებისათვის, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ. შემდგომში კი, როგორც მოგეხსენებათ, პატარა გოგი ყუში, ანუ იგივე ჯორჯ ბუში ამერიკის პრეზიდენტი გახდა.**



**დღეს, სამწუხაროდ, ეს ორი პიროვნება ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა, მაგრამ, ღმერთმა ხომ იცის, რომ არც ერთია ამერიკელი და არც მეორე ერაყელი, ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან.**

**გ. ფ.**

## წინდახედულება და ანალიზი შიში როდია

მისასალმებელია, რომ პროფესორი ტარიელ კვანჭილაშვილი სოციალისტური რეალიზმიდან ასე სწრაფად გადაერთო პერესტროიკის აქტუალურ პუბლიცისტიკაში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რამდენიმე საინტერესო სტატიაც გამოაქვეყნა და მკითხველის ყურადღებაც მიიპყრო.

შემდეგ და შემდეგ ტ. კვანჭილაშვილი ეშხში შევიდა, ვინც კი რაიმე ფრთხილი პროგნოზი გამოთქვა და საქმეს სერიოზულად მიუდგა, ბატონმა მეცნიერმა თავის ბოლო სტატიაში „ვინ გვაშინებს?“ მშიშრებად მონათლა. გვინდა შევახსენოთ ბატონ ტარიელს, რომ სიფხიზლე და ანალიზი მშიშრობა როდია. მით უმეტეს ისეთი მოვლენის ანალიზი, სამშობლოს დამოუკიდებლობა რომ გახლავთ.

ჩვენი გაზეთის მოცულობა საშუალებას არ იძლევა, მთლიანად განვიხილოთ ბატონი ტარიელის სტატია, რომელიც ბევრ საინტერესო საკითხს შეიცავს და პრინციპულად სწორიც გახლავთ, ოღონდ ეგაა, დაწერილია ყოველგვარი ანალიზის, გზების ჩვენების გარეშე და... ძალზე დილეტანტურად.

განვიხილავთ მხოლოდ ერთ საკითხს. ბატონი ტარიელი წერს: „დღეს სახელმწიფოს ურთიერთობა წესრიგდება საერთაშორისო სამართლის ნორმებით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. ბოლოს, იმ მორალურზნეობრივი კატეგორიებით, რითაც ჩვენი ეპოქა ასე განსხვავდება წარსულისაგან. ავიღოთ თუნდაც სულ ახალი ფაქტი, ერაყმა პატარა კუვეიტი რომ დაიპყრო, მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა აგრესიის მსხვერპლის დასაცავად და ღმერთმა იცის, რით დამთავრდება სპარსეთის ყურეში მომხდარი ეს ძალადობა, რა შედეგს გამოიღებს თავხედური და უგუნური მოქმედება ძლიერი ერაყისათვის“.

ბატონო პროფესორო, განა ამ მაგალითით თავის დამშვიდება შეიძლება?! განა მართლა გწამთ, რომ ჩვენ მხოლოდ თავისუფლება უნდა მოვიპოვოთ, ხოლო შემდგომ გაერთიანებული ერები დაგვიცავს? ის მაინც არ გახსენდებათ, კაცი რომ იხრჩობოდა და ღმერთს რომ შველა შესთხოვა, ღმერთმა რა უპასუხა? თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, — ხელი გაანძრიე და გიშველიო.

მართლაც, შორს აღარ არის ის დრო, საქართველო რომ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, ხოლო შემდგომ დადგება არანაკლებ რთული პერიოდი, შევინარჩუნოთ ეს დამოუკიდებლობა. შევინარჩუნოთ არამარტო პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური დამოუკიდებლობაც. ამჯერად არ ვაპირებთ ამაზე მსჯელობას. კვლავ იმ საკითხს გვინდა მივუბრუნდეთ, ასე ლაღად და იოლად რომ წყვეტს შეცნიერი. თურქეთი და ირანი ის აღარ არიან, რაც ადრე იყვნენო, — ცოტა უფრო ზევით ამბობს ტ. კვანჭილაშვილი. განა იმაზე დაყრდნობა შეიძლება, რომ თურქეთი და ირანი ის აღარ არიან, რაც ადრე იყვნენ, ხოლო დამატებით აგერ გვყავს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და საზოგადოებრივი აზრიო?!

განა ბატონი ტარიელისათვის უცნობია ის ფაქტები, თუ რა სწრაფად იცვლება მოვლენები მუსულმანურ სახელმწიფოებში? განა დაგვავიწყდა აიათოლა ხომეინი, რომელიც აგერ, გუშინ გარდაიცვალა? განა მან არ ბრძანა, ქართველი მეფეები ამ ბოლო დროს დადიან მოსკოვში დასამტკიცებლად, თორემ მანამდე აქ, ისპაჰანში ჩამოდიოდნენ და ამიტომ საქართველო მე მეკუთვნისო?!

განა სადამ ჰუსეინის მოქმედება, როგორც თვითონ სამართლიანად აღნიშნავს ტ. კვანჭილაშვილი, ემყარება რაიმე ლოგიკას? მან ხომ ფეხებზე დაიკიდა საზოგადოებრივი აზრი, დაიპყრო პატარა ქვეყანა და, რაც მთავარია, კაცობრიობა დააყენა გლობალური ომის საშიშროების წინაშე!

ასე, რომ, ბატონო პროფესორო, მხოლოდ სხვათა გაკეთილშობილების იმედზე ყოფნა არას გვარგებს.

ვერც საზოგადოებრივი აზრი გვიშველის. იქნებ გავიხსენოთ ავღანეთი? რამდენი წელი იღვრებოდა იქ სისხლი, ყოველგვარ მორალურ ნორმებს მოკლებული საბჭოთა კავშირის არმიის შეჭრის შედეგად?

გავიხსენოთ ანგოლა? სამხრეთ აფრიკის კავშირი?

ყველგან და ყველაფერზე იყო საზოგადოებრივი აზრიც, გაერთიანებული ერების ასამბლეის გადაწყვეტილებაც, ცალკეული ღონისძიებანიც, საქმეს კი საშველი არ ადგებოდა. შეიძლება გვიპასუხოს პატ. პროფესორმა, ბოლოს და ბოლოს, ავღანეთიდან ჯარები ხომ გამოიყვანესო. დიახ, გამოიყვანეს, მაგრამ რამდენი წლის შემდეგ? ან როგორ დატოვეს ავღანეთი? მთელი ერი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდეს და კაცმა არ იცის, როდის დაადგება ამ ქვეყანას საშველი.

კუვეიტი კი სულ სხვა რამ გახლავთ, ბატონო ტარიელ! ამდენი სახელმწიფო ასე ერთსულოვნად და, რაც მთავარია, ასე ქმედითად ჯერ არავის წინააღმდეგ არ გაერთიანებულა, ერაყის წინააღმდეგ რომ გაერთიანდა.

რამ გამოიწვია ასეთი დარაზმულობა, მხოლოდ აგრესიის საწინააღმდეგო საზოგადოებრივმა აზრმა?

არავითარ შემთხვევაში!

რასაკვირველია, მსოფლიოს პროგრესული საზოგადოება დიდი და სამართლიანი პროტესტით შეხვდა ერაყის აგრესიას კუვეიტის მიმართ, მაგრამ, თუ მთელმა მსოფლიომ ასე სწრაფად, ერთსულოვნად და ორგანიზებულად გადადგა ქმედითი საპროტესტო ნაბიჯები, ეს მხოლოდ ერაყის აგრესიით აღორძინებული საპროტესტო ტალღა არ ყოფილა.

კუვეიტის საბადოების სიმძლავრე განისაზღვრება ნავთობის მსოფლიო მარაგის 25 პროცენტით. ხოლო, თუ მას საუდის არაბეთსაც მივუმატებთ, სპარსეთის ყურის საბადოების ხვედრითი წილი იქნება მსოფლიო მარაგის 66 პროცენტი.

ერაყის აგრესიამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო მთელი მსოფლიო. ქვემოთ შევეცდებით, ნაწილობრივ მაინც ვილაპარაკოთ იმ სიძნელეებზე, კუვეიტის დაპყრობამ რომ გამოიწვია.

იაპონია წელიწადში წვავს 900 მილიონ ტონა ნავთობს (შედარებისათვის, 1937 წელს მას მხოლოდ 60 მილიონი ტონა ჰყოფნიდა). ამ 900 მილიონი ტონიდან 91 პროცენტი შეაქვს უცხოეთიდან. ხოლო თავის მხრივ ამ 91 პროცენტის 64 პროცენტი მოდის სპარსეთის ყურის ნავთობზე. ამიტომაც იყო, რომ იაპონიის პრემიერ-მინისტრი შეშფოთებული ჩავიდა საუდის არაბეთში და ყოველგვარი დახმარება აღუთქვა ერაყის მოწინააღმდეგეებს.

ბულგარეთმა არამარტო მილიარდ სამასი მილიონი დოლარი დაკარგა, რომელიც ერაყს უნდა გადაეხადა მისთვის, არამედ ნავთობი, რომელსაც იგი სპარსეთის ყურედან ეზიდებოდა. ბულგარეთში ატომური ელსადგურების წილად მოდის ელექტროენერგიის საერთო რაოდენობის 58 პროცენტი. მიუხედავად ამისა, დანარჩენი ენერგია, რომლებსაც ორგანულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურები გამოიმუშავებენ, თითქმის მთლიანად შემოზიდულ ნავთობპროდუქტებზე არის დამოკიდებული. ამიტომაც მოიცვა პანიკამ ბულგარეთი. ისინი განსაკუთრებული შიშით ელიან წლევანდელ ზამთარს.

კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდა ჩეხოსლოვაკია. იგი თავისი მოცულობით მეექვსე იყო იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც იარაღით ამარაგებდნენ ერაყს. ასევე ჩეხი სპეციალისტები ეხმარებოდნენ რა ერაყელ მენავთობეებს, წლიურად სახელმწიფო სალაროში შეჰქონდათ 50-60 მილიონი დოლარი.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა ეგვიპტე. მისი ექსპორტია ოცდაორი პროცენტი (ძირითადად ნავთობი), ხოლო იმპორტი 70 პროცენტი. მან კიდევაც რომ გაზარდოს ნავთობის ექსპორტი, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადაფარავს საწვავის უკმარისობის შედეგად გაზრდილ საიმპორტო პროდუქციის ფასებს. გარდა ამისა, ეგვიპტემ დაკარგა ყოველწლიური 2 მილიარდი დოლარი, რომელიც ეგვიპტელ მუშებს სახელმწიფო სალაროში შემოჰქონდათ კუვეიტიდან.

საშინელ დღეში აღმოჩნდნენ პაკისტანი, ინდოეთი, შრი-ლანკა. და, რაც მთავარია, ევროპა, კერძოდ, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი. კუვეიტის აგრესიის შემდეგ იტალიასა და ესპანეთში 20 პროცენტით შემცირდა ენერგიის გამომუშავება. საფრანგეთსა და გერმანიაში ბარელი ნავთობის ფასი 25 დოლარიდან 40 დოლარზე ავიდა.

მე სულ ახლახან გახლდით ფედერაციულ გერმანიაში. ამჟამად იქ ყოველი საინფორმაციო სატელევიზიო გადაცემა იწყება ბენზინისა და, საერთოდ, ნავთობპროდუქტებით მომარაგების მდგომარეობის მიმოხილვითა და მათი ფასების ზრდის გრაფიკული მაჩვენებლებით.

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებულ შტატებს აქვს თავისი საკუთარი მდიდარი საბადოები, იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს უცხოეთის ნავთობის შეტანას. რათა მაქსიმალურად დაზოგოს თავისი საბადოები. ამერიკელებმა იციან, ვისაც აქვს ნავთი, ის კარნახობს მსოფლიოს არამარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მიმართულებებს.

ამერიკაში ყოველდღიურად იხარჯება 9 მილიონი ბარელი ნავთობი. ამ უზარმაზარი რაოდენობიდან 8,7 პროცენტს შეადგენს კუვეიტის ნავთობი. ამერიკას ლუიზიანას შტატის მარილოვან საბადოებში შენახული აქვს „სტრატეგიული ნავთობის“ დიდი და ხელუხლებელი მარაგი. დღეს კი როგორც „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, ბუში იძულებული გახდა, სტრატეგიული მარაგის გარკვეული რაოდენობა გაუშვას წარმოებაში. ციებ-ცხელება ბირჟებზე, დაბლა დაეცა ეკონომიკური მაჩვენებლები. ამერიკაში სულ უფრო და უფრო იზრდება იმ მოღვაწეთა რიცხვი, რომლებიც, შექმნილი სიტუაციის გამო წინააღმდეგი არიან ამერიკა ფინანსურად დაეხმაროს სხვა გაჭირვებულ ქვეყნებს.

სამართლიანად წერენ, რომ ერაყის აგრესია კუვეიტის მიმართ არის **აგრესია მსოფლიო ეკონომიკური სამყაროს მიმართ.**

დღესავით ნათელია, თუ ერაყს შერჩა კუვეიტის გადაყლაპვა, შემდეგ ჯერი საუდის არაბეთზე მიდგება და ერაყის ხელში აღმოჩნდება მარტო ნავთობის მსოფლიო ბაზარი კი არა, მთელი პლანეტის ეკონომიკური პულტი. კიდევ შეგახსენებთ, რომ სპარსეთის ყურის წილად მოდის ნავთობის მსოფლიო მარაგის 66 პროცენტი. „და თუ ეს ხელში ჩაუვარდა სადამ ჰუსეინს, — წერს „ვაშინგტონ პოსტი“, — იგი მთლიანად არეგულირებს ნავთობის მოპოვებისა და გასაღების საქმეს და ხელს ვერავინ შეუშლის ნავთობი გაცვალოს ყველა სახეობის პროდუქციაში, მათ შორის, ატომურ იარაღშიც“.

საბჭოთა კავშირმა უკვე დაკარგა 10 მილიარდამდე დოლარი, რომელიც მას ერაყიდან იარაღის საფასურად ეკუთვნოდა. ამჯერად, საბჭოთა კავშირს შეუძლია გაზარდოს ნავთობის ექსპორტი და როგორმე შეინარჩუნოს სავალუტო ბალანსი, მაგრამ ეს მაინც არაა გამოსავალი. ამჟამად, ნავთობის უცხოეთში გატანა საბჭოთა კავშირისათვის ხელსაყრელ ფასებში მძიმე ტვირთად დააწვა თვით საბჭოეთს. საწვავის უქონლობის გამო საწარმოებს დაუდგა კრიზისული დღეები. ვერ იღებენ და ვერ ინახავენ მოსავალს. მეორეს მხრივ, თუ საწვავის დეფიციტი სირთულეებს შეუქმნის ამერიკას, გერმანიას, იაპონიასა და სხვა ქვეყნებს, ისინი ველარ დაეხმარებიან საბჭოთა კავშირს, ამ დახმარებას კი ძალზე საჭიროებს დაუძლურებული იმპერია.

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, გასაგები უნდა იყოს მთელი მსოფლიოს აღშფოთება ერაყის აგრესიის მიმართ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსოფლიო პროგრესული საზოგადოება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მსგავს აქციებს, გამოთქვამდა მტკიცე პროტესტს და იღებდა კიდეც სათანადო ზომებს.

კუვეიტის შემთხვევაში კი გაერთიანდა ორი მომენტი, პირველი: მსოფლიოს აღშფოთება ყოველგვარ მორალურ მხარეს მოკლებული აგრესიის მიმართ და მეორე: ერაყის მიერ კუვეიტის დაპყრობა, როგორც ზემოთ [...] აგრესიაა მსოფლიო ეკონომიკური სამყაროს მიმართ.

ასე რომ, ბატონო პროფესორო, კუვეიტის მაგალითის იმედით ვერ იარსებებს დამოუკიდებელი საქართველო. არც თურქეთისა და ირანის დღევანდელი „პროგრესულობის“ იმედი უნდა გვქონდეს, არც რუსეთის, როგორც ამას სამართლიანად წერთ, ბატონო ტარიელ.

საკუთარი თავის იმედი უნდა გვქონდეს, საკუთარი განათლებული ინტელიგენციისა და სპეციალისტებისა, საკუთარი მოსახლეობისა და მძლავრი ეკონომიკისა, საკუთარი სწორი ეკონომიკური, პოლიტიკური მოდელებისა და საკუთარი მძლავრი არმიისა.

შეგახსენებთ ნეიტრალურ შვეიცარიას, სადაც გერმანელები, ფრანგები და იტალიელები ცხოვრობენ, ხოლო თვით ამ ქვეყანას უშუალოდ ესაზღვრებიან გერმანია, საფრანგეთი, და იტალია, საიდანაც ჩემი აზრით, არავითარი საფრთხე არ ელით. აი, ამ მშვენიერ ქვეყანას მაინც ჰყავს მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი არმია. მას ერთი დღის მანძილზე შეუძლია საბრძოლოდ გამოიყვანოს ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 600.000 კაცი!

ჩვენთვის მისაბაძი და თვალსაჩინოა ისრაელი, მისი მდგომარეობა გაცილებით ჰგავს ჩვენს მდგომარეობას. სადამ ჰუსეინმა ერთი ასეთი ქანდაკებაც დაუდგა საკუთარ თავს, ის და ნაბუქოდონოსორი ხელიხელგადახვეულნი დგანან გრანიტის კვარცხლბეკზე. ჰუსეინისა და მოქანდაკის ჩანაფიქრი აშკარაა. მისი საბოლოო მიზანი, ნაბუქოდონოსორისა არ იყოს, ისრაელის საბოლოო განადგურებაა. რატომ ვერ გაუბედა ერაყის „მამაცმა“ ბელადმა შებმოდა ისრაელს? განა ამ ბომბით და შურისძიების წყურვილით სავსე კაცს დაავიწყდება, ისრაელის ავიაციამ მიწასთან როგორ გაასწორა ერაყის თერმობირთვული კვლევის ცენტრი და ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა?

იმიტომ ვერ გაუბედა, რომ იცის, როგორ საპასუხო დარტყმასაც მიიღებს.

თანაც, ერაყის აგრესია კუვეიტის მიმართ მაინც მხოლოდ ეკონომიკურ-ადმინისტრაციული აგრესიაა. არაბებმა დაიპყრეს არაბები. აქ ეროვნული მომენტი თითქმის გამორიცხულია. თანაც ბატონი პროფესორი ისე მსჯელობს, თითქოს ერაყს კუვეიტიდან ჯარი უკვე გაეყვანოს. კაცმა არ იცის, როდის მოეღება ბოლო კუვეიტელთა საშინელ დამცირებას, მისი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვასა და რეპრესიებს. და, საერთოდ, რა მოჰყვება ამ საშინელ დაძაბულობას, მსოფლიოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე რომ შეუქმნა!

ბატონი პროფესორი ნამდვილად მართალია, როცა წერს, არიან ადამიანები, რომლებსაც დაეკარგებათ საზოგადოებრივი მდგომარეობა, კბილი, უზრუნველი ცხოვრება, თუ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვაო. მართალია, აგრეთვე, როცა ამბობს, სწორედ ეს ადამიანები ავრცელებენ ჭორებს, თავისუფალი საქართველო ვერ იარსებებსო.

ვეთანხმები ბატონ ტარიელს. ასეთ ადამიანებს, საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს პროვოკაციისა და დემაგოგიისათვის.

მეორეს მხრივ კი, კვლავ გვინდა საყვედური გამოვთქვათ, რომ საკითხების გაიოლება და გაუბრალოება მხოლოდ ავნებს საქმეს, თანაც ძალიან ავნებს.

განსჯა, იჭვი, ანალიზი შიში როდი გახლავთ, წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რა მოჰყვება ჩვენს მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს, უნდა ვიცოდეთ, რა შეგვიძლია ჩვენ და რა იმედი უნდა გვქონდეს სხვისა. და, რაც მთავარია, უნდა ვიცოდეთ, როგორ შევქმნათ მძლავრი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა.

სჯობს ასეთ საკითხებზე ხშირად ვიმსჯელოთ, ოღონდ ვიმსჯელოთ კომპეტენტურად და წინდახედულად.

არაფრისმთქმელი და მცდარი მაგალითებით თავის დამშვიდება ვნების მეტს არაფერს მოგვიტანს.

**გურამ ფანჯიკიძე**

## მცირე კომენტარი

**ჯერ გაზეთ „ბზიფის“, 1990 წლის 20 სექტემბრის ნომრიდან მოვიყვანთ ნაწყვეტს ა. არგუნის სტატიიდან „ვიყოთ ღირსნი აფხაზეთის მიწისა“.**

**„ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ დავაახლოვოთ ჩვენი ხალხები, რათა მივცეთ მათ მშვიდობიან შრომაში თანაარსებობის საშუალება, მათ კვალზე კი არ უნდა ვიბრძოლოთ. ასეთი „თანამშრომლობის“ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი პროვოკაციული, შოვინისტური წიგნების გამოქვეყნება, როგორიცაა, კერძოდ, რომან მიმინოშვილისა და გურამ ფანჯიკიძის „სიმართლე აფხაზეთზე“. ასეთი გამოცემები ჟანგიანი ლურსმანივით ესობა ქართველ-აფხაზთა ძველისძველ მეგობრულ პარალელებში. წიგნი ზერელე ეპოქის სულისკვეთებითაა დაწერილი, როცა დახურული იყო აფხაზური სკოლები და აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ახლებურად ნათლავდნენ ძველისძველ აფხაზურ სახელწოდებებს. წიგნი ჩვენი ხალხების მტრების მიერაა დაწერილი, იგი ანტიჰუმანურია, ანტიესთეტიურია და, რაც მთავარია, ანტიმეცნიერული. მისი ფურცლებიდან სისხლისა და შურისმაძიებლური ფეიცობის სუნი მოჰქრის. იგი საუკუნეების მანძილზე გაახსენებს ხალხებს მათი შემთხვევლების პლებეურ, მდაბალ აზროვნებას. ავტორების მაგივრად მრცხვენია მათი ბოროტი ჭკუანაკლებობისა და, ალბათ, საქართველოს ისტორიის ბევრ პატიოსან და ჭკვიან მოღვაწეს სწვავს სირცხვილი თავიანთი თანამემამულეების პასკვილების გამო!**

**მინდა მჯეროდეს, რომ ჭეშმარიტი ქართველი ისტორიკოსები თავიანთ ობიექტურ სიტყვას იტყვიან ამ წიგნზე. ამ ნაწარმოების ავტორები ხომ მწერლები არიან და არა მეცნიერი ისტორიკოსები. ისინი, როგორც იტყვიან, სხვის ბოსტანში გადაძვრნენ და იქ ისეთი ნაყოფი კრიფეს, წარმოდგენაც რომ არა აქვთ მათზე... საიდან უნდა იცოდნენ მათ აფხაზეთის ისტორია, რამდენი სისხლი დაიღვარა ამ მიწაზე და ვისია იგი? საქართველოს „განახლების“ ლიდერებს ნუ ექნებათ იმის იმედი, რომ ისევ დაიღვრება სისხლი აფხაზურ მიწაზე, მათ იდეებსა და გეგმებს აღარავინ დაუჯერებს, რადგან ხალხის თვალში ისინი მატყუარები და ცილისმწამებლები არიან, ისინი ხალხებს ერთმანეთს აჯახებენ თავიანთი შეხედულებისამებრ.**

**არცერთი საღად მოაზროვნე მოქალაქე არ გაჰყვება ასეთ ინტელიგენციას, გამოჭყეპილს ცრუმეცნიერებითა და ცრუპატრიოტიზმით. ხალხი შესძლებს გაარკვიოს, სადაა სიმართლე და სადაა სიცრუე. ჩვენ ძალგვიძს კაცობრიობის ისეთი ნათელი გონების პატივისცემა, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები ჯავახიშვილი, ჯანაშია, ისტორიის ეს მართალი მემატიანენი!“**

**ა. არგუნი,**
**აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატი.**

**მცირე კომენტარი:** ჯერ კიდევ როდის თქვა მენდელეევმა: ასე, რა თქმა უნდა, ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ აბა, თუ ბიჭი ხარ, დაამტკიცეო. გურამ ფანჯიკიძემ და რომან მიმინოშვილმა რაც თქვეს წიგნში „სიმართლე აფხაზეთზე“, დაამტკიცეს კიდეც. ხოლო, როცა ამ წიგნს ამხ. ა. არგუნი (თუ არღუნი) ანტიმეცნიერულს უწოდებს, კეთილი უნდა ინებოს და დაამტკიცოს თავისი სიტყვების სიმართლე. ისიც კი საინტერესო იქნებოდა, სამთაბახიანი წიგნიდან ერთი რომელიმე პატარა დებულების გაბათილებას თუ მაინც შესძლებდა. გვინდა ვურჩიოთ ამხანაგ ავტორს, რომ გუდაუთის გაზეთში კი ნუ იქნევს მუშტებს, რესპუბლიკის, გნებავთ, საკავშირო მასშტაბით გასცეს პასუხი ხსენებული წიგნის ავტორებს.

რაც შეეხება არგუნის ლანძღვაგინებას, ჩვენი გაზეთი ზრდილობის სკოლა არ გახლავთ, რომ ვინმეს ტაქტის, თავაზიანობისა და თავდაჭერილობის ჩვენება ჩაუნერგოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჯუმბერ ხანთაძე**

# სამი ნოველა

## დაუპატიჟებელი სტუმრები

ბესოს დედა, დეიდა ელენე, ზაფხულობით ანაკლიაში მუშაობდა ხოლმე ექიმად, პიონერულ ბანაკში. მაშინ ენგური ენგურობდა და ანაკლიის მიდამოებში ზღვას გვარიანად ამღვრევდა. მაინც იქით გამგზავრება გადავწყვიტეთ, იმიტომ რომ ფული საკმარისი არ გვქონდა, იქ კი დეიდა ელენე გვეგულებოდა, ბავშვების საოცრად მოყვარული ქალი და ჩვენი დიდი დოსტი. დავქოქეთ ჩემი „ვილისი" და გავემგზავრეთ მე, ბესო, მალხაზი და ჩოფჩიკა.

კარგა დღლამებული იყო, სამეგრელოს რომ მივაღწიეთ. მოკლეზე, სოფელ-სოფელ, შუკა-შუკა, ვარჩიეთ წასვლა.

აქეთ უმთავრესად ცოცხალი ღობეები იციან, ეზოები ტრიფოლიატის ნარგავებითაა შემოფარგლული, ლამაზია, მუდამ მწვანედ ხასხასებს და თანაც ჩიტი ვერ გაძვრება, არამც თუ ღორი და საქონელი.

ზომაზე ჩქარა მივდიოდი. ერთ მკვეთრ მოსახვევში საჭე ვერ დავიმორჩილე და პირდაპირ ტრიფოლიატის ღობეში ვღურთე თავი. თვალი რომ გავახილე, უსასრულო სუფრის კიდეზე ვიდექი და ნათურებით მოქეიფეებს ვუბრმავებდი თვალებს. სახტად დავრჩით ჩვენც და შექეიფიანებული სუფრის წევრებიც. მერე შეჩოჩქოლდნენ, წამოიშალნენ და ჩვენზე რომ უნდა გაიქაჩონ, სწორედ ამ დროს, თამადამ გვიხსნა. სასმისი მოიმარჯვა, ხელები გაშალა და დაიგრიალა: ვინც მოვიდა, გაუმარჯოსო, მოსვლაც ესეთი უნდაო, აგაშენოთ ღმერთმა, რაღაი მოხვედითო.

სუფრას თვალი გადავავლე და თეთრ კაბაში საპატარძლოდ მორთულ მშვენიერ გოგონას მოვკარი თვალი. „ქორწილში ვართთქო", გადავუჩურჩულე ბიჭებს. ბესომ იმარჯვა. მართალია ცალფეხაა, მაგრამ არაჩვეულებრივი სიმღერა იცის, ხმა აქვს გრძნეული და ხავერდოვანი. ჩოფჩიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მთელი ბავშვობა ანსამბლებში, ტაშ-ფანდურში აქვს გატარებული. მართალია, მე და მალხაზი ბულბულები არ ვიყავით, მაგრამ ცოტა ჯაზირი ჩვენც შეგვეძლო. გადმოხტა ბესო და მრავალჟამიერი წამოიწყო, აუბა მხარი ჩოფჩიკამ, ჩვენც მივეხმარეთ და მართლაც გემრიელად დავაგუგუნეთ. ხალხი დაწყნარდა და სმენად იქცა. ბედად მანქანაში გიტარა გვქონდა, მშვენიერი, ლენინგრადული, მართალია უბრალო იყო, მაგრამ არ იშოვებოდა. სიმღერას რომ მოვრჩით, ბესომ გიტარას ხტაცა ხელი და მეფე-დედოფალთან მიჩლახუნდა, გადაკოცნა — ესაა ჩვენი საჩუქარიო და გიტარა გადასცა.

სუფრამ საბოლოოდ აგვითვისა და ტაშით შეეგება ჩვენს მობრძანებას. შეავიწროვეს, ჩასწი-ჩამოსწიეს სტუმრები და მეფე-დედოფლის მახლობლად მიგვიჩინეს ადგილი. მასპინძელი აფუსფუსდა, თავს დაგვტრიალებდა, მოგვიბოდიშა: „ნამეტანი ვდარდობდით, რომ დაგაგვიანდათ, გელოდეთ, გელოდეთ, მარა მეტი აღარ შეიძლებოდა"-ო. ახლა თამადამ დაიწყო ომახიანად, ჩვენი სადღეგრძელო შესვა ნაუცბადევად. — გაუმარჯოსო, მოსვლაც კაცური სცოდნიათ და სიმღერაცო. და ბოლოს განაცხადა: ჩვენი პატარძლის, თინიკოს მეგობრები არიანო. ახლა სიძემ გვიხსნა. ბახვამ, აზრიანი ბიჭი ჩანდა და ხუმარა, თვალი ჩაგვიკრა და განაცხადა, ჩემი ძმაკაცები არიან და არავინ აწყენინოთო.

ამოვისუნთქეთ. გვარიანად ვიქეიფეთ, სიმღერა არ მოგვიკლია და სუფრამაც ძალზე გაიხარა.

უთენიას, როცა ვიშლებოდით, მასპინძელმა მითხრა: „ჭიშკარი აქეთ გვაქვს, მარა თქვენ საიდანაც გენებოთ ბატონო, იქიდან მიბრძანდითო". თვალი შევავლე ჩვენს მიერ ღობეში დატოვებულ უზარმაზარ ხვრელს და ჭიშკრიდან ვამჯობინე გამგზავრება.

## წისქვილი

გასულ ზაფხულს, მოხუცი დედა, ქუთაისის მახლობლად თავის დედულეთში ჩავიყვანე, ნათესავებთან დავაბინავე და მეორე დღეს, ნასამხრალს, თბილისში გამოვბრუნდი. მასპინძელმა ძვირფასად დამასაჩუქრა: რამდენიმე წველა იმერული ყველი, ქორფა ბოსტნეული, ხილი, არაყი და ერთი ტომარა სიმინდის მარცვალი საბარგულში ჩამილაგა, თან მომიბოდიშა — ელექტრონის ბოძი წაქცეულა, წისქვილი ეს ორი დღეა არ მუშაობს და ვერ დაგიფქვიო. მერე ისიც მითხრა — გზად, ზესტაფონში ან შროშაში დაფქვავო.

დავადექი გზას ახე ხელდამშვენებული, განსაკუთრებით სიმინდმა და ყველმა გამახარა. ფქვილი საოცრად გაძვირდა. იყიდი და შეიძლება არც გამოგადგეს, ყველზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. აბა, ქართველ კაცს ჭადი და ყველი რომ სანატრებელი გაგიხდება, ეს არის საქმე? მივდივარ და ვფიქრობ ჩემთვის: თუ დაფქვაც მოვახერხე, ნამეტანი გავახარებ ჩემ ჭადიჭამია ცოლს, ლამის მთელი წლის სარჩო, ჭადის ფქვილს რომ ჭივუტან.

სიმართლე გითხრათ, ზესტაფონში არც მიძებნია წისქვილი იმ იმედით, რომ შროშაში სადმე გზის პირას ვიპოვიდი. გზის პირას მართლაც აღმოჩნდა, მაგრამ კვირა დღე იყო და არ მუშაობდა. იქვე ერთმა გლეხმა მირჩია: ხუთ-ექვს კილომეტრში უბისის მონასტერთან მარჯვნივ მორულავ, ხიდგაღმა გახვალ, მდინარეს აუყვები და ძალიან ახლოს მშვენიერი წყლის წისქვილიაო. კიდეც რომ არ მუშაობდეს. იქვე, გზის მარჯვნივ, მემინდე ცხოვრობს, კალენიკე. დაუძახებ და ჩამოვაო.

კეთილი და პატიოსანი, ვიფიქრე და ჩქარა მართლაც მივადექი პატარა, ძველ, ორღარიან წისქვილს. წინ კაცი ზის, ხანდომიანი სახის მოხუცი და გოდორს წნავს.

— გამარჯობათ, კალენიკე ბიძია! — შევუძახე.

— გაგიმარჯოს! რომელი ხარ?

— თბილისელი ვარ, დასაფქვავი მაქვს, სიმინდი.

— ჩამოიწიე პატარაზე!

ჩავირბინე.

რა გვარის კაცი ხარ?

ვუთხარი.

— აგაშენა ღმერთმა. საფქვავს რავა არ დაგიფქვავ ბიძია, მარა ნამეტანი გვალვაა, დასწყევლოს ღმერთმა, ცალ თვალს ძლივს ერევა, ერთ ბათმანს მთელი დღე უნდება, თუ არ გეჩქარება, დამაცადე პატარა, ჩქარა დავაყრი შენს საფქვავს და ნაშუაღამევს გაგიშვებ.

დავეთანხმე და მანქანა უკანსვლით წისქვილთან მივაგორე. კალენიკემ მანქანას ახედდახედა, შეათვალიერა, ირგვლივ შემოუარა და მომიწონა. გავხსენი საბარგული. რა დაძრავს ერთ ტომარა სიმინდს?

— მაცალე ბიძია, — მითხრა კალენიკემ. კოჭლობით წისქვილში შევიდა, ვედრო გამოიტანა, ხელი წამიკარიო მითხრა და პირამდე სავსე ტომარა იქვე, ჯირკვზე შემოასკუპა. ნაწილი ვედროში ჩამოცალა, ტომარას კარგად წაუკრა პირი, მოასხურჯინა და თვალის დახამხამებაში მარჯვედ ზურგზე მოიკიდა.

— არა, ბიძია კალენიკე, მე შევიტან! — ვეცი ხურჯინს.

— მაცალე ბიძია, გეისვრები, აქანა მე მეტს რას ვაკეთებ! — მითხრა და საფქვავი ხვიმირასთან მიიტანა — აწი მე ვიციო.

მივიხედ-მოვიხედე, მოვერგე ადგილს, ქვემოთ წაველი, მერე სათავისაკენ ავუყევი. მშვენიერი ანკარა მდინარეა, თხმელების ჭალა გაუყვება ორივე მხარეს. დრო მინდა მოვკლა, მანქანის გარეცხვა გადავწყვიტე. სათავესთან წყალში შევაგორე. გავიხადე. ტერფებს ესიამოვნათ ცივი წყალი, ბალახი და სველი სილა. ერთი პირობა მანქანასთან ჰყუმპალაობით გავერთე, მერე მოვწესრიგდი და წისქვილთან დავბრუნდი. გამახსენდა, რომ წაუკითხავი „მოსკოვსკიე ნოვოსტი" მაქვს წამოღებული. ახლა იმით გავერთე. ამასობაში დაბინდდა. მდინარისათვის დამახასიათებელმა სინესტემ და სუსხმა დაკრა. სიბნელეში უფრო აჩხრიალდა წყალი, ტაბიკის რიტმული კაკუნიც უფრო მკვეთრად და სასიამოვნოდ ჩამესმოდა.

— ბიძიკო! — მითხრა კალენიკემ, — ხანამ სულ არ დაღამებულა, გადავალ აგერ სახლში, ამას შენ მიხედე აქანა, თუ ნამეტანი მოიკლოს სიმინდმა, აგერ, ამას მოქაჩავ — დამარიგა და ჯოხით ხელში, კოჭლობით აუყვა აღმართს. ჩქარა დაბრუნდა ჩანთით. ჭრაქი აანთო, კედლიდან ტაბლა ჩამოხსნა, ჩანთიდან ამოალაგა მჭადი, მწვანილი, ყველი, ლობიო და ერთი ძველებური ლიტრიანი ბოთლით ღვინო. თაროდან ჭინჭილები გადმოიღო და წყალში გაავლეო — მთხოვა.

ჩამოვჯექით ჯორკო სკამებზე. კალენიკე იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, მარცხენაში ჭინჭილა მოიმარჯვა, მარჯვენაში ბოთლი და ფრთხილად ჩამოასხა ღვინო. აბა მიირთვით, გაგვიმარჯოსო და ჭინჭილიდან რაკრაკით მოსვა. მე უარი ვუთხარი, მანქანით ვარ-მეთქი. — რას ლაპარაკობ, ხანამ ეს ჩამოიფქვება, შე კაცო, ერთ ქორწილს მოილევს კაციო. დამითანხმა და დავლიე. ღვინო ოდნავ მოჭვანგული, მაგრამ გემრიელი აღმოჩნდა, ძალიან მოუხდა ლობიოსა და ჭადს. სიამოვნებით შევექეცი და ერთი-ორი ჭინჭილაც მივაყოლე.

კალენიკე ენაწყლიანი კაცი აღმოჩნდა, ჯერ თავისი მიამბო, ბევრ პრობლემაზე უფიქრია, ბევრი რამითაა უკმაყოფილო და მიზეზები სულ თითებზე დამისაბუთა. მერე ქალაქის ამბავი გამომკითხა, 9 აპრილის შესახებ ვისაუბრეთ. ძალიან გულგატეხილი აღმოჩნდა:

— ეს ქვეყანა ტყუილზეა აგებული, რაც თავი მახსოვს, სულ გვატყუებენ, ამათ სიმართლეს ვერ ათქმევინებ, კუზიანს სამარე გაასწორებს, კაცის ყველაზე დიდი ნაკლი, შენ გაფუჭებულ საქმეს სხვას რომ გადააბრალებ, ის არი..

დავამშვიდე:

— ომია, ბიძია, კალენიკე, უნდა დავირაზმოთ, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვებთ.

— ღმერთმა გისმინოს!

ამ საუბარში ის ბოთლი ღვინო დაიცალა. კალენიკე გარეთ გავიდა და ომახიანად შესძახა.

— კალენიკევ!

ბავშვმა გააგონა.

— ბაბუა ნავთი ჩამომირბენინე, შენ გაზრდა-გახარებას, ღვინოც გამოაყოლე, დოქი ბუჯერზე დევს.

ბიჭმა ჩამოირბინა. იქნებოდა ასე 12-14 წლის კალენიკე, მშვენიერი გარეგნობის ბიჭი. ბაბუამ მისი სადღეგრძელო იმ წუთასვე შესვა — ესაა ჩემი ყველაზე უნცროსი და ყველაზე ჭკვიანი შვილთაშვილიო.

— დალიე ბიძიკო! — მითხრა ბოლოს მე. აგერ გავათენოთ ჩემსას. გამოიძინებ, დაისვენებ და ხვალ გაუდექი გზას.

— არა, ბიძია კალენიკე, სახლში მელოდებიან, იციან, რომ ხვალ აუცილებლად თბილისში უნდა ვიყო, დილით მაინც რომ არ ჩავიდე, ინერვიულებენ.

კარგი აბაო და ისევ შეავსო თავისი ჭინჭილა. ნაშუაღამევს საფქვავი მართლაც დაიფქვა. კალენიკემ ღარი გადაკეტა, ბორბალი გაჩერდა, რიკის ხმა შეწყდა და წყლის შხუილმა იმატა.

კალენიკემ ტომარა ფქვილით გამივსო, თავი მოუკრა და თქვა:

— მგონია შევთვერი, ბიძიკო და თუ არ მომეხმარე, ამას მარტო ვერ მოვერევი.

ჩავბარგდი. ძალიან მეუხერხულება კალენიკესთან გასამრჯელოზე ლაპარაკი, მაგრამ ნათქვამი აქვს, რომ გეგმას ვერ ასრულებს და ამის გამო კოლექტივის კანტორაში საყვედურობენ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. გულწრფელად მადლობა გადავუხადე და შევბედე, რა მოგართვათ-მეთქი.

კარგი ერთი კაცოო, თავი გააქნია კალენიკემ.

— ჩემთვის ძალიან უხერხულია, ბიძია კალენიკე, მთელი ღამე გაგათენებინე და გარდა მაგისა, გეგმასაც ხომ უნდა მიხედვა?

რომ აღარ შევეშვი, კარგიო, მითხრა, დატოვე ორი აბაზიო. მერე თვალებში შემომხედა და მოკრძალებულად მთხოვა, მანქანაში რომ დროშა გაქვს, ის დამიტოვე თუ შეგიძლიაო. შვებით ამოვისუნთქე, საქარე მინაზე მიმაგრებული დროშა მოვხსენი და კალენიკეს მივეცი. სახე გაუბრწყინდა.

მანქანაში რომ ვჯდებოდი, მითხრა: აქეთ რომ მოხვდები, აუცილებლად ჩამომიარეო.

დავიძარი. კალენიკემ დროშიანი ხელი დამიქნია. ჩემთვის გავიფიქრე: აუცილებლად ჩამოგივლი ბიძია კალენიკე, აუცილებლად.

მეორე სალამოს მეგობრების ვიწრო წრეში მოვხვდი. საგანგებოდ დავლიე კალენიკეს სადღეგრძელო. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს საქართველოში კალენიკეები.

აუცილებლად გინახულებ ბიძია კალენიკე, აუცილებლად!

## ლოცვის მსხვერპლი
(მამის ნაამბობი)

ბებია ღვთისმოსავი ქალი მყოლია, მალულად ლოცულობდა და მარხვასაც ინახავდა თურმე. მალულად იმიტომ, რომ მამაჩემი პარტიული იყო და დროც საშიში. მიუხედავად ამისა, მაინც მოუხერხებია ბებიას და ჩვენი მეზობელი მოხუცი ქალის, ფეშტევანის წყალობით მოუნათლივარ. ჩემს აღზრდა-განათლებაშიც დიდი წვლილი შეუტანია.

კარგი გარეგნობის, მოვლილი, ლამაზი ბავშვი ვყოფილვარ. ლექსებიც ბლომად მცოდნია: „დიდი არის ჩემი ბურთი, დიდი ვებერთელა"... „ჩვენ ოთხნი ვართ დიდო სტალინ, მიითვალე ანგარიშში"..., „ჩამოჯდები მუხის ძირას, აკნატუნებ მზესუმზირას"... და კიდევ სხვა მრავალი. ხვეწნაც არ მინდოდა, თურმე, ჩემით ვიტყოდი, ოღონდ მსმენელი მყოლოდა.

ერთხელ, ახალწლის დღეებში, მამაჩემს უთქვამს: ბავშვს ჩააცვით, ნაძვის ხეზე უნდა წავიყვანოო. ბევრი ბავშვები ვყოფილვართ ნაძვის ხეზე, მშობლებიც უამრავი. ჯერ გვიცეკვია ნაძვის ხის ირგვლივ, მერე თოვლის ბაბუას განუცხადებია — აბა ლექსს ვინ იტყვისო. ავვარდნილვარ სცენაზე თავმომწონედ, მამაჩემიც ამაყად მიყურებს თურმე, იცის, რომ უამრავი ლექსი ვიცი და წაკითხვაც ომახიანი. გამიღია პირი და ლოცვა დამიწყია: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა..."

გადარეულა მამაჩემი, აზრზე რომ მოსულა, სცენაზე ამოვარდნილა, პირზე ხელი დაუფარებია და ისე გავუთრევივარ, მაგრამ მაინც მომისწრია ლოცვის ჩამთავრება.

ხალხი დაზაფრულა, არც ტაში, არც ოვაცია, გასუსულა ყველა, თოვლის ბაბუას ენა ჩავარდნია, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდნილა, ზეიმი ჩაშლილა... 1937 წელი იყო დამდგარი.

მამაჩემს სირბილით წავუყვანივარ სახლში და საწყალი ბებიაჩემისათვის შავი დღე დაუყენებია: — მე ხომ მხპობ და მღუპავ, ბავშვს რაღას ერჩიო.

რამდენიმე დღის შემდეგ დაუბარებია ქუთაისის ქალაქკომის მდივანს მამაჩემი. კორხაველი ყოფილა გვარად, ახალგაზრდა კაცი, მამა ყოველთვის კეთილად მოიხსენიებდა ხოლმე. ინტელიგენციას ანგარიშს უწევდა, მამაჩემთანაც მეგობრობდა. მამას, ცნობილი იოსებ ოცხელის ქართული გიმნაზია დაუმთავრებია, უმაღლესი განათლება მოსკოვში მიუღია და იმ ხანად ქუთაისში პედაგოგად დაუწყია მუშაობა. კორხაველს საიდუმლოდ გაუნდვია:

— არ მომწონს შენი საქმე, დიდი მითქმა-მოთქმაა შენს ირგვლივ: ბავშვს ლოცვებს ასწავლის, ძველებურ აღზრდა-განათლებას ამჯობინებსო. თუ კაცი ხარ, მოერიდე ოჯახს. დაიმალე პატარა ხანს, ხომ ხედავ, რა ამბები ხდება, უბედურებას არ გადაეყაროო.

მამაჩემს უარი უტკეცია.

— რას ლაპარაკობ, კაცო! მოხუცებულმა დედაჩემმა ბავშვს რაღაც სისულელე ასწავლა, მაგისათვის ვინ გამცემს ხმას. თქვენს სამსახურში ვარ და ვირულად, ყურმოჭრილ მონასავით გემსახურებით დღე და ღამეო.

— თუ ძმა ხარ, შეეშვი ამ ახსნა-განმარტებას, უთქვამს კორხაველს, — ეხლავე გაერიდე ოჯახს და საერთოდ, თუ აქედან გადაიკარგები, ამას არაფერი აჯობებსო. დამიჯერე, რო გეუბნები, მიყვარხარ და ამიტომ გეუბნები, შე კაცო, მტერი ხომ არა ვარ შენიო. სულ ასე ხომ არ იქნება, დალაგდება ქვეყანა და მიდი მერე, ასწავლე ამ ხალხს რამდენიც გინდა, ახლა კი შეეშვიო.

მამაჩემს პირობა მიუცია კორხაველისათვის და იმ სალამოს, მართლაც გამგზავრებულა თბილისში.

ბიძაჩემთან, თავის ძმასთან ცხოვრობდა თურმე ვერის ბაზრის თავზე. დასაწყისში იმედიანად ყოფილა, ვიდრე არ შეიტყო, რომ იმ და კიდევ რამდენიმე მომდევნო ღამეს დედაჩემს, ბებიას და მე მოსვენებას არ გვაძლევდნენ და გვაკითხავდნენ.

ძალიან შეშინებულა, უფიქრია წავალ, გამოვჩნდები ქუთაისში, ცოლ-შვილს ჩემი გულისთვის რამე არ დაუშაონო. დახამშელი გამხდარა, ძლივს დაუკავებია ბიძაჩემს — უარესი არ გამოგივიდესო, კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ ამბავი მოსულა ქუთაისიდან — კორხაველი დაიჭირესო. ამაზე სულ გადარეულა მამა, თავი კინაღამ მოუკლავს, ჩემი გულისათვის ხომ არ დააპატიმრესო, მერე უფიქრია, ძმის ოჯახსაც არ მივაყენო ზიანიო და ერთ მახლობელ კეთილ კაცს საიდუმლოდ ყვარელში გაჰყოლია სამუშაოდ.

დედაჩემს და ბებიას მამაჩემის შესახებ არაფერი სცოდნიათ, ძალიან უდარდიათ, ვაი თუ მიასაკლავეს სადმეო. ჩქარა ბებია დარდს გადაყოლია. მერე ქვეყანაც დაწყნარებულა და, ეს უკვე ჩემს მეხსიერებაში მოხდა, მამა რომ გურჯაანში დაგვხვდა მე და დედაჩემს და „ლინეიკით" ყვარელში წაგვიყვანა.

რა დამავიწყებს ზურია ზურაბაშვილს, მამა რომ გადამირჩინა. მოგვიანებით შევიტყვე, იგი ფინეთის ომში დაღუპულა.

მამამ რომ ეს ამბავი მიამბო, კარგა დავაჟკაცებული ვიყავი, ვკითხე: ჩემი ნათლიაც ხომ ჩემს გამო არ დახვრიტეს-მეთქი.

— არაო, შენს გამო არ დაუხვრეტიათო, ტროცკისტობა დასწამესო. მერე ცნობებულმა დამამშვიდა და მითხრა: არასოდეს პარტიაში შესვლაზე არ იფიქროო.



მხატვარი კარლო ფაჩულია.

# ამსა ქასსა, ამ სიტყვა...

## მ. წიკლაურის ერთი კრიტიკული წერილისა გამო

**გიორგი ციციშვილი**

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ა. წ. 2 ნოემბრის ნომერში მწერალმა მამუკა წიკლაურმა გამოაქვეყნა თავისი ვრცელი კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატია ყურადღების მიმქცევი სათაურით „ქაობი“. ავტორს მიზნად დაუსახავს თანამედროვე ქართველი სამწერლო საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ცხოვრებისა და ზნეობრივი სახის რამდენადმე განზოგადებული სურათის შექმნა და ამ მიზნით ცდილობს წარმოგვისახოს საქართველოს მწერალთა კავშირში სადღეისოდ არსებული საკმაოდ რთული ვითარება. ვითარება, რომელიც სულიერ ღირებულებათა რადიკალური გადაფასების ამჟამინდელ პირობებში, ჩემი აზრით, მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია თითქმის ყველა შემოქმედებითი კავშირისა და იდეოლოგიური პროფილის დაწესებულებისათვის.

თავისთავად ავტორის ასეთი მიზანდასახულობა, არა თუ არ არის საძრახისი და ინტერესმოკლებული, არამედ, პირიქით, ფრიად მისასალმებელიც იქნებოდა, რომ წერილი სწორი პოზიციებიდან იხილავდეს და აუცილებელი კომპეტენტურობით, სრული მიუკერძოებლობით, საჭირო სიღრმით აფასებდეს ფაქტებსა და მოვლენებს, მაგრამ მ. წიკლაურის წერილში ყოველივე ეს პირიქითაა: კრიტიკისათვის შერჩეულ მასალაზე ძალადობის, არაობიექტური შეფასების, ზედაპირული ხედვისა და ლიტერატურული მოვლენებისადმი პრიმიტიული მიდგომის გამო, ეს ვითომდაც ზოგადშემფასებლური სტატია, გაბოროტებული კაცის ნაწელავს უფრო წააგავს, ვიდრე ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ღრმა და დასაბუთებულ დახასიათებას, რის ამბიციურ პრეტენზიასაც ავტორი არა მალავს და თავისი „მიუკერძოებლობითა“ და „პირშიმთქმელობით“ თავსაც კი იქებს.

ვიდრე სუბიექტური თვითნებობითა და საკუთარი უცოდველობის ფიცილით აღსავსე მ. წიკლაურის წერილს შევეხებოდე, გულუბრყვილო მსჯელობითა და მიამიტური ფილოსოფიით შეზავებულს, ორიოდე სიტყვას დავსძენ ქართულ ლიტერატურაში მის „ღრმა ჩახედულობასა“ და იმ პროფესიონალურ დონეზე, რომელსაც იგი ასე მკაცრად და შეუვალად მოითხოვს ყველასაგან, გარდა თავისი თავისა!

მ. წიკლაურმა თავის წერილს სათაურად „ქაობი“ შეარქვა და ამაში, როგორც თვითონვე არაორაზროვნად მიგვანიშნებს, ილია ჭავჭავაძეს მიბაძა, მისი ხერხი გამოიყენა, მაგრამ მ. წიკლაურმა არ იცის, რომ **დიდ ილიას თავის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ თხზულებებში** არც საქართველოსთვის და არც ქართველი ხალხის რომელიმე კლასისა თუ ფენისთვის „ქაობი“, „გუბე“ ან „წუმპე“ არ უწოდებია და ქართველი ერის წარმომადგენელთათვის „ქაობის ბინადარნი“ არ შეურქმევია. რაც შეეხება „კაცია ადამიანი!?“ თვით ილიასგანვე უარყოფილ „შესავალს“ (ილია ჭავჭავაძე მას შესავალს კი არა, „წინასიტყვას“ უწოდებს), რომელშიც იგი ლუარსაბ თათქარიძის წუმპედან „ამოთრევის“ ამბავს გადმოგვცემს, მიუხედავად ამ პასაჟის დიდებული მხატვრულობისა, ღრმა შინაარსიანობისა და საოცარი სიმბოლურობისა, დიდმა ილიამ იგი მთლიანად დათმო და ერთხელაც არ დაუბეჭდავს.

ილიამ თავის გულთმისნური გუმანითა და შორსმჭვრეტელობით იგრძნო, და სათანადოთაც გაიაზრა, რომ ლუარსაბ თათქარიძის სახის **მთელ ხალხზე** ან მის რომელიმე **კლასსა თუ ფოდებაზე განზოგადება**, თვით იმ დროსაც კი, როცა თათქარიძეები საქართველოს ბევრზე-ბევრი ჰყავდა (რის გამოც ეს სახიათი ტიპიურ სახემდე მაღლდება, ტიპიურ წარმომადგენლობას იძენს), — უბრალოდ რომ ვთქვათ, არ ეგებოდა. დიდმა ილიამ არა თუ ძირფესვიანად შეცვალა „კაცია ადამიანი?“ წინასიტყვა, არამედ დიამეტრალურად „შეატრიალა“ მისი იდეური გამიზნულობა და „შესავლის“ ადრეულ ვარიანტში გამოვლენილი ქართული სინამდვილის დაუნდობელი გაკიცხვა საქართველოსა და მისი ხალხის ქებათა-ქებად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი სინამდვილის მისეული კიცხვა და გმობა სრულიად სამართლიანი და უაღრესად დროული იყო.

დიახ, დიდმა ილიამ ვერ გაბედა, მამუკა წიკლაურმა კი გაბედა! კი ბატონო, ეს მისი საქმეა, მაგრამ დიდ ილიას მაინც ნუ იმოწმებს, მის მიმდევრად თავს ნუ მიიჩნევს და ილიასა და თავის თავს შორის ანალოგიას ნუ ეძებს.

საქმეში ჩაუხედაობისა გამო, მ. წიკლაურს ჰგონია, ვითომც ილიამ უბრალოდ შეამოკლა „შესავლის“ ტექსტი. „ილია ჭავჭავაძეს „კაცია-ადამიანის?!“ დასაწყისზე ბევრი უწვალია — წერს მ. წიკლაური — შესავალი ოთხ საკმაოდ ვრცელ ვარიანტად დაუწერია... ბოლოს, ამ ოთხივეზე უარი უთქვამს და მოთხრობა სულ მოკლე, რამდენიმე წინადადებიანი შესავლით დაუწყია“.

ილიამ თავისი წინასიტყვის „ვრცელი ვარიანტი“ მართლაც შეცვალა „სულ მოკლე, რამდენიმე წინადადებიანი შესავლით“, მაგრამ რატომ? აი, ეს არის მთავარი და ეს მთავარი მ. წიკლაურს სრულიად არ ესმის. ნუთუ მყრალი გუბისა და მის ბინადართა შესახებ დაწერილი „ვრცელი შესავლის“ საწინააღმდეგო სურათით შეცვლამ მაინც არ დააეჭვა წერილის ავტორი, რომ ეს არ იყო ტექსტის უბრალო შეკვეცა-შემოკლება და რომ აქ სულ სხვა მიზეზები იმალებოდა. ან „რამდენიმე წინადადებიან შესავალს“ მაინც გასცნობოდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მას საერთო არაფერი არა აქვს რა იმ ვარიანტთან, რომელსაც მ. წიკლაური ბაძავს.

საოცარი ექსპრესიითა და მეტყველი სახეობრიობით გამორჩეულ თავის „შესავალს“ დიდი ილია იმიტომ შეელია, რომ იგი „სიყვარულიანი კრიტიკით“ შეეცვალა. მ. წიკლაურმა კი ილიას განზრახვა სრულიად შებრუნებულად გაიგო და საუკუღმართოდ გამოიყენა!

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს იმისა, რომ მ. წიკლაურს თავისი ზერელე ლიტერატურათმცოდნეობით ცოდნისა გამო, არასწორად ესმის მის მიერვე მოხმობილი ლიტერატურული ფაქტისა თუ დეტალის არსი და მნიშვნელობა.

მ. წიკლაური წერილს იწყებს ერთი ეპიზოდით გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მკვლევარის პ. ინგოროყვას ცხოვრებიდან: პავლე ინგოროყვა, ერთხელ, პასუხობდა რა **ლიტერატორ-ინტრიგანთა** ერთ-ერთ შემოტევას, ამბობდა: „მე მწერალი ვარ!“ ამით იგი ოპონენტებს მიანიშნებდა **მწერლის ღვთაებრივ წარმომავლობაზე და აფრთხილებდა — მე სხვა ვარო“** (ხაზი აქ და ქვემოთ ყველგან ჩემია — გ. ც.); ჯერ ერთი; პავლე ინგოროყვა პასუხობდა არა „ლიტერატორ-ინტრიგანთა“ შემოტევას, არამედ ცნობილ ქართველ მეცნიერთა, ისტორიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა შენიშვნებს. იმ სხდომებს მეც ვესწრებოდი (თუმცა, სიტყვით არ გამოვსულვარ) და კარგად მახსოვს, რომ პავლე ინგოროყვას წიგნის „რუსთველიანას“ და „რუსთველიანას ეპილოგიის“ განხილვაზე, სადაც ბატონმა პავლემ მართლაც რამდენჯერმე დაიმოწმა თავისი „მწერლობა“, კრიტიკული შენიშვნებით გამოვიდნენ პროფ. მ. ლორთქიფანიძე, პროფ. დ. მუსხელიშვილი, პროფ. ს. ცაიშვილი, პროფ. ნ. შოშიტაშვილი და სხვ., შესაძლოა, მათი შენიშვნები პავლე ინგოროყვასათვის მიუღებელი იყო, შესაძლოა, მისი აზრით, არც თუ ყოველთვის მართებული, მაგრამ კამათში მონაწილე მეცნიერთა მონათვლა „ინტრიგან-ლიტერატორებად“ — მ. წიკლაურის სინდისზე იყოს. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რა „ზილგაშლილად“ და იოლად აკვრებს იგი, ვისაც მოეპრიანება, თავის როყიო ეპითეტებს.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი ის გახლავთ, რომ მ. წიკლაური სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს პავლე ინგოროყვას ნათქვამ სიტყვებს, რითაც ამახინჯებს მათ შინაარსს და, ამის გამო, სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენს **პავლე ინგოროყვას ხასიათსა და ბუნებას.** მ. წიკლაურის მტკიცება, ვითომც, პავლე ინგოროყვა თავისი რეპლიკით — „მე მწერალი ვარო“, **მიანიშნებდა „მწერლის ღვთაებრივ წარმომავლობაზე“ და აფრთხილებდა — „მე სხვა ვარო“**, სრული გაუგებრობაა. მ. წიკლაური ისეთ რამეს მიაწერს პავლე ინგოროყვას, რაც მას აზრადაც არ მოსვლია.

რეპლიკით, „მე მწერალი ვარო“, ბატონი პავლე **თავის „ღვთაებრივ წარმომავლობას“** კი არ უსვამდა ხაზს, კი არ მედიდურობდა „მე სხვა ვარო“, არამედ იმ ცნობილ აქსიომას ახსენებდა კამათში გამოსულ მეცნიერებსა და მსმენელებს, რომ იგი, უპირველეს ყოვლისა, მწერალი იყო და, როგორც მწერალს, უფლება ჰქონდა დაერღვია ორთოდოქსალურად გაგებული დოკუმენტალიზმის ზედმეტად შემბორკავი არტახები და თავისი მხატვრულ-ლიტერატურული ინტუიციით გაეფართოებინა როგორც კვლევის ჩარჩოები, ძსე მისი შედეგები.

ამით იგი იცავდა მწერლის უფლებას თანამიმდევრული ლოგიკური მსჯელობის გზით და მწერლისათვის აუცილებელი მდიდარი წარმოსახვის დახმარებით ისტორიულ წარსულში ჩახედვისა და გარდასულ მოვლენათა ინტერპრეტაციისა. პავლე ინგოროყვა ვერ ურიგდებოდა ვიწროდ გაგებულ „საბუთიანობას“, ზედაპირულ „ბუკვალიზმს“ და სურდა **მეცნიერული დოკუმენტალიზმი ფართო შემოქმედებით ხედვასთან შეერწყა.**

სულ სხვაა ის გარემოება, თუ რამდენად ეფექტური და მისაღებია ასეთი მიდგომა, მაგრამ არც მისი პირწმინდა უარყოფაა მართებული. და პ. ინგოროყვა მწერლის სახელისადმი აპელირების დროს სწორედ ამას გულისხმობდა. მართალია, ეს გზა მას ხანდახან მძიმე მდგომარეობაშიც აყენებდა, მაგრამ წარმატება კიდევ უფრო მეტი მოუტანია. ასე რომ, მ. წიკლაურის დეფინიციები მისი, როგორც ლიტერატორის, არაკომპეტენტურობისაგან მოდის. გარდა ყველაფრისა, ისიც ჩანს, რომ მან მეტად ზედაპირულად იცის — „ვინ იყო და რა იყო“ პავლე ინგოროყვა.

მე იმიტომ კი არ შევჩერდი ასე ვრცლად მ. წიკლაურის მიერ ილიასეული ხერხის გამოყენებაზე და პ. ინგოროყვას ნათქვამის მცდარ გააზრებაზე, რომ მ. წიკლაურთან ჩემი იძულებითი კამათი ლიტერატურათმცოდნეობის უსიერ ტყეში შევიტყუო, არამედ იმისათვის, რათა ვაჩვენო, რაოდენ არასწორად ირჯება მ. წიკლაური, როცა ცდილობს დაგვაჯეროს, ვითომდაც, დიდი ილიას კვალს ადგას და მისი მაგალითით ხელმძღვანელობს. ქვევით შევეცდები ცხადვყო, რომ მ. წიკლაურის ლვარძლიან საყვედურებს არაფერი საერთო არა აქვს დიდი ილიას ეროვნულ, მაღალადამიანურ და „სიყვარულიან კრიტიკასთან“.

მ. წიკლაურის მსჯელობანი, მისი გამონათქვამები ქართული მწერლობის შესახებ, მისი ამბიციური „თეორიული“ დეფინიციები მე მიმაჩნია უაღრესად გაზვიადებულ, ჰიპერტროფირებულ ბრალდებებად და თანამედროვე ქართული მწერლობის დასმენად ქართველი საზოგადოებრიობის წინაშე.

თვითონ განსაჯეთ მ. წიკლაურის ასეთი განცხადებები: მას მიაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში არსებობს ყოვლად უკულმართი „გლობალური მოვლენა“, რომლის წინააღმდეგაც ილაშქრებს ზოგიერთი ქართველი კრიტიკოსი. რას გულისხმობს მ. წიკლაური ფართე პლანის საზოგადოებრივი პროცესის — „გლობალური სახეობის მოვლენაში?“ მისი სიტყვით, ეს გახლავთ — **„ქართველი საბჭოთა მწერლების უზარმაზარი „იდეოლოგიური არმია“**, რომელიც ასე სასტიკად გაშიშვლდა და გაკოტრდა თანამედროვე მოვლენების ფონზე და თავს მაინც არ უტყდება — **იგი გამძაფრებით ეძებს ახალ** მოვლენასთან შეგუების ახალ ფორმებს, იგი **გამძაფრებით ცდილობს მშრალი და სუფთა გამოვიდეს იმ საზარელი ჭაობიდან**, რომელშიც ათეული წლების მანძილზე მზადდებოდა და მილიონიანი ტირაჟებით მრავლდებოდა ლიტერატურული საწამლავი — **ანტიჰუმანური, ანტიეროვნული**, „კომუნისტური ჰერიოკის ამსახველი“ ძეგლები. იგი (ე. ი. „ქართველი საბჭოთა მწერლების უზარმაზარი იდეოლოგიური არმია.— გ. ც.), **გამძაფრებით იბრძვის, რომ დროულად გადალებოს დროშა**, დროულად შეცვალოს ლექსების თემა, **დროულად გავიდეს წინა რიგებში. აქ ყველაფერია, რასაც კი თავის გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი გულისხმობს“.**

ქართველი მწერლებისა და საქართველოს ლიტერატურული საზოგადოებრიობის ამგვარ „ატესტაციებს“ მხოლოდ ერთი შედეგი მოაქვს (უნდა ეს თუ არა ზოგიერთ ავყია ავტორს) — ქართული მწერლობის ღირსების შებღალვა, გულაცრუებულობა ეროვნულ მწერლობაზე და, საბოლოო ანგარიშში, ხალხის მწერლობასთან დაპირისპირება.

მწერალთა ნაკლოვანებებისა და მწერალთა კავშირის სამართლიანი კრიტიკა ყოველთვის საჭირო და აუცილებელია, მაგრამ მათთვის დაუფიქრებლად, დაუმსახურებლად თავზე ლაფდასხმა — მავნე და საზიანო.

ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ჩემის ღრმა რწმენით, მ. წიკლაურის ეს ტირადა სხვა არაფერია, თუ არა ქართული მწერლობის განზოგადებული და ზომადაკარგული გაკიცხვა, მისთვის სახელის გატეხვა.

ჯერ ერთი, თუ დღეს ვინმე ინერციით ხმარობს და შესაძლოა გარკვეული მიზნით მომავალშიც გამოიყენებს 70 წლის წინ დამკვიდრებულ ტერმინს „ქართული საბჭოთა მწერლობა“ (უფრო უმჯობესია — „საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობა“), მასში **უპირატესად** იგულისხმებს ამ ლიტერატურის შექმნის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. ხოლო რომ ე. წ. „საბჭოთა პერიოდი“ რეალურად მართლაც არსებობდა, ვფიქრობ, საკამათო არაა. მეორე: რომ ამ პერიოდში, რამდენადაც სამძიმო და შემბორკავი არ იყო იგი, ქართულ მწერლობას ხელები არ ჩამოუყრია და შექმნა ისეთი ტილოებიც (ასე სახაცილოდ რომ იგდებს მ. წიკლაური), რომლებიც სამარადჟამოდ დარჩებიან, როგორც იმ მძიმე, დაულხენელი პერიოდის მხატვრული მატიანე, მიუხედავად თვით ამ პერიოდის რაობისა. მესამე: **ქართული საბჭოთა მწერლობის** ნაზავში რომელ „უზარმაზარ იდეოლოგიურ არმიას“ გულისხმობს მ. წიკლაური, **სასტიკად რომ გაშიშვლდა და გაკოტრდა?“** თუ ეს მართლად „უზარმაზარი არმიაა“, გამოდის, რომ მ. წიკლაური არა მარტო **მთელ ქართულ მწერლობას გულისხმობს**, არამედ რაღაც უფრო მეტს და, ყოველ შემთხვევაში, არა ცალკეულ მწერლებს, რომელთაც, მისი აზრით, „შეცოდეს“. თუმცაღა, ისიც საკითხავია, რამდენად სანდოა ამა თუ იმ მწერლის მიმართ მ. წიკლაურის ბრალდება და მათი საქმიანობის წიკლაურისეული კვალიფიკაცია.

ბედმა მარგუნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახლო ურთიერთობა მქონოდა მრავალ ქართველ მწერალთან და არ მეგულება არც ერთი მათგანი, ისევე როგორც არც ერთი იმათგანი, ვისაც მხოლოდ ბიოგრაფიული მასალით ვიცნობ (გარდა 20-იანი წლების ორიოდე ბოლშევიკი მწერლისა), საქართველო რომ გულწრფელად არ უყვარებოდა, ეროვნული თვითშეგნებით გამსჭვალული რომ არ ყოფილიყო და პატრიოტული გრძნობით რომ არ ესულდგმულა. ეგ არის მხოლოდ, რომ ზოგიერთ მათგანს ერიდებოდა ამის დეკლარაციულ-ლოზუნგური „გამხელა“ და ამით თავის მოწონება, რასაც ახლა მრავალი სჩადის.

მოდით, იმ აუღსახსენებელი და წარმოუდგენლად მძიმე სისხლიანი პერიოდის შეზღუდულობასა და შებორკილობას **ნუ ჩავუთვლით მთელ ქართულ მწერლობას ეროვნულ ღალატად, გამცემლობად და საქართველოს ინტერესების რენეგატულ უარის ყოფლობად.**

ჩემის ღრმა რწმენით, ქართულ მწერლობას (საერთოდ და მთლიანად) არასოდეს არ აკლდა ეროვნული თვითშეგნება. პირიქით, იგი მისი შემოქმედების მთავარი ძარღვი იყო, არის და იქნება. სულ სხვაა ის გარემოება, რომ ეს ძარღვი განსაკუთრებული სიძლიერით იგრძნობა დღეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპზე, რომელმაც ეკოდენ განამტკიცა იმედი საქართველოს სრული განთავისუფლებისა.

მართალია, ზოგიერთი მწერალი უფრო უკეთ და ღრმად გამოხატავდა ამას (ამიტომაც ვაფასებთ მათ განსაკუთრებულად), ზოგი კი უფრო ფერმკრთალად და თავდაჭერილად, მაგრამ თქმა იმისა, ვითომც **არაეროვნულობა** ან ანტიეროვნულობა დღეს ქართულ მწერლობაში **„გლობალური მოვლენა გახდა“**; რომ თანამედროვე ქართველ მწერალთა „უზარმაზარი იდეოლოგიური არმია“, ასე „სასტიკად რომ გაშიშვლდა და გაკოტრდა“, თურმე „გამძაფრებით“ იბრძვის, რათა **„დროულად გადალებოს დროშა“ და დროულად გავიდეს წინა რიგებში“** (სადაც, როგორც ჩანს, მ. წიკლაურს თავისი თავიც ეგულება); რომ **ქართველ მწერალთა ქმედებაში „ყველაფერია**, რასაც კი თავის გადარჩენის **ცხოველური ინსტინქტი გულისხმობს“** — ისეთი ბრალდებებია, რომ ნამუსიან ავტორს ნამდვილად შერცხვებოდა ამ სიტყვებისა.

არავის არა აქვს ყველაფრის **გაპამპულებისა და გათახსირების** უფლება. მ. წიკლაურს მიაჩნდა, რომ ქართველ მწერალთა „უზარმაზარი იდეოლოგიური არმია“ **მხოლოდ იმაზე ფიქრობს, თუ“... როგორ დაიცვას კომუნისტური პრემიებითა და ჯილდოებით მოტანილი „სახელი და დიდება“.**

მწერლობას ყოველთვის ჭირდებოდა მზრუნველობა და წახალისება, თანადგომა და ყურადღება. პრემიები, მათ შორის, „კომუნისტურიც“, მარტო პარტიულ მოვლენად, მარტო პარტიის საჩუქრად არ უნდა მივიჩნიოთ. პრემია ვერ ჩაითვლება და ვერც აღიქმება ნამდვილ ჯილდოდ (ვერც დაჯილდოებულის მხრიდან და ვერც ხალხის მხრიდან), თუ იგი დამსახურებული არ არის.

„კომუნისტური პრემიებით“, ჯილდოებით“, წოდებებით, არა ერთი დიდებული ქართველი მწერლისა და ხელოვანის ღვაწლი აღინიშნა და მოდით, ნუ გავაუსამხებთ, ნუ წავბილწავთ ყველას სახელსა და ამაგს. დარწმუნებული ვარ, იმ დროს „კომუნისტურ პრემიას“ თვით წიკლაურიც სიხარულით მიიღებდა“, მაგრამ არავის მიუცია და ახლა, რახან თვითონ უპრემიოდ ბრძანდება, ადვილად იმეტებს გასაკიცხავად იმათაც, ვინც ვოლუნტარიზმის წყალობით დაუმსახურებლად მიიღო ეს ჯილდოები (რასაკვირველია, ასეთებიც ბლომად იყვნენ) და იმათაც, ვისაც დამსახურებულად ჰქონდა ისინი მიღებული.

(გაგრძელება მე-12 გვ.).

(გაგრძელება)

მ. წიკლაური დარწმუნებულია **თანამედროვე ქართული მწერლობის კიდევ ერთ ცოდვაში**: სამწერლობო წრეებში თურმე არის ვერაგული მოლოდინიც: „...ცოტა კიდევ გავძლოთ და ვინ იცის... მოვლენები სწრაფად იცვლება — იქნებ ისევ იგრგვინოს მილიონობით უდანაშაულო ადამიანების სისხლში ნაწრთობმა ლოზუნგებმა: „**წინ, კომუნიზმისაკენ!**“ ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!“ იქნებ ისევ აწივლოს გარუსების მათრახმა. იქნებ, იქნებ, იქნებ...“

როგორ უნდა იყო მოწყვეტილი სულიერად ქართული მწერლობის ოჯახს (სამწუხაროდ, დღეისათვის რამდენადმე დაქსაქსულს, მაგრამ მაინც ოჯახს), რომ მეშჩანურ-ობივატელური წრეების“ ნააზრევიდან“ ნახეხები ეს უგვანი ეჭვები შენსავე თანამოკალმეებს გადააბრალო და **მაღალი საზოგადოებრივი ინტერესების ღალატი** დასწამო?! ანდა, რამდენად მართებულია მ. წიკლაურის თუნდაც ასეთი კატეგორიული ბრალდება ქართული მწერლობისადმი წაყენებული: რომ ამ წრეში არის თურმე „ყველაფერი“, მაგრამ „...**არ არის მხოლოდ მონანიება**, არ არის ის ერთადერთი რამ, რაც ისევ გაგიხსნის ჩაკეტილ გზას შენი ხალხის გულისაკენ, რაც შენს შთამომავლობას იხსნის სირცხვილით გაწითლებისაგან“...

როგორც ხედავთ, მ. წიკლაური **ქართულ მწერლობას მონანიებისაკენ მოუწოდებს**. მაგრამ ვინ უნდა მოინანიოს? — ვისაც ყველაზე მეტი ჰქონდა მოსანანიებელი, ისინი ყველანი წავიდნენ და ახლა მათ მაგივრად ახალმა ლიტერატურულმა თაობამ უნდა ზლოს და მოინანიოს წინამორბედთა ყველა ცოდვები? ან როგორ წარმოუდგენია მ. წიკლაურს ეს „მონანიება“, ლიტონი სიტყვით, კოლექტიური განცხადებით, ინდივიდუალური აზრით თუ საქმით?

დიახ, ყოველგვარი განწმენდა უნდა მოხდეს საქმით და არა მიტინგზე წარმოთქმული აღსარებით, გულზე ხელის ბაგუნით და „მონანიე აზნაურების“ პოზაში ჩადგომით. **მონანიება მწერლისათვის**, თუ მას მართლაც აქვს რაიმე მოსანანიებელი, **შესაძლებელია მხოლოდ შემოქმედებითი მუშაობით** და არა მყვირალა წერილებით, თავმოსაწონებელი ლოზუნგებით, მწერალთა საზოგადოების დამდაბლებითა და სხვათა აბუჩად აგდებით, როგორც ამას წიკლაური აკეთებს.

მ. წიკლაური, ერთის მხრივ, მოუწოდებს „საპასუხისმგებლო ჟამის“ დროს, „სწორედ დღეს“ რომ გვიდგას, შეკავშირებისა და ერთიანობისაკენ. „ჩვენ ყველას, — წერს იგი — გაერთიანებისაკენ, თანხმობისაკენ, ურთიერთსიყვარულისაკენ გვიხმობს საქართველოს ადგილის დედა“. მაგრამ თვითონ, არსებითად, ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ იქცევა და ერთი ხელით რომ ერთობას აშენებს, მეორე ხელით იქვე ანგრევს მას.

აბა, რა „გაერთიანებაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა მისი მტკიცე რწმენით — „...ქაოსის ბინადარნი კი **ისევ ქაოსში სხედან. ხედავთ, რამდენი არიან: ერთი, ორი, ათი, ათასი, ათიათასი...** არხეინად სხედან წუმპეში და კიდევაც იმოძღვრებიან: გათიშულობა დამღუპველია, გავერთიანდეთ, შევთანხმდეთ, — **თქვენ მაინც სისხლი და ოფლი ღვარეთ, თავისუფლების გზები ეძებეთ, ჩვენ კი ძველებურად გვაცხოვრეთ ქაოსში**, თანაც ლიდერის მაისური დაგვიტოვეთ...“

აქ ავტორი მწერალთა კავშირის ფარგლებს გასცდა და სადავეებმიშვებულად მსჯელობს მთლიანად საქართველოს შესახებ. დეე, ამ ფრაგმენტის სიმართლე თვით მკითხველმა განსაჯოს, მაგრამ დღეს, როცა ქართველი ერი ისე როგორც არასდროს, „გამთლიანებულია“ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, სრული სუვერენიტეტის საერთო-სახალხო იდეით, სინანულს იწვევს მ. წიკლაურის იჭვიანი ვარაუდი, ვითომც ქართველ **ხალხს მკვეთრად გაყოფილი** დამოკიდებულება აქვს დღევანდელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. და წუმპეში მსხდარი ათასები მხოლოდ იმას ელიან, რომ ლიდერის მაისური ჩაიცვან.

ასეთი პოზიცია ქართველი ხალხის გაერთიანებისათვის კი არ მუშაობს, არამედ ურთიერთდაუნდობლობის, დაპირისპირებულობის და დაშორიშორების სასარგებლოდ.

ახლა ვნახოთ, როგორ წარმოუდგენს მ. წიკლაური ჩვენს ფართო საზოგადოებრიობას თავისი კოლეგების, ქართველი მწერლების საზოგადოებრივ, ეროვნულ და პროფესიულ ინტერესებს, მათ ინტელექტუალურ დონეს: „**ახლა მწერალი მწერალს რომ შეხვდება** — წერს მ. წიკლაური, — **ცოტა თუ ვინმე ლაპარაკობს კულტურის, ლიტერატურის ახალ მოვლენებზე, სოციალურ და ეროვნულ ამოცანებზე**.... საერთოდ რაც ბუნებრივია მწერალთა წრისათვის“.

ეტყობა, ავტორმა ოდნავ მაინც „დაინდო“ ჩვენი მწერლობა — „ცოტა თუ ვინმე ლაპარკობსო“, — კიდევ კარგი, არა თქვა „სრულიად არავინ ლაპარაკობსო“, მაგრამ ნუთუ მართლაც ასეა საქმე? ნუთუ მართლაც ასე გადაგვარდა ქართული მწერლობა, რომ მასში მხოლოდ „**ცოტანი ლაპარაკობენ**“ საქვეყნო საქმეზე; რომ მათთვის უცხოა ლიტერატურის ახალი მოვლენები და მათ შორის „**სოციალური და ეროვნული ამოცანები**“.

მე, პირიქით მგონია: ახლა მწერლებიცა და არამწერლებიც „სოციალურსა და ეროვნულ პრობლემატიკაზე“ იმდენს ლაპარაკობენ, ჯობს ნაკლები ვილაპარაკოთ და მეტი ვაკეთოთ. მ. წიკლაურს კი, როგორც ეტყობა, ლაპარაკი ემარჯვება. განა არ ჯობდა, ყველას მგმობელ თავის წერილში, თუ იგი მართლაც ჩახედულია ჩვენი ინტელიგენციის ცხოვრებაში, მის ინტერესებსა და სჯა-ბაასის პრობლემატიკაში, იმაზე მაინც მიენიშნებინა, თუ რა აქვს გასაკეთებელი ქართულ მწერლობას, ან როგორ და როდის უნდა გააკეთოს (დღევანდელი საქართველოს წინაშე მდგარი ამოცანების გათვალისწინებით), ხოლო თუ რამ გაკეთდა, რამდენად კარგად და სამომავლოდ.

მაგრამ მ. წიკლაურს კონსტრუქციულთან და პოზიტიურთან არაფერი ესაქმება. მას მხოლოდ სხვების კიცხვა ემარჯვება, რასაც დიდი კმაყოფილებით ახორციელებს. აი, როგორ გვიხასიათებს იგი თანამედროვე ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობის ინტერესებსა და საუბრების „თემატიკას“: „აი ლიტერატურული საზოგადოებრიობის საუბრების მთავარი თემები: იმას თურმე ვერ უყურებენ კარგი თვალით... ამას მაგარი ზურგი აქვს, ვერ მოხსნიან... იმან თავისი ხელით გაითხარა ორმო, ის წერილი რომ დაბეჭდა ამის წინააღმდეგ... ისა და ის თურმე... იმის აქციები დაეცა...“

შესაძლოა, მ. წიკლაურის მეგობართა თუ ახლობელთა წრეში მართლაც იფარგლებიან ასეთი თემებით, მაგრამ სულიერი შეზღუდულობის ამგვარი განზოგადება მთელს ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებრიობაზე და ყოველივე ამის ასე ნატურალისტურად წარმოსახვა მ. წიკლაურის ამ მსჯელობას“ პასკვილურ ხასიათს აძლევს. მეშჩანობა — მეშჩანობით ვერ გაიდევნება, ხოლო უარყოფითი მოვლენები — უარყოფითი ხერხებით. ნუ განვაზოგადებთ მანკიერ ადამიანთა თვისებებს და ნუ მივაწერთ ასე იოლად და ხელაღებით პროფესიულ ჯგუფებს, შემოქმედებით წრეებს, მთელს ჩვენს საზოგადოებრიობას.

უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც: ყოველი საზოგადოების ცხოვრებაში, რა ეპოქისა და ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, გარდუვალად დგება ისეთი პერიოდები, ხანმოკლე თუ შედარებით ხანგრძლივი, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული სულიერი დაძაბულობით და ფსიქოლოგიური სტრესებით. ეს პერიოდები დაკავშირებულია ან მძაფრ საზოგადოებრივ გარდაქმნებთან ანდა პირიქით, ცხოვრების მაჯისცემის ავადმყოფურ მოდუნებასთან. ასეთ საგანგებო ვითარებაში, ასეთ „დანაღმულ“ ატმოსფეროში მასების ამაღლებულ ინტერესებს ხშირად ენაცვლება ვიწრო ყოფითი და ეგოისტური ტენდენციები. ხდება ისეც, რომ ბობოქარსა და ქარიშხლიან პერიოდებს ისეთი დღეები მოაქვს, როცა დინჯი, აუჩქარებელი „აკადემიური“ საუბრები, ფართოდ გაშლილი პროფესიული კამათი და განყენებული მსჯელობა (თუნდაც ფრიად მნიშვნელოვან საგნებზე) გარკვეული დროით არა თუ ძნელი, შეუძლებელიც კი ხდება.

ამ ბოლო წლებსა და თვეებში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპზე და მრავალპარტიული ეროვნული პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების დაძაბულ პერიოდში, რომელიც ასეთი დიდი ეროვნული წარმატებით დაგვირგვინდა, როცა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი პრობლემატიკა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უპირველესი და სასიცოცხლო ამოცანა გახდა, ბუნებრივია, განყენებული ხასიათის მსჯელობასა და მხატვრულ-ესთეტიკურ საკითხებს ვერ დაეთმობოდა იმდენი ყურადღება, რაც სხვა უფრო „მშვიდობიან“ პირობებში.

მაგრამ ყოველი ხალხის ისტორიისათვის ცნობილმა ამ გარემოებამ არ უნდა გაგვიტეხოს გული და არ უნდა გვაფიქრებინოს, ვითომც ჩვენმა ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ და მით უმეტეს ქართულმა მწერლობამ დაკარგა ინტერესი თავისი ძირითადი საქმისადმი, თავისი შემოქმედების მთავარი თემისადმი, ვითომც იგი ისე დაწვრილმანდა, დასურდავდა, დაჩიავდა და გაფუქსავატდა, როგორც ეს ზოგიერთებს, და მათ შორის, მ. წიკლაურს ჰგონია.

ჭეშმარიტი და მრავალრიცხოვანი ქართველი შემოქმედებითი ინტელიგენცია (ყოველ შემთხვევაში, მისი უდიდესი და ღირსეული ნაწილი), არასოდეს არ ყოფილა (ჩვენს ძნელ დროშიც კი), განზე გამდგარი ეროვნული საქმისაგან, არასოდეს არ ყოფილა ხელებჩამოყრილი, უიმედო, ურწმუნო და უსაქმური. იგი ყოველთვის იყო ყოველგვარი „**ქაოსის**„ **ანტიპოდი** და დიდი ეროვნული ცოდვა იქნება, ამას ვერა ვხედავდეთ ან ვერა ვგრძნობდეთ. ამასთან, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **მწერლისათვის მთავარი ბრძოლის ველი** ეს არის არა ქუჩის დემონსტრაცია და სამიტინგო ტრიბუნა (თუმცა, როცა საჭიროა არც ამას უნდა გამოაკლდეს), რამდენადაც უშუალო და პირდაპირი მწერლური საქმე — ლიტერატურა და პუბლიცისტიკაა. ამასთან, ზედმეტი სულსწრაფობა მხატვრულ ასახვაში ისევე საშიშია, როგორც ზედმეტი დაგვიანება, რასაც ავტორისა და მისი მასალის „გადაწვა“ მოჰყვება ხოლმე.

ბოლო ხანებში ქართულ მწერლობას ბევრი გამკილავი და მაყვედრებელი გაუჩნდა: მაგრამ მისი ავტორიტეტის შელახვის ცდაში, გარკვეული ცოდვა მწერლობის წარმომადგენლებსაც მიგვიძღვის. ჩვენს ზედმეტად კრიტიკულ (უფრო სწორად „თვითდამკოდ“) მონოლოგებს და დიალოგებს ზომიერებადაკარგულ და უარისმყოფლურ განცხადებებს, მწერალთა კავშირის გაუქმებისაკენ მიმართულ არაგონივრულ მოწოდებებს, კავშირის „სრული“ რეკონსტრუქციის არაკომპეტენტურ „პროექტებს“ წინდაუხედავ ქცევას, საჩვენებელი თვითგვემით და ან ჭარბად დაშაქრული ან ჭარბად მკაცრი აღსარებით, — იქამდეც მივყევართ, რომ სამწერლო საქმესა და მწერლური ორგანიზაციის საქმიანობაში ნაკლებად ჩახედულ პირებს ყოველივე ეს ხშირად სხვაგვარად ესმით, რაც აშორიშორებს, სულიერ ნაპრალს აჩენს. ხალხსა და მწერლობას შორის და გულს უცრუებს ადამიანებს მწერალთა ძირძველ ყოვლადაუცილებელ ორგანიზაციაზე. ასეთი „პოლიტიკა“ ოდნავადაც არ ემსახურება ეროვნულ საქმეს. ამით მე **გონივრული კრიტიკის** წინააღმდეგ კი არ გამოვდივარ, არამედ **უმართებულო და განუსჯელი** კრიტიკის წინააღმდეგ.

მ. წიკლაურს სრული უფლება აქვს (თუ მას მაინცა და მაინც ასე სურს!) თავისი სახელით ან თავისი მისამართით განაცხადოს (ვფიქრობ, არც ამ შემთხვევაში იქნება იგი სავსებით მართალი). ვითომც „...ჩვენი **წვრილმანი სულები ამ ჭორებითა და სინამდვილითაა გაჟღენთილიო**“... მაგრამ საზოგადოდ მთელი ქართული მწერლობის სახელით ამის განცხადება ნამდვილ მკრეხელობად მიმაჩნია.

მ. წიკლაური თავის „კრიტიკულ ნააზრევში“ ხანდახან სიმართლესაც გამოურევს ხოლმე. მაგრამ ამ სიმართლესაც მაშინვე ყალბ კუდს უბამს. მაგალითად, მსჯელობს რა ქართულ მწერლობაზე, ლიტერატურულ ცხოვრებასა და თანამედროვე ლიტერატურულ გარემოზე, ასკვნის: „...**ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე რაღაც ბნელი ძალები** ახდენდნენ **დამამცირებელ და გამანადგურებელ გავლენას**, რაღაც ბნელი ანგარიშიანობა მოქმედებს დამანგრეველი ძალით“...

კი, ბატონო, „ვიღაცაზე“ ასეთი „ბნელი ძალები“ (ისინი ყოველთვის იყვნენ და მოქმედებდნენ, რადგან სადაც ნათელია, იქ აუცილებლად ბნელიცაა), შესაძლოა, მართლაც მოქმედებენ, მაგრამ ამოცანა ის გახლავთ, **რომ ვაჩვენოთ ეს გამანადგურებელი ძალები**, და ისიც, თუ კონკრეტულად ვისზე მოქმედებენ ისინი, ან რას გულისხმობს „ბნელი ანგარიშიანობა“ და რა შედეგები მოაქვს მას ლიტერატურისათვის.

კრიტიკოსის ამოცანა ასეთი ტირადების საჩვენებელი რიხით წარმოთქმაში კი არ მდგომარეობს, არამედ აღძრული საკითხების დაკონკრეტებასა და დასაბუთებაში. მაგრამ სწორედ ეს ობიექტური კონკრეტულობა აკლია მ. წიკლაურის წერილს და ხშირად იქაც, კი სადაც მისი ესა თუ ის ზოგადი დებულება შესაძლოა დროულიც და სწორიც იყოს.

მ. წიკლაური არაერთგზის მოგვიწოდებს ეთიკურობისა, ზრდილობისა და მაღალზნეობრიობისაკენ. იგი უსაყვედურებს ერთ-ერთ ქართველ კრიტიკოსს: „მისი წერილი არ გამოირჩევა კორექტულობითო“. თვითონ კი „კორექტულობა“ ხსოვნითაც არ ახსოვს. მაგალითად, მწერალთა და მწერლობის მოყვარულთა წრეში საზოგადოებრივი აზრის მომწიფების პროცესს მ. წიკლაური ასე „სხეობრივად გვისურათებს“: „...**აფუთფუთდა ჭორებით მოგალახე ლიტერატურული ბაზარიც**“. ანდა, აი, მ. წიკლაურის „დასაბუთების“ სტილი: „მარო არ გაბოზდებოდა, შაქრო რომ ჯარში არ წაეყვანათო... იმერიას და იმას ვინც შაქრო ჯარში წაიყვანა ნუ გავამართლებთ, მაგრამ... მართასაც კი ევალებოდა შეენახა ნამუსი, **მოეცადა შაქროსთვის“... და არ გაბოზებულიყოო!**

მ. წიკლაურს ძალიან უყვარს კეთილი სურვილებითა და უდაო დებულებებით თავის მოწონება. მაგრამ როგორც ეს არაერთგზის დადასტურდა, ასეთი დეკლარაციები ავტორის ქცევასთან, მის ხასიათთან ყოვლად შეუთავსებელი გამოდგა. „ჩვენ, — წერს წიკლაური, — ერთმანეთთან **უკომპრომისო, მაგრამ ამასთანავე მეგობრული პროფესიული საუბარიც უნდა ვისწავლოთ და ერთმანეთის დაცვაც (!!)**“ უფრო სწორი იქნებოდა, რომ დაეწერა — ჯგუფური ინტერესების დაცვაო. მაგრამ ამგვარი „დაცვის“ სწავლა მ. წიკლაურს არა სჭირდება, ჯგუფური ინტერესების დაცვა მას მართლაც კარგად ძალუძს. რაც შეეხება პროფესიულ „საუბარს“, ვგონებ ზემოთთქმულიდანაც ჩანს თუ რა დონეზე „საუბრობს“ იგი.

მოვიყვან მისი „უკომპრომისო, მაგრამ მეგობრული პროფესიული საუბრის“ კიდევ ერთ მაგალითს. ეს შეეხება თეიმურაზ დოიაშვილისა და ლევან ბრეგაძის ალმანახ „კრიტიკიდან“ განთავისუფლების ისტორიას და ამ „საქმისადმი“ ჩემს დამოკიდებულებას, რამდენადაც მაშინ ის ხელმძღვანელი მე გახლდით, რომელმაც თურმე ერთპიროვნულად გაანთავისუფლა თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე თანამდებობიდან. მართალია, „ხელმძღვანელის“ გვარი მ. წიკლაურმა ვითომდაც დააქარაგმა, მაგრამ ისე რომ არავის არ გასჭირვებოდა მისი გაშიფვრა, და იმავე დროს უფრო მეტი ინტერესი აღეძრა, ვიდრე პირდაპირი დასახელებისას.

თ. დოიაშვილის განთავისუფლების მთავარი მიზეზი მ. წიკლაურის მტკიცებით ისა ყოფილა, რომ მან თურმე **რამდენიმე „დიდი კაცი“ გაანაწყენა** ალმანახის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილებით. „ამ წერილებში, როგორც ამას მ. წიკლაური ამტკიცებს, „ობიექტურად იყო განხილული ლიტერატურული პროცესის ცალკეული მომენტები...“ და ამის საფუძველზე ასეთი დასკვნა გამოაქვს: „**გამოდის, რომ რედაქტორი ლიტერატურული კრიტიკისათვის იდევნება**“. მაგრამ ამ საქმეს, მ. წიკლაურის აზრით, სხვა მიზეზიც ჰქონია: „ალმანახის“ მიერ განაწყენებულთა რიცხვს დაემატა კიდევ ერთი — „ხელშეუხებელი“ ავტორი, რომელიც „იმ ხანებში დაუმოყვრდა მწერალთა კავშირის ერთ-ერთ ხელმძღვანელსო...“

ამ „ხელმძღვანელზე“ და ყოფილი რედაქტორის „ლიტერატურული კრიტიკისათვის დევნაზე“ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ, აქ კი მხოლოდ იმას დავსძენ, რომ მ. წიკლაურის, რბილად რომ ვთქვათ, ჭორი, მაპროვოცირებელი ხასიათისაცაა: მე, ცოტა ხანში გამოვაქვეყნებ პასუხს იმ კრიტიკაზე, რომელსაც მ. წიკლაური იმოწმებს და იძულებული ვიქნები მოვიყვანო ზოგიერთი მასალა მწერალთა კავშირის არქივიდან, რათა დავასაბუთო ის გადაწყვეტილება, რომელსაც ასეთ კვალიფიკაციას აძლევს მ. წიკლაური.

პასუხი თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის კრიტიკაზე, რომლის შესახებაც, მ. წიკლაურის თქმით, „საწინააღმდეგო აზრი არავის გამოუთქვამს“, მართლაც შემაგვიანდა. ჯერ 9 აპრილის უბედურებამ მომისწრო, ხოლო შემდეგ, მომდევნო მღელვარე დღეებსა და თვეებში უხერხულად მივიჩნიე პირად ნაწყენობაზე წერა, როცა ყველას სხვა უფრო დიდი სადარდებელი და საზრუნავი გაგვიჩნდა.., მაშინ, მართლაც, ისე მომივიდა, როგორც ნათქვამია: „ქვეყანა ინგრეოდა, აქლემი როკვას შვებოდაო“.

აქამდე თავს იმით ვინუგეშებდი, რომ თუ დოიაშვილმა და ბრეგაძემ 20-25 წლის წინათ გამოქვეყნებული ჩემი წიგნები (მრავალზე მრავალი რეცენზიით დადებითად შეფასებული) ერთი ხელის მოსმით „გაანადგურეს“, რატომ მე არ შემიძლია ერთის წლის დაგვიანებით ვუპასუხო მათ? არადა, მ. წიკლაურმა ამ პასუხის დაჩქარებისაკენ მიბიძგა. ასე რომ, იგი ამ მხრივაც არა გავს იმ მტრედს, ნისკარტით მშვიდობის რტო რომ მოაქვს.

მაგრამ დავუბრუნდეთ მ. წიკლაურის მიერ თ. დოიაშვილისა და ლ. ბრეგაძის დახასიათებას, რასაც მისი სტატიის კონტექსტში მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, გაკიცხოს მათი მომხსნელი „ხელმძღვანელი“: — **აი, რა შესანიშნავი ხალხი მოხსნა ვოლუნტარისტულად**, ვიღაცა „**განაწყენებულ**“ და „ხელშეუხებელ“ პიროვნებასთან დამოყვრების მიზეზით და პირადი ნაწყენობის საფუძველზეო. მ. წიკლაური ასე ახასიათებს „კრიტიკის“ ყოფილ რედაქტორს „..წესიერი და განათლებული კაცი, მაღალპროფესიულ დონეზე დაწერილი ლიტერატურული გამოკვლევების ავტორი“. „...ამ ხალხს (ე. ი. თ. დოიაშვილსა და ლ. ბრეგაძეს, გ. ც.) ვიცნობდი, როგორც პატიოსან ლიტერატორებს, ნამდვილი ლიტერატურული გამოკვლევების ავტორებს, პროფესიონალებს...“

მ. წიკლაური საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თ. დოიაშვილი და ლ. ბრეგაძე მას მიაჩნია ისეთ მწერლებად, „...ვინც არ გატყდა, ვინც თავისი პიროვნული ღირსება და ეროვნული მრწამსი არ გაყიდა, ვინც ხიფათითა და მოულოდნელი თავდასხმებით აღსავსე ცხოვრება არ გაცვალა ჩარჩოებს მორგებულ მწერლის უზრუნველ ყოფაში. მაგრამ ცოტა ქვევით ავიწყდება „მეგობარ“ კრიტიკოსთა ის ღირსებები, რომელიც, ეტყობა, არც თუ გააზრებულად მიაწერა და, არსებითად, თვითონვე უარყოფს თავის დახასიათებას, როცა მათ „ანტილიტერატურის“ შემქმნელ „ჰიმნოგრაფებს“, „სულგაყიდულ კრიტიკოსებს“, „ეშმაკს სულმიყიდულებს“ და ძლიერთა წინაშე „პირფერულად მოცუნდრუკეებს“ უწოდებს.

წადი ახლა და გაარკვიე, სად მთავრდება ქება და სად იწყება ლანძღვა. ეტყობა, მ. წიკლაურს ორივე მეტისმეტად ეადვილება! წერილის ავტორი ამ ორი დაწყვილებული კრიტიკოსის მაღალ ღირსებებს მხოლოდ წარსულს უკავშირებს და აწმყოზე არ გადმოაქვს, ე. ი. სანამ ისინი მამხილებლური წერილების წერაზე გადავიდოდნენო, თუმცა, იქვე დასძენს, ეტყობა, თავის „მეგობრების“ გასამართლებლად: „პიროვნული თავმოყვარეობის რეაბილიტაციისათვის ლიტერატურულ თავმოყვარეობას წირავდნენო“. მაგრამ ორი კრიტიკოსის ასეთი ფერისცვალება დიდ ცოდვად არ მიაჩნია, თუმცა, აღიარებს, რომ ეს ჩემთვის „ძალიან მტკივნეული იყო“-ო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ინტელიგენცია ერის სამსჯავროზე?

„ქართველთა ინტელიგენციას ბევრი რამ ეკიჟინება, მაგრამ არც ისეთი მჩვარში გასახვევია, რომ იმის არცოდნა დაჰბრალდეს, რის ცოდნაც დღეს ბალღსაც კი ენაზე აკერია.“

ილია

უკანასკნელი წლების მანძილზე ინტელიგენციის მისამართით, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ ისე სასიამოვნო სიტყვები გაისმოდა სხვადასხვა თავყრილობებზე. მსგავსი სიტყვები მეორდებოდა ე. წ. არაფორმალურ პრესაში. ამჯერად აღნიშნულ ტენდენციას აშკარად გამოკვეთილი სახით ვხვდებით სამი ავტორის (ნ. გველესიანი, მ. მარჯანიშვილი, ნ. ლაზრიშვილი) სტატიაში „ინტელიგენცია თუ განათლებული საზოგადოება“ (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 16 ნოემბერი). თუ ავტორებს დავუჯერებთ, ინტელიგენცია თავისი წარმოშობით წმინდა რუსული მოვლენა ყოფილა. ამ ფენის სულიერი და ფსიქოლოგიური სახე მათ მიერ ასეა გადმოცემული: „აქტიური ღვთისმგმობელობა, ფანატიკური შეუწყნარებლობა, ინდივიდუალობის უქონლობა — ჯოგური სული, ნიჰილიზმი ანუ ღვთის, სულის, ნორმების, ტრადიციების და მაღალი ფასეულობების უარყოფა“. შესაბამისად ინტელიგენციისათვის უცხო ყოფილა „ღირსების გრძნობა, პატიოსნება, სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა, ღვთის რიდი, ზნეობა, ზრდილობა, განათლების წყურვილი, აზროვნების უნარი“.

მსგავსი დახასიათებისას ავტორები ამოდიან ე. წ. ვეხელების (ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვისა და მ. გერშენზონის) გამონათქვამებიდან რუსული ინტელიგენციის თაობაზე. მეორეს მხრივ, ისინი ინტელიგენციის დახასიათებას ავსებენ სტალინისეული შეხედულებითაც. სტატიაში ვკითხულობთ: „ინტელიგენცია არის, სტალინის უზუსტესი განმარტებით, საზოგადოების ნასწავლი ფენა, რომლის საქმიანობასაც „მიმართულებას აძლევს და განსაზღვრავს მმართველი კლასის ინტერესები, რომელსაც იგი ემსახურება“.

ერთი სიტყვით, ცარისტულ და ბოლშევიკურ რეჟიმებს ინტელიგენციის სახით ერთგვაროვანი მასა გამოუყვანიათ, რაზედაც გენეტიკოსებსა და სელექციონერებს უთუოდ შური აღეძვრებათ. ცხადია, თუ ამგვარი დახასიათებანი ნამდვილად გამოხატავენ ინტელიგენციის არსს, ბუნებას, მაშინ ეს სოციალური ფენა უარყოფითი მოვლენა ყოფილა და სამეული (ავტორთა) არც გაურბის ასეთ დასკვნას, ამაზე ისინი აშკარად, [illegible]იკიბვ-მოკიბვის გარეშე ლაპა[illegible]კობენ. აღნიშნული სოციალური სიმახინჯე, ჩვენდა სამწუხაროდ, თურმე, რუსეთიდან საქართველოშიც გავრცელებულია, სახელდობრ, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან სოციალ-დემოკრატების სახით, მითუმეტეს მეტად გავრცელებულა იგი საბჭოთა რეჟიმის პირობებში. ავტორებს სათაკილოდ მიაჩნიათ თვით სიტყვა „ინტელიგენტი“, ასევე „ინტელიგენტური აზროვნება“, „აზროვნების ინტელიგენტური კომპლექსი“, „ინტელიგენტური მორალი“ და ა. შ. ისინი კითხვას სვამენ: „განა შეჰფერის ქართველ ვაჟკაცს, პატრიოტს, მორწმუნეს სახელად — ინტელიგენტი? ენა ვერ მოგიბრუნდება“; „განა ილია ჭავჭავაძე — „ინტელიგენტია?“. სამეულის განცხადებით, ინტელიგენტი არ ყოფილა მიხეილ ჯავახიშვილიც. საერთოდაც, ინტელიგენტობა ქართველთა ხასიათისათვის შეუფერებელი რამ ყოფილა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელიგენტობას განასახიერებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები, კონკრეტულად ასახელებენ თეიმურაზ ხევისთავს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ ლიტერატურულ ტიპში სულიერი გარდატეხა დაიწყო, ამიერიდან იგი იწყებს პიროვნებად გაზრდას და ამდენად ინტელიგენტობისაგან დაშორებას. საერთოდ, [illegible]ტორთა აღიარებით, ინტელიგენტობა და პიროვნებად ყოფნა ურ[illegible]რთგამომრიცხველი ცნებებია.

ამთავითვე ვიტყვით, რომ სამეულის შეხედულებანი ინტელიგენციისა და ინტელიგენტის შესახებ გაუგებრობაზეა აგებული. მივყვებით მათს არგუმენტაციას.

ავტორები, როგორც ვამბობდით, გამოდიან ცნობილი ვეხელების შეხედულებიდან და იგი აბსოლუტურ ჭეშმარიტებად მიუჩნევიათ. სინამდვილეში ვეხელების მიერ რუსი ინტელიგენციის დახასიათება აშკარად ცალმხრივია. თუ რუსეთის ისტორიას გავითვალისწინებთ, გავიცნობიერებთ რუსი ინტელიგენციის, ინტელიგენტების დადებით მხარეებსაც, მათს დიდ შემართებას დესპოტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, სწრაფვას სოციალური სამართლიანობისათვის, სოლიდარობის დიდ გრძნობას მშობლიური ხალხის ფართო ფენებთან. ამის თაობაზე მოვუსმინოთ გამოჩენილ ქართველ მოაზროვნეს და საკითხში ღრმად ჩახედულ არჩილ ჯორჯაძეს. წიგნში „მასალები ქართველ ინტელიგენციისათვის“ იგი წერდა: „ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადაროთ რუს ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრით საერთო ბევრი რამა აქვთ. თავდაპირველად მოსჩანს რუს ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა (ამგვარი უპირატესობა რუს ხალხს ჩვენ ხალხთან შედარებით არა აქვს). იქ მეტი სიღრმეა, მეტი თავდადება, ენთუზიაზმი, რწმენა და თავგანწირულება. აქ ზერელობაა, თავდაჭერა; გატაცება და ენტუზიაზმი ხან-მოკლე და თავის თავის დაზოგვა“ (იხ. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 196); „რუსი ინტელიგენტი იმთავითვე თავგანწირული ადამიანია. იგი ავადმყოფია ქვეყნიურ უსამართლობის გამო. იგი არ ითვისებს, არ იწყნარებს უსამართლობაზე დამყარებულ ქვეყანას“. (იქვე, გვ. 197); „ან რა შეედრება თავისი სიდიადით, თავისი წვალებრივობის (მოწამეობის, — გ. ყ.), ნიშნებით და თავისდადებით იმ მოძრაობას, რომელიც გაჩნდა რუსეთში 1872-78 წლებში, როდესაც მთელმა ინტელიგენციამ, ქალვაჟიანათ, ხალხისაკენ გასწია და ხალხი უნდა აემაღლებინა, გაენათლებინა და აემოძრავებინა უკეთესი მომავლისათვის“ (იქვე, გვ. 197-198). ამას წერდა დიდი ქართველი პატრიოტი, მოაზროვნე და, ვიმეორებ, საკითხის ღრმად მცოდნე პიროვნება. ასე რომ, როდესაც მავანნი ცდილობენ გაიზიარონ რუსი ინტელიგენციის არსი, ამისათვის ოდენ ვეხელების — კადეტური ბურჟუაზიის წარმომადგენლების შეხედულებათა ამოკითხვა არა კმარა.

რუსეთის ინტელიგენცია, რომელიც დეკაბრისტებიდან მოყოლებული აშკარად იყო დაპირისპირებული ცარიზმთან და ბიუროკრატიასთან, ბუნებრივია, ამ ძალების მხრივ სიძულვილის ობიექტი იყო. სიძულვილი ინტელიგენციის მიმართ ჰქონდათ რუს ბოლშევიკებსაც, პირველ რიგში ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს (სხვათაშორის, ამ უკანასკნელის ანტისემიტიზმი სწორედ ინტელიგენციისადმი უარყოფითი დამოკიდებულებით აიხსნება). რუს ბოლშევიკებში ერთ დროს ძლიერი იყო ე. წ. მახაევშჩინა (სახელწოდება წარმოიშვა ვ. ე. მახაევსკის მიხედვით), რომლის არსი ინტელიგენციისადმი სიძულვილში მდგომარეობდა; ამ „მოძღვრებით“ მუშები წასისიანებული იყვნენ ინტელიგენციასთან, როგორც ექსპლოატატორულ კლასთან. ინტელიგენციასთან ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ მემარცხენე კომუნისტებს, მუშათა ოპოზიციას. იგივე გამომჟღავნდა 1937-39 წლების რეპრესიების დროს. მოვიგონოთ საბჭოთა რუსეთში ერთ დროს ფართოდ გავრცელებული მოწოდება „ბეი ინტელლიგენტოვ“, სიტყვა „ინტელლიგენტიკ“. მსგავს ტენდენციას ავითარებდნენ ფაშისტები, მაოისტები (ე. წ. კულტურული რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ხომ ინტელიგენციის განადგურება და დარბევა გახლდათ) და საერთოდ, თანამედროვე ტოტალიტარიზმის უკლებლივ ყველა მიმდინარეობა.

სამეულის მიხედვით, ვიმეორებთ, საქართველოში ათეული წლების მანძილზე ინტელიგენციას ანსახიერებდნენ მხოლოდ სოციალ-დემოკრატები. მაგრამ თვით ამ მიმდინარეობის შიგნითაც ხომ იყვნენ წარმომადგენლები (ა. ჩხენკელი, ლ. დარჩიაშვილი, ი. ევდოშვილი, ქ. ლომთათიძე, ვ. მგელაძე, ვ. ნოზაძე და სხვები), რომლებიც ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთებისანი იყვნენ. ამდენად, ყველა ქართველ სოციალდემოკრატზე, მით უმეტეს 1918-21 წლების შემდეგ. ასე ცალსახად, როგორც არაპატრიოტებზე, ლაპარაკი, არ შეიძლება. სტატიაში აღნიშნულია 1924 წლის ჩვენი ეროვნული აჯანყების შესახებ, ხოლო ამ აქციაში ქართველი სოციალ-დემოკრატების თვალსაჩინო როლი კარგადაა ცნობილი. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში სოციალ-დემოკრატების გარდა ბევრი ეროვნულად, პატრიოტულად განწყობილი პიროვნება გამოჩნდა, ასევე მოხდა მომდევნო ათეულ წლებში და ყველა ესენი, სამეულის ლოგიკით, ცხადია, ინტელიგენციაში არაა შესაყვანი.

ავტორებისგან განსხვავებით, ინტელიგენციის ცნებას სხვაგვარი შინაარსით გაიაზრებდა და შესაბამისად აღნიშნულ სოციალურ ფენაზე მაღალი წარმოდგენისა გახლდათ ჩვენი დიდი, ბრძენი წინაპარი ილია. დავიმოწმებთ მისეულ რამდენიმე გამონათქვამს. იგი წერდა: „ერი შედგება ორი ნაწილისაგან: ფართო, უსწავლელი მასისაგან და ინტელიგენციისაგან“ (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული პავლე ინგოროყვას რედაქტორობით, ტ 3, გვ. 262). სხვაგან ილია ამ ფენის განმარტებისას აღნიშნავდა: „ე. ი. იმგვარნი პირნი, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოვლის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა“ (ტ. 5, გვ. 47); სხვაგან კი ასეა: „ის წრე, რომელსაც გონებით მცხოვრებ საზოგადოებას ეძახიან, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოვლის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების ულის თავში პირველი ჩადგება ხოლმე“ (იქვე, გვ. 88). აღნიშნავს რა საერთო, საზოგადო საქმეებისადმი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას (მიმართებას), ილია წერდა: „ამისთანა საქმეებს ჩვენში სხვა არავინ დახვდევს და თუ რამ ქვეყნისადმი გულისტკივილია სადმე, კიდევ ამ ინტელიგენციაშია“ (იქვე, გვ. 310). ერთგან ილია წერდა: სამღვდელოება, მოქალაქეობა და თვით გლეხობა დღითი დღე ავსებენ თხელს რაზმს ინტელიგენციისას, რომელიც, ამჟამად წარმოადგენს შესამჩნევ ძალას“ (იქვე, გვ. 324).

ზემოთ ვაჩვენეთ თუ როგორი დიდი აზრისა იყო რუსი ინტელიგენციის შესახებ არჩილ ჯორჯაძე. მის თვალში ასევე დიდად ფასობდა ქართველი ინტელიგენცია, რომლის ისტორიისთვისაც სპეციალური ნაშრომი ჰქონდა მიძღვნილი. მოვიტანთ ზოგიერთ ადგილს წიგნიდან „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“: „მესამოცე წლებიდან იწყება მკვიდრი და თითქმის განუყრელი კავშირი რუს და ქართველ ინტელიგენტებისა“ (გვ. 104); „...(ახალი საზოგადოებრივი ელემენტის, — გ. ყ.) სააშკარაოზე გამოსვლამ სამუდამოდ მისცა ქართულ ინტელიგენციას მტკიცე სახიათი დემოკრატიულ ინტელიგენციისა“ (გვ. 129); „მესამოცე წლებში ახალი ტიპის ახალგაზრდობა გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვილი ინტელიგენციაა“ (იხ. თხზულებანი არჩილ ჯორჯაძისა, წიგნი მეხუთე, გვ. 199); „პირველი ჯგუფი ნამდვილი ქართული ინტელიგენციისა“ (იქვე) და ა. შ. მონოგრაფიაში დიმიტრი ყიფიანის შესახებ ავტორი წერდა: „ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, თავად-აზნაურობის კარჩაკეტილობა უნებლიედ ირღვევა, ცხოვრებაში ნელ-ნელა ახალი ძალა ისახება, ჩნდება ინტელიგენცია და ინტელიგენციის გაჩენასთან ერთად ეროვნული შეგნება ილვიძებს საზოგადოებაში. საზრუნავი ხდება ახლად გაღვიძებული ეროვნული ინტერესი. ინტელიგენცია თავისი შეგნებისა და ძალის მიხედვით, ჰპატრონობს ამ საქმეს, რომლის შინაარსი გამოისახება სამშობლოს ენის დაცვაში. სამშობლო ენის დაცვის ირგვლივ ჩნდება და მუშავდება ეროვნული პროგრამა“ (იხ. „ცისკარი“, 1988 № 7, 129). ასე რომ, როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძესაც, ქართველი ინტელიგენციის გაჩენა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებზე ბევრად უფრო ადრე გადაჰქონდა.

ილიასა და არჩილ ჯორჯაძის შემდგომაც „ინტელიგენტი“ და „ინტელიგენცია“ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში და უმეტესწილად ყოველდღიურ ცნობიერებაში სალანძღავ სიტყვებად არ გამხდარა. ძირითადად ასევე იყო ორი ათას წელზე მეტი ხნის განავლობაში, რაც მსოფლიოში სიტყვა „ინტელიგენტი“ დამკვიდრდა. ამისაგან განსხვავებით, სიტყვა „ინტელიგენციამ“ სპეციფიკური მნიშვნელობით, გარკვეული სოციალური ფენის აღსანიშნავად, გვიან, სახელდობრ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთში მოიკიდა ფეხი. ამ მნიშვნელობით დასავლეთში იხმარება სიტყვები: „თავისუფალი პროფესიები“, „საშუალო კლასები“, „თეთრი საყელოები“, „ტვინით მომუშავენი“. საერთოდ სიტყვა „ინტელიგენციის“ ხმარება გარკვეული სოციალური ფენის აღსანიშნავად, სოციოლოგიური თვალსაზრისით დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, „ინტელიგენცია“ სხვა სიტყვებზე ნაკლებ უპრიანი არ გახლავთ საზოგადოების იმ ფენის გამოსახატავად, რომელიც განათლებულია და განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებს, ემსახურება კულტურის განვითარების საქმეს. ამდენად, როცა ამა თუ იმ განათლებულ კაცზე, იტყვიან, რომ იგი არაა ინტელიგენტიო — ეს მხოლოდ გაოცებასა და გაუგებრობას იწვევს.

ავტორები აღნიშნავენ, რომ „ეროვნულ-[illegible]თავისუფლებ[illegible]ლ ბრძოლაში კი ერი ფენებად არ იყოფა, — ერს საერთო მიზანი ამთლიანებს“; „სოციალურ ფენებად ერის დაყოფა რევოლუციებისათვის არის დამახასიათებელი“. რა თქმა უნდა, ეროვნული განთავისუფლებისათვის ერის ყველა ჯანსაღი სოციალური ძალა უნდა იბრძოდეს, მაგრამ განა ამით გამორიცხულია საზოგადოების სხვადა სხვა ფენებად დაყოფა. მაშინ საზოგადოების შემსწავლელი ისეთი მეცნიერებანი, როგორიცაა სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია, ზედმეტი ყოფილა.

სტატიაში ვკითხულობთ: „ამიტომ, შიგადაშიგ, ინტელიგენტური ლოგიკით, ეროვნულ მოძრაობას რევოლუციად მოიხსენიებენ ხოლმე. ეს ყველაფერი ხალხს აბნევს და მრავალი აბსურდული მსჯელობისა და აღმოჩენის მიზეზი ხდება“. აქაც სრულ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე: რატომ არ შეიძლება ეროვნული მოძრაობის ისტორიაში გაჩენილი მნიშვნელოვანი ტეხილი „რევოლუციად“ მოიხსენიებოდეს. ჩვენი ახალი უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ხომ ჰქონდა ამას ადგილი. რა დაშავდა ამით?

სტატიის ავტორთა შეხედულებით „აზროვნების ინტელიგენტური კომპლექსი დაბრკოლებად აღიმართა „ეროვნული მოძრაობის“ გზაზე“; „ნამდვილ ინტელიგენციას არც შეიძლება ჰქონდეს რაიმე საერთო „ეროვნული მოძრაობის“ (რა შუაშია აქ წინწკლების ხმარება?!) მიზნებთან. ის არ იბრძოლებს მისი წარმატებისათვის, ის არ გადაჰრის იმ ტოტს, რომელზეც „ზის“, რომ იგი (ინტელიგენცია) იბრძოლებს არსებული სოციალური წყობილების ან მისი ნაირსახეობის გადასარჩენად, რუსეთის ახალ იმპერიასთან კავშირის გასამყარებლად. აქედან გამომდინარეობს შეგონება ინტელიგენციისადმი: შეიყვარონ სამშობლო, მიატოვონ სოციალური პრივილეგიები, თავიანთი ძველი მოკავშირე — იმპერია და სხვ. ყოველივე ესეც, რასაკვირველია, სავსებით გაუგებარია. ვეთანხმებით ავტორებს იმაში, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ბიუროკრატიის კლანში გადაიქცა და დღესაც გადის. მაგრამ, ამ ნაწილშიც ხომ იყვნენ და არიან პირნი, რომელთაც გარკვეული, — ზოგჯერ თვალსაჩინო, — წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ქართული კულტურის განვითარებაში. იყო ერთი ნაწილიც, რომელიც თუმცა პრივილეგირებული არ ყოფილა, მაგრამ მაინც, რწმენის გამო, ემსახურებოდა საბჭოურ რეჟიმს. მაგრამ ხომ რჩებოდა, — მითუმეტეს ახლა, — ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ყოველთვის იყო პატრიოტულად განწყობილი და რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეჰქონდა ქართული კულტურის განვითარებაში. უპირველესად ხომ სწორედ ისინი ანსახიერებდნენ დროთა კავშირს. ამის სანაცვლოდ ისინი სოციალურად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაბეჩავებულნი იყვნენ და არიან. რას უნდა ვემართლებოდეთ ამ ხალხს?

რა თქმა უნდა, ინტელიგენცია, მთლიანად აღებული, უკეთესი სჯობდა; აჯობებდა ამ ფენას ჰქონოდა მეტი პატრიოტიზმი, მეტი შემოქმედებითი უნარი და ა. შ. მაგრამ რატომ გვავიწყდება, რომ მას ცხოვრება უხდებოდა და უხდება საბჭოთა წყობილების პირობებში და სისტემის უარყოფით ზეგავლენას ვერ გაექცეოდა. აბა საქართველო განვითარებულიყო ნორმალურად, 1921 წლის შემდგომ არ გვეცხოვრა საბჭოთა წყობილების პირობებში, მაშინ ხომ ინტელიგენცია სხვაგვარი გვეყოლებოდა. რაკი ასე არ მოხდა, როგორიც გვყავდა და გვყავს გლეხობა („კოლმეურნე გლეხობა“), მუშათა კლასი, ისეთივე გვყავს ინტელიგენციაც, ალბათ, არც უკეთესი და არც უარესი. საკითხავია, რატომ მაინცდამაინც მავანთ ინტელიგენცია ჰყავთ ამოღებული სამიზნეში, ხოლო ბიუროკრატიის — ნამდვილად უარყოფითი სოციალური კლასის მიმართ კრიტიკულ შეხედულებებს ძალზე იშვიათად თუ გამოსთქვამენ. მეტიც, ინტელიგენციას ლანძღავენ, თათხავენ, იმდენად არა მუშები და გლეხები, რამდენადაც, თვითონ ინტელიგენციის წარმომადგენლები. თავის დროზე ასე აკეთებდნენ ვ. ი. ლენინი და „ძმანი მისნი“, თითქოს ისინი გლეხობის ან მუშათა კლასის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ასევე ხდება ახლაც, საკითხავია, თუ რომელ ფენას აკუთვნებენ თავს ისინი, რომლებიც ინტელიგენციის მიმართ ასე კრიტიკულად არიან განწყობილნი. სტატიის ავტორებს მოეძებნებათ ასეთი პასუხი — „განათლებულ საზოგადოებას“. მაგრამ ინტელიგენციის (ბიუროკრატიაში გასული წრის გარეშე), ინტელიგენტების აღსანიშნავად თუ „განათლებულ საზოგადოებასა“ და „განათლებულ ადამიანებს“, ვიხმართ, ამით არაფერი არ შეიცვლება, — ეს სიტყვები ხომ მნიშვნელობითაც და ეტიმოლოგიურადაც იდენტურნი არიან.

გაუგებარია, თუ ვის ან რას გულისხმობენ სიტყვებში: „რუსული ინტელიგენციის ფეხისხმას აყოლილი ჩვენი სწავლულები“, „ნეომენშევიკ-ინტელიგენტები“.

სტატიის ავტორთა მიხედვით, ინტელიგენცია თითქოს ეროვნული იდეალებისაკენ სწრაფვას ოდენ ემოციებად აცხადებს და თვლის, რომ ამგვარ მისწრაფებებს არ უნდა ავყვეთო; თითქოს აცხადებდეს, რომ საქართველოს თავისუფლად, დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია ეკონომიკის ჩამორჩენილობის გამო და კერპებად უქცევია მხოლოდ ეკონომიკა და პოლიტიკა (კონფორმისტული). მსგავს ტენდენციას ერთ ხანს აშკარად ამჟღავნებდა და შესაძლოა ახლაც ამჟღავნებდეს ბიუროკრატია და მასთან მიტმასნილი ზოგიერთი ინტელიგენტი, მაგრამ ასეთი პოზიციის მიკუთვნება მთელი ქართველი ინტელიგენციისადმი უაზრობა გახლავთ.

დასასრულს დავსძენთ, რომ ნ. გველესიანის, მ. მარჯანიშვილისა და ნ. ლაზრიშვილის პოლემიკური სტატია ბევრ საფიქრალს აღძრავს. იგი საყურადღებოა არა თავისთავად — მეცნიერულობის, ლოგიკური გამართულობის, საინტერესო შინაარსის, არამედ მასში გატარებული ტენდენციის გამო. ამიტომ საჭიროა სტატიის გარშემო ცხოველი და მწვავე დისკუსია.

გურამ ყორანაშვილი



ივანე ერისთავის წარწერა წორბისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან.

# წარწერები ფრონეს ხეობიდან

## ოთარ ტყეშელაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წორბისის არქეოლოგიური ექსპედიცია 1981 წლიდან საველე სამუშაოებს ატარებს მდინარე ფრონეს ხეობის ზემო წელში.

აღნიშნული რეგიონი მოიცავს ტერიტორიას, ერთი მხრივ, სოფელ ავნევიდან (აქ ერთვის ერთმანეთს მდ. აღმოსავლეთის ფრონე და წუნარისხევი) სოფელ წორბისამდე, ხოლო მეორე მხრივ, სოფელ ვახტანიდან სოფელ რუსთავამდე. ეს ტერიტორია თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით ზნაურის რაიონში შედის, ისტორიულად იგი შიდა ქართლის ნაწილი იყო.

წორბისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ამ რეგიონში მრავალი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლის არსებობა იქნა დადასტურებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მდინარე ფრონეს ხეობის ეს მონაკვეთი უძველესი ხანიდან იყო დასახლებული. განსაკუთრებით მჭიდრო დასახლება და კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობა აქ ფეოდალურ ეპოქაში ჩანს. ამის დამადასტურებელია ამ ეპოქის ნასოფლარების სიმრავლე, საერო თუ საკულტო ნაგებობების სიუხვე (ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები), საწარმოო კერები (ქურები, მარან-საწნახლები) და ა. შ.

ზემოთ აღნიშნული ყველა ძეგლის შესახებ საუბარი არ წარმოადგენს ამჟამად ჩვენს მიზანს. არც ამის საშუალება გვაქვს:

ამიტომ ამ რეგიონში აღმოჩენილი ძველი წარწერების შესახებ გვინდა ამჟამად მკითხველს ვესაუბროთ.

აღნიშნული წარწერები მიკვლეული იქნა სოფელ წორბისის მიდამოებში.

სოფელი წორბისი ზნაურის რაიონის ყორნისის სასოფლო საბჭოში შედის. იგი გაშენებულია მდინარე აღმოსავლეთის ფრონეს ორივე ნაპირას, ზღვის დონიდან 995 მ. სიმაღლეზე და ბოლო დასახლებულ პუნქტს წარმოადგენს ამ ხეობაში. სოფელში მეურნეობის თითქმის ყველა დარგია წარმოდგენილი (გარდა სუბტროპიკული კულტურებისა), რომელთა შორის წამყვანი ადგილი მეხილეობას, მესაქონლეობასა და მემინდვრეობას უჭირავს.

სოფელში ვაზიც ხარობს, თუმცა მევენახეობას ინტენსიური ხასიათი ამჟამად არა აქვს. ფეოდალურ ხანაში კი, სწორედ მევენახეობა-მეღვინეობა უნდა ყოფილიყო აქ მეურნეობის წამყვანი დარგი, რასაც მოწმობს საწნახლების, მარნების (მათ შორის, უზარმაზარი ქვევრების) სიმრავლე.

წორბისის თავში ორი ფრონე ერთვის ერთმანეთს: ერთს წორბისის ფრონეს უწოდებენ, მეორეს — ყორნისისა. ორივე მდინარე სათავეს ლიხის მთებში იღებს.

მდინარე წორბისის ფრონე ვიწრო და ღრმა ხეობაში მოედინება. ეს ხეობა დაბურული ტყითაა დაფარული, სადაც წიფელსა და რცხილას უჭირავს გაბატონებული მდგომარეობა. ხეობის სათავეებში მიმდინარეობს ხე-ტყის დამზადება. რომლის ტრანსპორტირებისათვის საჭირო გახდა გზის გაყვანა. გზის მშენებლებს 1980 წელს ნაწილობრივ დაუზიანებიათ ძეგლი, სადაც ჩუქურთმა-ქანდაკებიან ქვებთან ერთად, წარწერიანი ქვაც აღმოჩნდა. ამის შესახებ გაზეთ „კომუნისტში“ „1981 წ. 14 ივნისს დაიბეჭდა პროფ. ი. მეგრელიძის წერილი. აღნიშნულ წერილში ძირითადი ყურადღება წარწერაზე იყო გამახვილებული. რამდენად სწორად იყო ეს წარწერა წაკითხულ-გაშიფრული. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. ამჟამად კი, მოკლედ შევეხებით ძეგლის ადგილმდებარეობას და რაობას.

ძეგლი მდებარეობს მდინარის მარცხენა მხარეს, სოფელ წორბისიდან 7 კმ დაშორებით, დაბურულ ტყეში. მცენარეული საფარისაგან გაწმენდისა და დაზვერვითი ხასიათის გათხრების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ ამ ძეგლის სახით საქმე გვაქვს სამონასტრო კომპლექსთან, რომელიც თითქმის 200 კვ მ მოიცავს და სულ მცირე, შვიდი ნაგებობისაგან შედგება. მთავარი ნაგებობა ბორცვზე აუგიათ. ყველა ნაგებობა დანგრეული და ძლიერ დაზიანებულია. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა იმის დადგენა, რომ ბორცვზე მდგარი მთავარი ნაგებობა მოგრძო ოთხკუთხი ფორმის ეკლესია უნდა ყოფილიყო (ზომა 9,5X5,5 მ), რომელსაც კრამიტის ორფერდა სახურავი ჰქონდა. ეკლესიისათვის დასავლეთით და სამხრეთით ოთხკუთხი მოყვანილობის შენობები მიუდგამთ. ამ უკანასკნელს ღიობიც უნდა ჰქონოდა. აქვე ყოფილა მთავარი, საზეიმო შესასვლელი, რომელსაც თლილი ქვის კიბით სვეტებზე დაყრდნობილ, თაღიან კარში შევყავართ.

მონასტრის ყველა ნაგებობა დუღაბითაა აგებული რიყისა და თლილი ქვების მონაცვლეობით. ამასთანავე, მთავარი ნაგებობა საგანგებოდ დამუშავებული თლილი ქვის პერანგითაა შემოსილი, შიდა კედლები კი, შელესილ-მოხატულიც ყოფილა. საყურადღებოა, რომ მთავარ ნაგებობას აშკარად ეტყობა მეორადი მშენებლობისა თუ შეკეთების კვალი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მონასტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხევსა და გზას შორის, 200 მეტრის დაშორებით, რიყისა და თლილი ქვებით დუღაბზე ნაგები ოთხკუთხა კოშკი დგას, რომელიც ჩანს, მონასტრის დასაცავად იყო განკუთვნილი.

მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მედალიონში ჩასმული ე. წ. ბოლნური ჯვარი, არქაული, არაპროპორციული რელიეფური ქანდაკებები, სვეტის ბაზისი და ადრეფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმი მიგვითითებს, რომ აღნიშნული მონასტერი ახ. წ. VIII საუკუნეზე გვიან არ უნდა იყოს აგებული. ეს მონასტერი XI-XIV საუკუნეებში მოქმედი უნდა ყოფილიყო. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი მოჭიქული თუ მოუჭიქავი თიხის ჭურჭელი, რომელიც აშკარად ამ პერიოდისაა. XVIII საუკუნისათვის ეს მონასტერი გაუქმებული ჩანს; ვახუშტი ბაგრატიონი ამ რეგიონის აღწერის დროს ყველა ძეგლის (გომართა, საქართლის ციხე და სხვ.) შესახებ საუბრობს, ეს მონასტერი კი არსად აქვს ნახსენები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ მონასტრის მთავარ ნაგებობას აშკარად ეტყობა მეორადი მშენებლობა-გადაკეთების კვალი. ამას, სხვათაშორის, 1980 წელს აღმოჩენილი წარწერაც მოწმობს.

აღნიშნული წარწერა საკმაოდ დიდი ზომის (1,54X1,02X17,5 მ) ქვიშაქვაზეა რელიეფურად გამოშანდაკებული. ჩამოტეხილი აქვს მარცხენა მხარის მცირე ნაწილი, თუმცა წარწერა ამით არ დაზიანებულა (იხ. სურ. 1).

წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: მთავარი ტექსტი ჩასმულია საგანგებოდ ამოღარულ ჩარჩოში, რომლის სიგრძე 1,18 მ. უდრის, ხოლო სიგანე — 0,67 მ. ამ წარწერის მარცხნივ მოთავსებულ მეორე წარწერას ჩარჩო არა აქვს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ძირითადი წარწერისაგან გამყოფ ხაზს. ეს წარწერა ვერტიკალურ სივრცეზეა მოთავსებული, 0,96 მ. სიმაღლეზე.

ორივე წარწერა რელიეფურად არის გამოშანდაკებული. ასოების სიმაღლე მერყეობს 7-12 სმ შორის.

ძირითადი წარწერა სწორ ხაზზე განლაგებული ხუთი სტრიქონისაგან შედგება. სიტყვები ერთმანეთს დაცილებული არ არის. განკვეთილობის ნიშნები არა აქვს. ქარაგმის ნიშნად, ნახმარია სწორი, აგრეთვე რელიეფურად გამოშანდაკებული ხაზი. წარწერა კარგად არის შემონახული. დაზიანებულია მხოლოდ პირველი სტრიქონის პირველი და მეორე ასო, მესამე სტრიქონის მერვე ასო და მეოთხე სტრიქონის მეცამეტე ასო, თუმცა მათი ამოცნობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მარცხენა, გვერდითი წარწერა რვა სტრიქონისაგან შედგება. თითოეულ სტრიქონში ორი ან სამი ასოა წარმოდგენილი. ამ წარწერის ზოგიერთი ასოც დაზიანებულია, მაგრამ მათი წაკითხვა ძნელი არ არის.

ძირითადი წარწერა ასე იკითხება:

1 სახ[...]თა ღთისთა ესე
2. კნქი შქმნა ივნე
3. ერთსვმნ (ს)ლცვლდ
4. მთდა ქრნკნსა რპ
5. ხბაის მმსხლსბსა

გვერდითი წარწერა:

1. (ი) ქ
2. ნა
3. ხლ(ი)
4. თა
5. გა
6. რგ
7. ლის(ა)
8. თა

ამრიგად, ქარაგმების გახსნით, ძირითადი წარწერის შინაარსია: „სახელითა ღვთისათა ესე კონქი შექმნა ივანე ერისთავმან სალოცველად მათდა ქორონიკონსა რპ ხაბაის მამასახლისობასა“, ხოლო გვერდითი წარწერისა: „იქმნა ხელითა გარგლისათა“.

ორივე წარწერა ძირითადად სწორად წაიკითხა პროფ. ი. მეგრელიძემ. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ქორონიკონი „რპ“ მან რატომღაც ამოიკითხა როგორც „რს“. მართალია „პარს“ მარჯვენა ბუნის ზედა ნაწილი აკლია, მაგრამ კვალი ძალიან კარგად ჩანს და, რაც მთავარია, სადაც ყოველგვარი ეჭვის გარეშე ჩანს „პარისათვის“ დამახასიათებელი სწორი, განივი ხაზი. ასე რომ, უდავოდ, „რპ“ იკითხება და არა „რს“.

ამასთან, ქორონიკონი „რს“ შინაარსობრივადაც მიუღებელია. „რაე“ ასს ნიშნავს, „სანი“ კი — ორასს. გამოდის „ასორასი“. ცხადია, დამკვეთსა და შემსრულებელს „სამასის“ აღნიშვნა რომ სდომოდათ, საქმეს არ გაირთულებდნენ და ასო „ტარს“ ამოკვეთდნენ.

ჩანს, პროფ. ი. მეგრელიძისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ქორონიკონი „რს“ ანუ „ასორასი“. ამიტომ მან „სანი“ საერთოდ აღარ მიიღო მხედველობაში, წარწერის დასათარიღებლად მხოლოდ „რაე“ გამოიყენა და დაასკვნა: „ქორონიკონი რ ასს უდრის. ასეთ ძველ თარიღს უნდა მიემატოს ქართული წელთაღრიცხვის მეცამეტე მოქცევის (ციკლის) 780 წელი და გამოდის, რომ წარწერა 880 წელს ამოუკვეთიათ“.

ამ აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. წარწერაში გარკვევითაა აღნიშნული „რპ“, ე. ი. 180. მაშასადამე, წარწერა ამოუკვეთიათ არა 880 წელს, არამედ, 960 წელს (780+180=960).

ასევე არასწორად არის წაკითხული გვერდითი წარწერის „გარგლისათა“. „ბარველისაითა“ აქ არაფერ შუაშია.

პროფ. ი. მეგრელიძის ზემოთ დასახელებული წერილის კრიტიკა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ წერილში არასწორად არის გააზრებული ციტატა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერიდან“. მაგალითად, შეუძლებელია „ციხე საქართლისა მაგარი“, რომელიც მდინარე ყორნისის ფრონეს სათავეში დგას, გავაიგივოთ მდინარე წორბისის ფრონეს ზემო წელში, მონასტრის მახლობლად მდგარ კოშკთან. უცნაურია აგრეთვე ავტორის განცხადება, რომ წორბისის წარწერაში ხსენებული ივანე ერისთავი ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში... „ეპისკოპოსად იხსენიება“, „ხოლო“ — ქოდოთის... ცხრაკარას ეკლესიის წარწერა გვაუწყებს, რომ ეს პირი უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“. მაშასადამე, ტბეთის „ეპარქიის გამგებელი“ და სხვ. ტბეთის ეპარქია ისტორიულ [...] ტერიტორიაზე იყო და ერთ-ერთ უძლიერეს კულტურულ კერას წარმოადგენდა შუა საუკუნეების საქართველოში. სოფელი ტბეთი კი, ცხინვალის რაიონში მდებარეობს და ქართლის დიდაზნაურების ტბელების (ერთხანს შიდა ქართლის ერისთავების) საგვარეულო მამულსა და რეზიდენციას წარმოადგენდა.

ამიტომაა უცნაური ასეთი განცხადებანი.

წორბისის მონასტრის ზემოთ აღნიშნული წარწერა, კი, მართლაც მრავალმხრივაა საყურადღებო.

ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ივანე ერისთავი კონქს აშენებს მხოლოდ „სახელითა ღვთისათა“. მეფე ან სხვა ვინმე სიუზერენი ნახსენები არ არის. ჩანს, ივანე ერისთავი დამოუკიდებელ, სრულუფლებიან მმართველად თვლის საკუთარ თავს. სხვათაშორის, სოფელ დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერის მიხედვითაც, ასევე მხოლოდ „სახელითა ღმრთისაითა“ აშენებს ეკლესიას ივანე ერისთავი ტბელი, სიუზერენად არც ეს ივანე ერისთავი სცნობს ვინმეს. სოფ. ტბეთის წარწერაშიც არ ახსენებს მეფეს პეტრიკ ტბელი. ისიც მარტო „ღვთის“ სახელით აშენებს ბალავერს.

ამასთან დაკავშირებით, რეალური ჩანს მემატიანის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის დიდაზნაურები „...თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა „და ამიტომაც იბრძოდნენ ქართლში „აფხაზთა მეფის“ (დასავლეთ საქართველო) დამკვიდრების, ე. ი. საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ტბელები მეთაურობდნენ.

ცხდია, ეს ტბელები საერო ხელისუფლები არიან, ქართლის დიდაზნაურები, ერთ დროს შიდა ქართლის ერისთავები და არა სასულიერო პირნი, ანუ „ტბეთის ეპარქიის“ გამგებელნი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ წორბისის მონასტრის წარწერაში მოხსენებული ივანე ერისთავი ტბელთა ფეოდალური სახლის უფროსი, შიდა ქართლის ერისთავი, ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ქართლში „აფხაზთა მეფის“ გამოსვლის, ანუ საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი. ჩვენ იმასაც ვფიქრობთ, რომ ეს ივანე ერისთავი პეტრიკ ტბელის ძეა და მამა იმ ქავთარ ტბელისა, რომელიც სეპარატისტულად განწყობილმა ქართლის აზნაურებმა „იწინამძღვრეს“ და 980 წელს მოღრისის თავს შეებნენ ბაგრატ მეფეს. სხვათაშორის, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ბრძოლის დროს ქავთარ ტბელი (ჩვენი აზრით, ივანე ერისთავის ძე), ერისთავი აღარ არის. იგი პირველი პირია ქართლის სეპარატისტ აზნაურთა შორის, მათი წინამძღოლი და ბელადი, მაგრამ არა ერისთავი. ჩანს, ტბელებმა შიდა ქართლის ერისთავობა X საუკუნის 70-იანი წლებისათვის დაჰკარგეს, ალბათ, საქართველოს გაერთიანების წინააღმდეგ დაუინებული და გაუთავებელი ბრძოლის გამო. შესაძლოა, ეს მოხდა წორბისის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული ივანე ერისთავის დროს. ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იან წლებში ქართლის ერისთავი უკვე „აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) მეფის“ მოხელე ივანე მარუშისძეა. ამიტომ გადასახედი ჩანს აზრი იმის შესახებ, რომ ქართლის ერისთავის სახელი ტბელებს 980 წლის ბრძოლის შემდეგ ჩამოერთვათ. წორბისის მონასტრის წარწერის მიხედვით შესასწორებელია დასკვნა იმის შესახებაც, რომ „ტბელების სამფლობელოს“ მარტო „...მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა წელის ტერიტორია“ წარმოადგენდა.

ირკვევა, რომ ტბელ ფეოდალთა სამფლობელოს მდინარე ფრონეს შუა წელიც წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, მოლრის-ნულიდან მშვილდაურ-პერანგას მთამდე. მათხავე გამგებლობაში უნდა ყოფილიყო წორბის-საბაყო-გომართა-პერანგას გავლით იმერეთში მიმავალი გზა და ამ გზის მიდამოებში არსებული თავდაცვითი ნაგებობანი.

წორბისის მონასტრის წარწერიდან კარგად ჩანს აგრეთვე, რომ ივანე ერისთავმა აქ კონქი „შექმნა“ და არა ეკლესია ან მონასტერი. მაშასადამე, ეკლესია თუ მონასტერი ამ ადგილას ივანე ერისთავამდე, ე. ი. 960 წლამდე იყო. ამას მოწმობს მედალიონში ჩასმული ე. წ. ბოლნური ჯვრის, ხუტის ბაზისის, არქაული, რელიეფური ქანდაკებების აღმოჩენის ფაქტი და სხვა მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით წორბისის სამონასტრო კომპლექსი, თუ ეკლესია აგებული უნდა იყოს არა უგვიანეს VIII საუკუნისა.

აღნიშნული წარწერის მიხედვით ირკვევა, რომ წორბისის მონასტრის მამასახლისი X საუკუნის 60-იან წლებში საბაა. ჩანს, იგი ივანე ერისთავის თანამოაზრე და თანამდგომია. წინააღმდეგ შემთხვევაში ერისთავი აქ კონქს არ „შექმნიდა“. ამავე წარწერიდან ირკვევა, აგრეთვე, რომ ეს კონქი (და, ჩანს, წარწერაც) „იქმნა ხელითა გარგლისათა“. ნ. შოშიაშვილს მიაჩნია, რომ აქ ასომეტობასთან გვაქვს საქმე და უნდა იყოს: „გრგლისათა“, ე. ი. „გრიგოლისათა“. ჩვენც ამ აზრს ვუჭერთ მხარს, რადგან „ბანი“ აქ საერთოდ არ არის, „განი“ კი აშკარად იკითხება.

ვინ იყო ეს გრიგოლი ან რა კავშირი აქვს მას ოშკის ცნობილი ტაძრის მშენებელ გრიგოლთან, რომელიც 958-961 წლების წარწერაშია მოხსენიებული, ძნელი სათქმელია (თუმცა, ქრონოლოგიური თანხვედრა თავისთავად ინტერესს იწვევს).

წორბისის მონასტრის ტერიტორიაზე 1982 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს, სხვა ნივთებთან ერთად, აღმოჩენილი იქნა წარწერიანი აგური და კრამიტი.

აგური აღმოჩნდა ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, კედლიდან 2 მეტრის დაშორებით, რაც იმას მოწმობს, რომ იგი მთავარ შესასვლელთან, თვალსაჩინო ადგილას იყო ჩადგმული.

სამწუხაროდ, აგური ნაკლულია: აკლია ბოლო ნახევარი და წარწერის დასასრული. შემორჩენილი ნაწილის ზომებია: სიგრძე — 1[illegible] სმ., სიგანე — 19 სმ, სისქე —[illegible] სანტიმეტრი. უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი აგურის სიგრძე 33 სანტიმეტრი იყო; ასეთი ზომის აგურები საკმაოდ დიდი რაოდენობით არის აქ აღმოჩენილი.

ქარაგმის გახსნით წარწერა ასე იკითხება :„კირიელეისონ ჩემო ნათელო ივანე ზინგარო მე მოგიწერე“...

„კირიელეისონ“ ბერძნულია და ქართულად „უფალო შეგვიწყალეს“ ნიშნავს. ასეთი თავსართი არაერთ ქართულ დოკუმენტშია დამოწმებული.

მიუხედავად ამისა ეს წარწერა რამდენიმე საინტერესო დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს.

ირკვევა, რომ წორბისის მონასტერი იოვანე ნათლისმცემლის სახელობისა იყო და ამ იოვანეს ზედწოდებას „ზინგარი“ წარმოადგენდა. სახარების მიხედვით, იოვანე ნათლისმცემელი ცხოვრობდა ახ. წ. I საუკუნეში, ჯერ იუდეას უდაბნოში, შემდეგ იორდანეს ქვეყნებში. იწინასწარმეტყველა ქრისტეს (მესიის) მოსვლა, მდ. იორდანეში მონათლა მრავალი ებრაელი და თვით იესო ქრისტე. მაგრამ რატომ უწოდებს მას წორბისის წარწერის ავტორი „ზინგარო“-ს, ძნელი სათქმელია. ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში ვერსად [illegible]დასტურეთ ფაქტი იმის შესა[illegible] რომ იოვანე ნათლისმცემელს „ზინგარის“ ზედწოდება ჰქონდეს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპონდენტმა, თ. ყაუხჩიშვილმა მოგვაწოდა ცნობები იმის შესახებ, რომ მესოპოტამიაში არის ქალაქი და მთა ზინგარას სახელწოდებისა. არსებობდა აგრეთვე, ზინგართს ტომი. ზიგამი ბერძნულად მტვირთველს ნიშნავს, ზინგავრიო—ამაყს, მკვეხარას, ხოლო ზიკარი — მკვლელს. (აღნიშნული ცნობებისათვის ულრმეს მადლობას მოვახსენებთ ქალბატონ თ. ყაუხჩიშვილს).

აქვს თუ არა რაიმე კავშირი წორბისის მონასტრის წარწერაში ხსენებულ ივანე ზინგარს ზემოთ აღნიშნულ მონაცემებთან, ძნელი სათქმელია. ეს საკითხი კვლავ მოითხოვს გულდასმით ძიებას.

ზემოთ აღნიშნული წარწერიდან ისიც ირკვევა, რომ წორბისის მონასტერი შელესილ-მოხატული ყოფილა (პროფ. ილ აბულაძის განმარტებით „მოწერა“ შელესვა-მოხატვა-მოპრელებასაც ნიშნავდა ძველ ქართულში). წორბისის მონასტერი რომ მართლაც მოხატულ-შელესილი იყო, ეს არქეოლოგიური კვლევა-ძიებითაც დადასტურდა; აქ საკმაოდ დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის სალებავით მოხატული გაჯის შელესილობის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვითაც, სამწუხაროდ, კედლის მხატვრობის შინაარსზე ჯერჯერობით ძნელია გარკვეული მსჯელობა.

ზემოთ აღნიშნული წარწერის პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს წარწერა — X-XI საუკუნეებისა უნდა იყოს. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ წორბისის მონასტრის შელესვა-მოხატვა X საუკუნეში მოხდა, იმ დროს, როდესაც ამ მონასტერში კონქი ააშენა ივანე ერისთავმა.

მესამე წარწერა, რომელიც წორბისის მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს აღმოჩნდა, ამოკვეთილია ხის ყალიბში დამზადებულ გვერდებაკეცილ კრამიტზე. ეს კრამიტიც ნაკლულია: ნახევარზე მეტი დაკარგულია. შემორჩენილი ნაწილის ზომებია: სიგრძე 21 სმ, სიგანე 17 სმ, სისქე — 3 სმ, აკეცილი გვერდის სიმაღლე — 3,5 სმ.

წარწერა კრამიტის შუა ნაწილშია ამოკვეთილი. იგი ორი სტრიქონისაგან შედგება. ასოების სიმაღლე მერყეობს 0,5-1,5 სმ-ს შორის ორივე სტრიქონი გვამცნობს: „მქ-ელ... ...ნე“

ქარაგმების გახსნით იკითხება: მამაო ქრისტე ღმერთო შეეწიენე (შეიწყალენე?).

მაგრამ ვინ? მეორე სტრიქონი ჩვენთვის გაუგებარია, თითქოს უნდა იყოს „იჭლოსა მას“, თითქოს „ისლისამას“. ერთი სიტყვით, წარწერის ეს ნაწილი ჩვენთვის, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, გაურკვეველია.

მიუხედავად ამისა, ერთი რამ ცხადია: ვიღაცას გარკვეული დამსახურება მიუძღვის წორბისის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინაშე და ამ დამსახურების აღსანიშნავად კრამიტზე წარწერას აკეთებს. ჩანს, ეს უფლება მან მოიპოვა კიდეც.

წორბისის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ერთ-ერთ რელიეფურ ქანდაკებაზე ჯვრის ამაღლების სცენაა წარმოდგენილი (იხ. სურათი). ქვა, რომელზედაც ეს სცენაა წარმოდგენილი რუხი ფერისაა; მისი ზომა 1,15X0,69 მ-ია, სისქე —24 სმ. ეს ქვა აშკარად სარკმლის ზედადგარია; სარკმლის ნალისებური თავი ამავე ქვაშია ამოჭრილი. ჯვრის ამაღლების სცენა ამოღარულ ჩარჩოშია ჩასმული. ჩარჩოს ზომა 1,04X0,54 მ. უდრის. ცენტრში გამოქანდაკებულია წაგრძელებული ჯვარი, რომელიც ამჟამად საკმაოდ არის დაზიანებული. ჯვრის ბუნი სარკმლის თავს ეყრდნობა. შემორჩენილი ნაწილის ზომა 48X40 სმ უდრის. ჯვრის მარჯვნივ და მარცხნივ ორი ფიგურაა გამოქანდაკებული. ორივე ფიგურა არასიმეტრიულია, არავითარი პროპორცია დაცული არ არის. მარჯვენა ფიგურის სიმაღლე 58,5 სმ-ია, თავის ზომა 23X21 სმ, მხრის სიგრძე — 21 სმ, ტანზე აცვია თითქოს წელში გამოყვანილი, მკერდგახსნილი კაბა, დგას ანფასში, ფეხები კი ჯვრისაკენ აქვს მიქცეული. ფიგურის მარჯვენა ხელი, რომელიც ორჯერ უფრო გრძელია მარცხენაზე, ჯვრისაკენ არის მიქცეული და თითქმის ბუნს ეხება. თვალები წერტილებით არის მინიშნებული, მორკალური წარბები ცხვირის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს, ხოლო ტუჩი ამოღარული ხაზითაა წარმოდგენილი. თავზე ადგას დიდების ოვალი (შარავანდი), რომლის ფონზე არასიმეტრიულად განლაგებული ყურები მოჩანს. მარცხენა ხელის მტევანი დაზიანებულია, მარჯვენა კი ბრტყელი და თანაბართითებიანია..

მარცხენა ფიგურის სიმაღლე 55 სმ-ია, თავის ზომა 21X15 სმ-ი, მხრის სიგრძე 27სმ. ამ ფიგურასაც თითქოს წელში გამოყვანილი, მკერდგახსნილი კაბა აცვია, რომლის ბოლო (ქობა) ფეხებშუაა ჩაჭრილი და ნახევარწრიულად განლაგებული, ექვსი წერტილით შემკული. მარცხენა ხელი, რომელიც იდაყვში მოხრილი და მარჯვენაზე ორჯერ უფრო გრძელია, ჯვრის ბუნზეა მიყრდნობილი. ხელის მტევანი დაფარულია. ჩანს, იგი ჯვრის ბუნის უკან იგულისხმა ოსტატმა. ეს ფიგურაც ანფასში დგას, თუმცა ფეხები მასაც ჯვრისკენ აქვს მიმართული. ამ ფიგურას უფრო მეტად ოვალური სახე აქვს, ვიდრე მარჯვენას, მასაც თვალები ორი წერტილით აქვს გამოსახული, ცხვირი წარბებთან გადაბმული, დიდების ოვალის ფონზე სიმეტრიულად განლაგებული ყურები მოუჩანს. მარჯვენა ხელი იდაყვში აქვს მოხრილი, მტევანი ბრტყელი აქვს, თითქოს მუცელზე უძევს. ოთხი თითი თანაბარი სიგრძისაა, მხოლოდ ცერია ოდნავ მოკლე და ზემოთ აწეული.

ორივე ფიგურის თავსა და ჯვრის ზედა მკლავს შორის დატოვებულია ქანდაკების დონის სიბრტყე. მარჯვენა სიბრტყე დაზიანებულია, მარცხენაზე კი აშკარად შეიმჩნევა ქართული წარწერა; წარწერა ჯერჯერობით გაშიფრული არ არის, მაგრამ ცხადია, აქ აღნიშნული უნდა იყოს იესო ქრისტეს ან აქვე გამოქანდაკებული ანგელოზის სახელი („მიქელი თუ მიქელ გაბრიელი“).

ჯვრის[1] ამაღლების სცენის რელიეფური გამოსახულება ადრეფეოდალური ხანის ქართულ ხუროთმოძღვრების ძეგლებზე იშვიათი არ არის[2], მაგრამ წორბისის მონასტრის ჯვრის ამაღლების ზუსტ ანალოგად არც ერთი მათგანი არ გამოდგება. ჯერ ერთი, წორბისის ფიგურებს ფრთები არა აქვთ, არც ჩაცმულობით ჰგვანან ისინი ანგელოზებს. ჯვრის ამაღლება კი ანგელოზების გარეშე ჩვენთვის ხელმისაწვდომ ლიტერატურაში არ შეგვხვედრია (ამ თვალსაზრისით არ ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ მცხეთის ჯვარზე, ბოლნისის და ატენის სიონის ტაძრის კედლებზე ცხოველები და ფრინველებია გამოსახული). ამიტომ, ამჟამად, ჩვენ მხოლოდ წორბისის მონასტრის ჯვრის ამაღლების რელიეფური ქანდაკების აღწერითი ხასიათით ვკმაყოფილდებით. მისი გულდასმითი, მხატვრულ-სტილისტური ანალიზი მომავლის საქმეა და ამ დარგის სპეციალისტის დახმარებით უნდა მოხდეს.

საბაყოს ეკლესიის კარიბჭის შიგნით კედელთან სამშენებლო ქვების გროვას შორის აღმოჩნდა წარწერიანი ქვის ფილა. ეს ქვა პირით დასავლეთისკენ იყო მიქცეული. ქვა საკმაოდ დიდი ზომისაა: მისი სიგრძე 1,5 მ-ია, სიგანე 0,56 მ; ხოლო სისქე — 0,16 მ.

ამ წარწერიანი ქვის ნახევარზე მეტი მიწაში იყო ჩაფლული. ალბათ ამის გამო და, აგრეთვე, ატმოსფერული ნალექების ზემოქმედების შედეგად, წარწერიანი ქვის ზედაპირი ბევრ ადგილას ატკეცილია. ამიტომ წარწერა ძალიან დაზიანებულია, განსაკუთრებით მისი შუა ნაწილი, სადაც ასოების კვალიც აღარ არის შემორჩენილი (იხ. სურათი). ეს სამწუხარო ფაქტია, რადგან აშკარად ჩანს, რომ წარწერა საკმაოდ ვრცელი იყო, ყოველ ( შემთხვევაში, არანაკლებ თხუთმეტსტრიქონიანი მაინც.

საყურადღებოა, რომ წარწერის საწყისი ასოები, უფრო სწორედ, ზედა სტრიქონები უფრო მცირე ზომისაა, ვიდრე ბოლო სტრიქონთა ასოები. რით უნდა ავხსნათ ეს ფაქტი, ძნელი სათქმელია. შეიძლება ოსტატმა ივარაუდა მთელი წარწერა დიდი ასოებით არ დაეტევა ამ ფილაზეო და ამიტომ მცირე ზომის ასოებით დაიწყო მათი ამოკვეთა, შემდეგ კი სივრცის შესაბამისად გაზარდა ასოების მოცულობა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ამ წარწერის მთლიანად წაკითხვა. დღეისათვის შესაძლებელი გახდა მხოლოდ ცალკეული ასოებისა და სიტყვების ამოკითხვა. მაგ. იკითხება: „ქკ“, „ტაცხს“, „იე“, „პარსმ“, „წ“, „თუ“, „ტზ“, „დი“, „დდმნ“, „ვზვ“ და სხვ. რომელთა მიხედვითაც, ვიმეორებთ, რაიმე აზრის გამოტანა ჭირს. ეს მომავლის საქმეა.

გომართის ეკლესიის ჩრდილოკედლის ცენტრში ჩარჩოში ჩასმული, ძლიერ დაზიანებული ფრესკაა მოთავსებული. ამ ფრესკაზე სამი თუ ოთხი ფიგურა უნდა ყოფილიყო გამოსახული. ყველა ფიგურა მამაკაცის გამოსახულებას წარმოადგენს. თითოეულ მათგანს ახლავს ფუნჯით შესრულებული წარწერა, რომელიც თეთრ ფონზე შავი სალებავით არის ნაწერი. ერთის გარდა, ყველა წარწერა ნაკლულ-დაზიანებულია.

კარგად შემონახული წარწერა მოთავსებულია ფრესკის ცენტრალური ფიგურის მარჯვენა მხარეს გამოსახული, ქართული კაბით და მუზარადით შემკული დიდებულის გვერდით. ეს წარწერაც ნუსხურია და იკითხება („ზვიადი“). პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერა თითქოს X-XI საუკუნეებისა უნდა იყოს (თუმცა გომართის ეკლესია არქიტექტურული თვალსაზრისით, უფრო გვიანდელ შთაბეჭდილებას ტოვებს. ესეც საინტერესო საკითხია).

ვინ არის ეს ზვიადი? ბაგრატ მეფისა და გიორგი პირველის ამირსპასალარი — ზვიად მარუშის ძე, რომელიც შიდა ქართლის ერისთავად დანიშნა ბაგრატ მეფემ ტბელ ერისთავთა ნაცვლად, თუ ვინმე სხვა ზვიადი? (ცხადია, ისიც დიდებული და დიდმოხელე) ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა.

ასევე ძნელია რაიმეს თქმა, თუ ვინ არიან მოხსენიებული დანარჩენ სამ წარწერაში. როგორც აღვნიშნეთ, წარწერები საკმაოდ დაზიანებულა და მათი წაკითხვა ჭირს. გომართის ეკლესიის ფრესკებსა და წარწერას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ამის შესახებ წორბისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელობამ სათანადო მიმართვაც გაუგზავნა ძეგლთა დაცვის სამმართველოს. სამწუხაროდ, უშედეგოდ.

სოფელ ყორნისის ეკლესიის დასავლეთის კარის სარკმლის თავში ჩასმულია ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია ორსტრიქონიანი ქართული მხედრული წარწერა:

„1) ესე ეკლესია აღაშენა
2) რუსის იმპერატორი“.

პალეოგრაფიული ნიშნებით ამ წარწერის ზუსტი თარიღის დადგენა, ცხადია, შეუძლებელია. ეჭვს არ იწვევს ის, რომ წარწერა XIX და იქნებ, სულაც XX საუკუნის დასაწყისისა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ წარწერის ავტორი (თუნდაც დამკვეთი) ქართული ენის გრამატიკაში ცუდად ერკვევა („აღაშენა რუსის იმპერატორი“).

მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ რუსეთის იმპერატორი ასეთ უსახურ, არქიტექტურული თვალსაზრისით ყოვლად უვარგის ეკლესიას აშენებს და ამ ფაქტს საგანგებო წარწერითაც აღნიშნავს. ისმის კითხვა: რა კავშირი ჰქონდა რუსეთის იმპერატორს ამ [illegible] რატომ აუგო მას ეკლესია?

იქნებ ამ ფაქტს ერთგვარად ხსნიდეს ეკლესიის საკურთხეველთან დაგდებული (ჩამოვარდნილი) ბრინჯაოს დაბზარული ზარი, რომელზედაც იესო ქრისტესა და მარიამ ღვთისმშობლის რელიეფური ქანდაკებები და რუსული რელიეფური წარწერაა წარმოდგენილი.

ზარის სიმაღლე 85 სმ-ია, პირის დიამეტრი — 62 სმ, სისქე — 0,5 სმ. ზარის თავში, შუა წელზე და ძირში რელიეფური რუსული წარწერა აქვს, რომლის შინაარსი ასეთია:

«1. Отлитый иждевением Общества востоновления Православного христианства на Кавказе. 2. Господи возлюби их благолепие... (შემდგომი სიტყვები დაზიანებულ-ატკეცილია და არ იკითხება). 3. Сей колокол отлит в Саратове в заводе Саратовской купчихи Олимпиады Ивановны Медведской. 1895 года, весу 16 пуд 4 фун. (აკლია «та»).

როგორც ვხედავთ, ზარი 1895 წელს დაუმზადებიათ ქალაქ სარატოვში, ჩანს, მას შემდეგ, როდესაც ყორნისის ეკლესია უკვე აგებული იყო, ან შენდებოდა. ვინ აშენებდა ამ ეკლესიას — იმპერატორი? (გავიხსენოთ წარწერა: „ესე ეკლესია აღაშენა რუსის იმპერატორი“).

საყურადღებოა აგრეთვე მდინარე ფრონეს ხეობის შუა წელში არსებული სასაფლაოები და აქ არსებული საფლავის ქვები ქართული, რუსული და ოსური წარწერებით.

ამ მონაცემების მიხედვით სრულიად აშკარაა, რომ აქაური მოსახლეობა მართლმადიდებელი და ქრისტიანია. ასე, რომ ამ რეგიონში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენაზე საუბარი უადგილო ჩანს.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ სოფელ წორბისის მოპირდაპირე მხარეს, მდ. ფრონეს მარჯვენა ნაპირას მდებარე მინდორი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ვალმარს“ ანუ სასაფლაოს უწოდებს. ეს სასაფლაო დიდი არ ერის. სასაფლაოზე წარწერიანი ლოდები და მატუსებია წარმოდგენილი.

ამ წარწერების დიდი ნაწილი დაზიანებულია. გარდა ერთისა, ყველა წარწერა ქართულია, მხედრული ასოებით შესრულებული და შეცდომებით სავსე.

მაგალითად, ერთ-ერთ ვერტიკალურ წარწერაზე ამოკვეთილია: „1887 წ. ილარიონ ( მალაქის ძე ცხოვრებოვი, წაინინა (წაიძინა, გარდაიცვალა) 1932 წელს“. „ცხოვრებოვი სოლომონ მალაქის ძე რიივვე (დავიბადე) 1914-1940“. აქვეა სტელის მაგვარი საფლავის ქვა, რომელზედაც გამოსახულა მამაკაცი წიგნით და ლათინური ასოებით შესრულებული ოსური წარწერაა.

იქვე ასეთი წარწერაცაა:

„აქა მდებარე ფეოდრ ბიბოს ძე ცხოვრებოვი დავიბადე 1882 წ აღსრულდი 1927 წ ენკენისთვეს“ და სხვა.

დაახლოებით მსგავსივე წარწერებია წარმოდგენილი საბაყოს, წორბისის, ავნევის, არკნეთის ნასოფლარებზე და სხვა.

P.S. ავტორი 1981 წლიდან მუშაობს მდ. ფრონეს ხეობაში. თითქმის ყველა ძეგლი იქნა შეძლებისდაგვარად შესწავლილი.

სავალდებულოდ მიმაჩნია ორ ფაქტზე გავამახვილო მკითხველის ყურადღება:

1. არ შემხვედრია ძეგლი, რომელსაც რაიმე მინაწერი ჰქონდეს ან მოუვლელი იყოს და განზრახ აზიანებდეს ვინმე.

2. ულრმესი მადლობის გრძნობით მინდა აღვნიშნო მოსახლეობის გულწრფელი და გულთბილი დამოკიდებულება ექსპედიციის მიმართ.

---

1. ჯვარი, როგორც „მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი“ ღვთაების სიმბოლური გამოსახულება უძველესი დროიდანაა ცნობილი. პრინციპში იგი ჩამავალი და ამომავალი მზის სიმბოლოს წარმოადგენს.

(იხ. Н. Е. Урушадзе, языческие элементы декоративных мотивов раннехристианских храмов Грузии, «მაცნე», № 2, 1975.

2. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1963 წ.







# შეხვედრა მწერალთა კავშირში

საქართველოს მწერალთა კავშირში ერთმანეთს შეხვდნენ „მრგვალი მაგიდის“ და ეროვნულ კონგრესში გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ცალკეული წარმომადგენლები.

ეს შეხვედრა გამოწვეული იყო საქართველოში შექმნილი დაძაბული სიტუაციით — „მხედრიონის“ მიერ დაწყებული შიმშილობის აქციით, აგრეთვე სხვა, საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მოვლენებით.

ამ შეხვედრამ, ბუნებრივია, დიდი ინტერესი გამოიწვია, ცხარე დისკუსია გაიმართა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე.

მიაღწიეს შეთანხმებას, რომ უზენაესი საბჭოს, კონგრესისა და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლებისაგან შეიქმნას კომისია, რომელიც განიხილავს საქართველოში შექმნილი არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებებისა და, მათ შორის, „მხედრიონთან“ დაკავშირებულ საკითხებს.

გამოითქვა სურვილი, რომ ამგვარ შეხვედრებს სისტემატური ხასიათი მიეცეს.

**მურმან ჩაჩუას ფოტოები.**

# გზად მიზნისაკენ

დღეს საქართველოში უდიდესი ძვრები ხდება. ნელ-ნელა მივიწევთ იმ სანუკვარი მიზნისაკენ, რომელსაც დამოუკიდებლობა ჰქვია... მანამდე კი მრავალი სიძნელის გადალახვა გვიწევს. ეკონომიკური პრობლემის მოგვარება ერთ-ერთი უმთავრესია იმ პრობლემათა შორის, რომლებიც ბარიერს გვიქმნიან თავისუფლების გზაზე... სწორედ ამ საკითხზე საუბრობენ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი **ნანა დავითაშვილი** და ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **გიორგი პაპასქუა.**

●

— ბატონო გიორგი, ჩვენთვის ცნობილია, რომ გაქვთ მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება და, ამასთანავე, ეწევით მეცნიერულ მოღვაწეობასაც. თქვენი ნაშრომები იბეჭდება როგორც რესპუბლიკის, ასევე საკავშირო პრესაში. „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებს აინტერესებთ თქვენი შეხედულებები დღევანდელი მწვავე ეკონომიკური კრიზისის თაობაზე.

როგორც ხედავთ, მაღაზიები ცარიელია, პურს საათობით ველოდებით, ცხოვრების პირობები დღითიდღე უარესდება, ამ მძიმე სიტუაციიდან რომელი გზით შეიძლება გამოსვლა?

**— გზა, რომლითაც დღემდე მოვედით, ხვალ კბოდეზე გადაგვჩეხს უცილობლად.**

**დღემდე საბჭოთა ეკონომიკური აზროვნება სოციალისტური წყობილების უპირატესობის მტკიცებაში დაშრა. სხვა აზრს არ ჰქონდა „გზა ფართე“, მოგეხსენებათ...**

**ცნობილია, ბაზისი აყალიბებს შესაფერ ზედნაშენს. არ ყოფილა და არც მოხდება ზედნაშენს ბაზისი შეექმნას. საბჭოური ცხოვრების რეფორმისტული მიმართულება კი მუდამ ამის ცდაში იყო, — რა გამოვიდა აქედან, ხომ ხედავთ!**

**ამჟამად არსებული სამეურნეო მექანიზმი დამყარებულია შენიღბულ უსასტიკეს ექსპლუატაციაზე, რომლის დროსაც მიმთვისებელი სახელმწიფოა.**

**არსად არაა გაუფასურებული ადამიანის შრომა, როგორც ჩვენში.**

**წარმოებასა და განაწილებას შორის არსებული უსამართლობა ახალ ბოროტებას — „ჩრდილოვან ეკონომიკას“ უღებს კარს. სახელმწიფო ატყუებს (ძარცვავს) მწარმოებელს, მწარმოებელი ატყუებს სახელმწიფოს, — ასეთია მოტყუებაზე დაფუძნებული მექანიზმის ლოგიკური შედეგი.**

**ველოსიპედის თავიდან შექმნა საჭირო არაა, — დროის გამოცდამ რაც აღიარა და ექსპერიმენტს არ საჭიროებს, ის გზაა „ტაძრისკენ მიმავალი“. ერთია ოღონდ, დირექტიულად, მხოლოდ პროგრამული დოკუმენტების მიღებით ცხოვრება, რომლისკენაც მივილტვით, არ მოვა.**

**საბაზრო მექანიზმი, სხნის ლამის ერთადერთ გზად რომ გვესახება, მხოლოდ პროდუქციის სიუხვის პირობებში იწყებს მოქმედებას, თავისთავად, ბაზარი ვერ შექმნის მატერიალურ დოვლათს, ცხადია, შრომამ და გონებამ უნდა შექმნას იგი.**

**ამიტომ სამეურნეო პრობლემის გადაჭრას და მისი რეალიზაციის ქმედითი მექანიზმის შექმნას სჭირდება უპირველესი ზრუნვა, რომლის გარეშე ყოველი პროგრამის განხორციელება განწირულია.**

**ამ გზით პოლიტიკური პრობლემების გადაჭრაც შეიძლება უფრო ადვილად.**

— იმ ღონისძიებათა შორის, თქვენ რომ ჩამოთვალეთ, რა ადგილს დაიჭერს პასპორტებით პროდუქციის გაყიდვა და თუ უშველის რამეს?

**— ასეთი „იძულებითი ღონისძიების“ გატარება არაა კარგი ცხოვრებით და საღი გონებით ნაკარნახევი.**

**ყოველგვარი ასეთი შეზღუდვა — ტალონების, ბარათების შემოღება სპეკულაციის წყაროა და მოჩვენებითი წესრიგის ილუზია შეუძლია შექმნას მხოლოდ.**

**ტალონი, ბარათი, პასპორტიც კი ხდება ყიდვა-გაყიდვის საგანი.**

**...ოღონდ იყოს გასაყიდი და ყიდვის გზას ყოველთვის მონახავენ!**

**უბედურება ისაა, რომ დღეს განაწილების მექანიზმის დამუშავებას უფრო მეტი შრომა ხმარდება, ვიდრე სიუხვის შექმნას.**

**ისეთი ძალისხმევა, ტალონების ან პასპორტით ვაჭრობის დანერგვას რომ დასჭირდა, მოსავლის აღების, დაბინავების, გადამუშავების, დაფასოების, მომხმარებლამდე მიტანისკენაც რომ იყოს მიმართული, საგანგაშო უფრო ნაკლები იქნებოდა.**

**შთაბეჭდილება მრჩება, ჩვენ თვითონ ვაშენებთ „ქარის წისქვილებს“ და მერე ჩვენვე ვებრძვით მწუხარე სახის რაინდივით.**

— როგორ ფიქრობთ, რა ქმნის სახელმწიფოში დეფიციტს?

**— თავდაპირველად უგუნურობა — შემდეგ „გონიერი“ სარგებლობს შემთხვევით და ხელოვნურად ქმნის დეფიციტს (მერე სახელმწიფოც უწყობს ხელს მათ)— ჩნდება გადამყიდველი და „შავი ბაზარი“. გზა ეხსნება ინფლაციას. ფულის ერთეული კარგავს მსყიდველობით უნარს. სახელმწიფო ზრდის ფასებს — თავად ხდება უდიდესი გადამყიდველი და ქორვაჭარი. ამით „შავი ბაზარი“ უფრო ძვირდება, — ქვეყანას დასაწყისში ჩადენილი უგუნურობა მიაქანებს უფსკრულისაკენ.**

**ჩვენში არსებული ყოველგვარი დეფიციტი ხელოვნურად არის გამწვავებული.**

— ფასების სახელმწიფო კომიტეტის მუშაობაზე რას გვეტყოდით?

**— ფასების სახელმწიფო კომიტეტი სახელმწიფოს შექმნილი ორგანო და მისი ნება-სურვილის გამტარებელია. ამიტომ ამ ორგანოს მუშაობა სახელმწიფო პოლიტიკის და ეკონომიკის მიმართულების ანარეკლია. ჩემის ღრმა რწმენით, იგი ბიუროკრატიული მექანიზმის კიდევ ერთი ზედმეტი რგოლია, რომლის გაუქმებას დრო მალე განსაზღვრავს.**

**მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ძალიან ბევრი ზედმეტი რგოლია, მათ შორის, ვაჭარიც.**

— ბოლო ხანს ერთობ მომრავლდა კოოპერატივები. რა აზრისა ხართ მათზე?

**— კოოპერატივების არსებობის იდეას ქვეყნისა და მომხმარებლისთვისაც სასარგებლო შედეგის მოტანა შეუძლია. ამიტომ ხელისშეწყობა და მხარდაჭერა სჭირდება ამ იდეის განხორციელებას. ერთია ოღონდ, — ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა მიმართული. სადღეისოდ არსებული უამრავი კოოპერატივი კანონს ამოფარებული სპეკულაციის ლეგალიზაციას ახდენს. პროდუქციას კი არ ქმნის. ამ შემთხვევაში მხოლოდ კერძო ინტერესებია წინ წამოწეული და სახიკეთოს ეს გზა ვერაფერს მოგვიტანს.**

— რა აზრისა ხართ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ?

**— ნატურალური მეურნეობის პირობებით დღეს არსებობა შეუძლებელია.**

**საზღვარგარეთის ქვეყნებთან ყოველგვარი ურთიერთობის აუცილებლობა დაფიქრებას არ საჭიროებს. სხვა საკითხია გაცვლის ეკვივალენტობა, თუმცა, ძნელია აქ ერთნიშნა რეცეპტის შემოთავაზება, ცხადია, ყოველგვარი ურთიერთობა და, მით უმეტეს, გაცვლა, ურთიერთხელსაყრელ და ურთიერთსასარგებლო საწყისებს უნდა ეფუძნებოდეს.**

**ბევრს აქვს აკვიატებული, კარი გაეხსნას უცხოური კაპიტალის მოზიდვას და დაბანდებას. მომხმარებლისათვის ეს უთუოდ შექმნის საჭირო პროდუქციას და სიუხვის ილუზიას. სამაგიეროდ, ეს ქვეყნის დაკაბალების გზაა და უარეს შედეგს მოგვიტანს, ვიდრე „სამოკავშირეო ხელშეკრულება“ გვიქადის.**

**უცხოსაგან შველის მომლოდინე ვერაფერს მიაღწევს, თუ თავადაც არ გაისარჯე!**

— თქვენი შთაბეჭდილება ახლანდელი უზენაესი საბჭოს შესახებ...

**— თქმა არ უნდა, ვარ ხალხის ნების გამოხატვით დაიმედებული, მისი გულშემატკივარი... გოლგოთისაკენ მიმავალი გზა უეკლო როდია, — და, არც ჰაპანია მსუბუქი საზიდი...**

— ღმერთმა სულ კეთილი საქმეები გაკეთებინოთ, წარმატებას გისურვებთ, ბატონო გიორგი!

**— გმადლობთ.**

### შეცდომის გასწორება

„ლიტერატურული საქართველოს“ 7 დეკემბრის (№ 49) ციცინო ჯერვალიძის წერილში „დუისბურგის ფესტივალზე“ ტექნიკური მიზეზით გაიპარა შეცდომა —მე-5 სვეტის მე-10 სტრიქონიდან უნდა იკითხებოდეს ასე — „მაგრამ ბატონმა ჯანსულმა უფრო მეტიც გააკეთა. როცა გადაწყდა, რომ „ჩემო კარგო ქვეყანავ“ საორკესტრო შესრულებით წარმოედგინათ სცენაზე (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი უაკომპანიმენტოდ შესრულდა მასპინძლებთან პირველი შეხვედრის დროს), მან მთელი ღამე გაათენა, რომ ორკესტრის ყველა ინსტრუმენტისათვის ამ სიმღერის ნოტები დაეწერა, დილით ყველაფერი მზად იყო, ერთი რეპეტიცია გაიარეს და“... მერე როგორც ტექსტშია.

**გაზეთი დაკაბადონდა 12 დეკემბერს.**

**მთავარი რედაქტორი ელიზბარ ჯაველიძე.**

**სარედაქციო კოლეგია: თამაზ ბიბილური (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზვიად გამსახურდია, ლაშა თაბუკაშვილი, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ანა კალანდაძე, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, სარბის ცაიშვილი, გივი ძნელაძე, თამაზ წივწივაძე, თამაზ ჭილაძე.**

**პასუხისმგებელი მდივანი გივი ჯოხაძე**

**მორიგე რედაქტორი ანდრო ბედუკაძე**



**რედაქციის მისამართი: 380005, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2**

**ტელეფონები:**

**მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.**
**მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-91-89**
**პასუხისმგებელი მდივნის — 99-87-10**
**განყოფილებების — 99-72-89; 99-71-68; 99-03-65. 95-38-68.**
**რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.**
**მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

ლიტერატურული საქართველო

**«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СП ГРУЗИИ**

**გამოდის პარასკეობით**

**ИНДЕКС 66436** 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა.